დიასპორა და სახელმწიფო:
ირლანდია, იტალია, სლოვენია

თბილისი
2014

ანგარიში მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთობლივი პროექტის – „საქართველოს და ევროკავშირს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა“ – ფარგლებში, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიში მოამზადა ირინა ბადურაშვილმა. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ემთხვევა ევროკავშირის და პარტნიორი ორაგანიზაციების პოზიციას.



დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ





ISBN 978-99928-37-43-6

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2014

თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 72
ტელ. 2355154, ფაქსი 2355754
www.cipdd.org

სარჩევი

შესავალი 5

1. ირლანდია 7
მიგრაციული პროცესები ირლანდიაში 7
მიგრაციის პოლიტიკა ირლანდიაში 9
დიასპორასთან ურთიერთობები 11
დიასპორასთან ურთიერთობების გამოწვევები – ექსპერტთა აზრი 23
ბოლო ინიციატივები ირლანდიაში დიასპორასთან ურთიერთობის გაძლიერების თვალსაზრისით 27

2. იტალია 36
მიგრაციული პროცესები იტალიაში 36
მიგრაციული პოლიტიკა იტალიაში 39
დიასპორასთან ურთიერთობები 42
იტალიური დიასპორა ავსტრალიაში: საუკეთესო გამოცდილების მაგალითი 46

3. სლოვენია 53
სლოვენიის მიგრაციული სურათი 53
სლოვენიის მიგრაციული პოლიტიკა 60
სისტემების/მოდელების მოქმედების შეფასება, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისა და ნარმატებული შემთხვევების ანალიზი 71
სხვადასხვა აქტორის მიერ გასატარებელი ზომები და გამოწვევები – ექსპერტთა აზრი 74
დიასპორული ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული აქტივობები სლოვენიაში 78
წყაროები: 79

შესავალი

საქართველოს მთავრობა საერთაშორისო დონორების დახმარებით ეძებს ეფექტურ გზებს საქართველოში მიგრაციული პროცესების უკეთ სამართავად და უცხოეთში ქართულ დიასპორასთან სრულფასოვანი და თანაბარი ურთიერთობების დასამყარებლად. ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობას საგრძნობი წვლილი შეუძლია შეიტანოს საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის სრულყოფაში; ეს კი ნიშნავს საკუთარ დიასპორასთან ურთიერთობების გაღრმავებას და უცხოეთში მყოფ მიგრანტთა ჩართვას მშობლიური ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამრიგად, სხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიღწევები და პრაქტიკაში განხორციელებული აქტივობების საუკეთესო მაგალითები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის გასაუმჯობესებლად და ქვეყნის განვითარების პროცესში ქართველი ემიგრანტების პოტენციალის გასათვალისწინებლად.

გამოცემაში არსებულ კვლევებსა და მასალებზე დაყრდნობით აღწერილია სამი ევროპული ქვეყნის – ირლანდია, იტალია და სლოვენია – დიასპორებთან ურთიერთობის პრაქტიკა. აღნიშნული ქვეყნები შეირჩა როგორც ეროვნული დიასპორული პოლიტიკის წარმატებული მაგალითები დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კონსულტაციების შედეგად. ირლანდიის და იტალიის რესპუბლიკების შერჩევა განპირობებული იყო იმითაც, რომ ეს ორი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი და მასშტაბური ემიგრაციული გამოცდილების მქონეა. 1861 წლიდან (კონსტიტუციის მიღებიდან) იტალია 25 მილიონმა მოქალაქემ დატოვა, ანუ იმდენმა, რამდენიც იმ დროისათვის ქვეყნის მთელ მოსახლეობას შეადგენდა. რაც შეეხება ირლანდიას, მისი მკვიდრი მოსახლეობის ხანგრძლივი და მასობრივი ემიგრაციის შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ექსპერტთა აზრით, საზღვარგარეთ ირლანდიური წარმომავლობის დაახლოებით 70 მილიონი ადამიანი ცხოვრობს; აქედან 3.1 მილიონი პასპორტის მფლობელი ირლანდიელი მოქალაქეა, რომელთაგან 800,000 ირლანდიაში არის დაბადებული. სლოვენია ევროკავშირის ახალი წევრ-სახელმწიფოა, საქართველოზე მცირე (2 მილიონამდე) მოსახლეობით, რომელმაც 1991 წელს, პირველად ისტორიაში, დამოუკიდებლობა მოიპოვა და უკვე 2004 წელს ევროკავშირის და ნატოს წევრი გახდა. სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა დი-

ასპორასთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და დიასპორის წევრების ჩართვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. სწორედ დიასპორული პოლიტიკის გამოცდილება ხდის სლოვენიას ჩვენთვის საინტერესო მაგალითად.

სამი ქვეყანა ცალ-ცალკეა განხილული მსგავსი სტრუქტურის მიხედვით, რაც შედარების საშუალებას იძლევა. დასაწყისში წარმოდგენილია შესაბამისი ქვეყნების მიგრაციული სურათი: მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და მიგრანტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები; შემდეგ აღწერილია მიგრაციის ეროვნული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ემიგრაციის მართვის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, იმ ინიციატივების კონსტექტში, რაც ხორციელდებოდა ბოლო წლებში დიასპორასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და დაბრუნებულთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით. აღწერილია, თუ რომელი უწყებები და ხელისუფლების დონეები (ცენტრალური და რეგიონული) არიან ჩართული ამ პროცესში, რა არის მათი როლი, როგორია კოორდინაციის მექანიზმები, სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოყვანილია საუკეთესო პრაქტიკის კონკრეტული მაგალითები; ასევე, ჩამოყალიბებულია ექსპერტთა შეფასებები და წარმოდგენილია სპეციალისტთა წინადადებები არსებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიას – აქვს თუ არა შერჩეულ ქვეყანას დიასპორასთან მიმართებაში ცალკე განვითარებული სტრატეგიული დოკუმენტი; თუ არ აქვს, რა დოკუმენტებში აისახება ქვეყნის სტრატეგიული ხედვა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან მიმართებაში და რა მიმართულებით მიმდინარეობს ექსპერტთა წრეში მსჯელობა აღნიშნული დოკუმენტის მიღების და/ან სრულყოფის შესახებ.

ამ თემაზე არსებული კვლევების და მასალების შეჯამების შედეგებმა აჩვენა, რომ სამივე ქვეყანა დიასპორასთან ურთიერთობაში ესწრაფვის თანაბარი პარტნიორობის პრინციპებს და ორმხრივი ინტერესების სარგებელზე აწყობილ სახელმწიფო პოლიტიკას. აღნიშნული პრინციპების გატარების მექანიზმები ასახულია ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტში (თუ ასეთი არსებობს). ამ პრინციპების განვითარების გზები დომინირებს ექსპერტთა მიერ სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ მსჯელობისას და საზოგადოებრივი დისკუსიების დროს. სწორედ, საერთაშორისო დონეზე უკვე აღიარებული გამოცდილება უნდა გახდეს საუკეთესო პრაქტიკის ნიმუში საქართველოში დიასპორასთან ურთიერთობის სტრატეგიის სრულყოფისთვის.

1. ირლანდია

მიგრაციული პროცესები ირლანდიაში

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ირლანდია, ძირითადად, ემიგრაციის ქვეყნად მოიაზრებოდა. 1841 წელს ირლანდიის რესპუბლიკის მოსახლეობა 6.5[1] მილიონს შეადგენდა. 1901 წლისათვის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციის შედეგად და 1847 წლის დიდი შიმშილობით გამოწვეული სიკვდილიანობის გამო ირლანდიის მოსახლეობა 3.25 მილიონამდე შემცირდა. მოსახლეობის კლება გაგრძელდა, თუმცა უფრო ნაკლები ტემპით – 1961 წელს მოსახლეობის რაოდენობა ყველაზე დაბალი იყო – 2.82 მილიონი. მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ირლანდიიდან წასული ემიგრანტების უმეტესობა ჩრდილოეთ ამერიკაში გადასახლდა. ეს ნაკადები 1930-იან წლებში, დიდი დეპრესიის დაწყებისას შეწყდა. ამ დროიდან ირლანდიელი ემიგრანტების უმეტესობა, ძირითადად, დიდ ბრიტანეთში მიდიოდა, განსაკუთრებით – მეორე მსოფლიო ომის დროს და შემდეგაც, ვინაიდან მამაკაცების უმეტესობა ბრიტანეთის საომარ მოქმედებებსა და შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესში ცდილობდა, სამუშაო მოენახა. არსებული შეფასებები აჩვენებს, რომ 1946-1951 წლებში დიდ ბრიტანეთში ირლანდიელი ემიგრანტების 83% წავიდა.

1960-იანი წლებში ირლანდიის ეკონომიკურმა აღმავლობამ ქვეყნიდან ემიგრაციის ტემპი შეამცირა და ირლანდიის მოსახლეობამ ზრდა დაიწყო. 1970-იანი წლების ირლანდიაში პირველად აღინიშნა მოსახლეობის მიგრაციის დადებითი სალდო. თუმცა, ეს ტენდეცია დიდხანს არ გაგრძელებულა; მსოფლიოს ეკონომიკაში 1980-იანი წლების დასაწყისიდან შექმნილმა არასახარბიელო მდგომარეობამ ირლანდიის ეკონომიკაზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა. ეკონომიკურმა ვარდნამ ქვეყანაში ოთხმოციანი ათწლეულის მეორე ნახევარიც მოიცვა. 1986 წელს უმუშევრობის დონემ ირლანდიაში 17%-ს მიაღწია, რაც გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. ამან ირლანდიის მოსახლეობის ფართომასშტაბიანი

[1] თუ სხვა რამ არ არის მითითებული, აქ და შემდგომ ანალიზში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების წყაროა: Quinn, E., (2010): *Country Profile for Ireland*, ხელმისაწვდომია საინფორმაციო პორტალზე "Focus Migration": http://focus-migration.hwwi.de/typo3_upload/groups/3/focus_Migration_Publikationen/Laenderprofile/CP_19_Ireland.pdf

ემიგრაცია გამოიწვია. 1988-89 წლებში ირლანდიაში მიგრაციის უარყოფითი სალდო დაფიქსირდა – 45 ათასი ადამიანი, რაც ყოველ ათას მოსახლეზე 13-ს შეადგენდა.

1990-იანი წლების დასაწყისში იმიგრაციული და ემიგრაციული ნაკადები ქვეყანაში მეტ-ნაკლებად დაბალანსდა. 1996 წლიდან ირლანდიის ეკონომიკური ზრდის შედეგად ირლანდიაში აღინიშნებოდა მიგრანტთა შემოსვლა. 1996-2000 წლებში დასაქმების დონე ირლანდიაში თითქმის 30%-ით გაიზარდა და წარმოიშვა მუშახელის საჭიროება, რამაც ირლანდიაში მიგრანტების დიდი ნაკადი მოიზიდა. ეს ნაკადები, უმეტესად, ემიგრაციაში ადრე წასულ ირლანდიელებს მოიცავდა. თუმცა ამავე პერიოდში სხვა ეთნიკური წარმოშობის მიგრანტების შემოდენაც დაიწყო ირლანდიაში ცხოვრებისა და დასაქმების მიზნით.

2002 წელს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან იმიგრაციამ და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ ირლანდიაში პიკს მიაღწია. თავშესაფრის მაძიებელთა ნაკადი 2002 წლის შემდეგ შემცირდა და 2004 წლიდან უფრო დაბალ დონეზე დაფიქსირდა. 2004-2007 წლებში 2004 წელს ევროკავშირის „გაფართოების“ შედეგად იმიგრაცია ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან გარდაიქმნა მიგრანტთა ნაკადად წევრ-სახელმწიფოებიდან. ზოგადად, ამ პერიოდში ევროკავშირის ახალი წევრი-ქვეყნებიდან შემოსული მოქალაქეების ხარჯზე იმიგრაციის დონე ირლანდიაში საკმაოდ გაიზარდა. 2007/2008 წლებიდან ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე იმიგრანტთა ნაკადმა ირლანდიაში იკლო, რაც ზემოაღნიშნული ნაკადების შემცირებამ განაპირობა.

ბოლო წლებში ისევ საგრძნობლად გაზრდილია ირლანდიიდან ემიგრაცია: 2012 წელს აღინიშნებოდა მისი 240%-იანი ზრდა 2002 წელთან შედარებით, როცა ირლანდიიდან სულ 26 ათასი ადამიანი გავიდა[2]. ამავდროულად, საგრძნობლად დაიკლო ირლანდიაში იმიგრანტთა ნაკადმა: 2010 წელს დაფიქსირდა იმიგრაციის ყველაზე დაბალი დონე 1994 წლიდან მოყოლებული, როცა ქვეყანაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანი ჩამოვიდა. 2002 წლის შემდეგ თერთ-

[2] თუ სხვა რამ არ არის მითითებული, აქ და შემდგომ ანალიზში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების წყაროა: Gilmarti, M., (2012): *The changing landscape of Irish migration, 2000-2012,* National Institute for Regional and Spatial Analysis (NIRSA), NIRSA Working Papers Series N 69, October, 2102, გვ. 2.

მეტწლიან პერიოდში ირლანდიაში 860 ათასი კაცი ჩამოვიდა, გავიდა 550 ათასი. მიგრაციის სალდომ 310,000 შეადგინა, რაც წელიწადში არის საშუალოდ 28,400.

მიგრაციის პოლიტიკა ირლანდიაში

ირლანდიის მიგრაციული პოლიტიკა, ძირითადად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარდა. იმის გამო, რომ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მიგრაციული ტენდენციები, უმეტესად, ირლანდიაში უცხოეთიდან მუშახელის ჩამოსვლას უკავშირდება, ირლანდიის მიგრაციული პოლიტიკის ოფიციალური დოკუმენტები, უპირატესად, ქვეყანაში ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობებს, თავშესაფრის მიცემის რეგულაციებს და მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებულ პროცედურებს ეხება.

ამასთან მიმართებაში აღსანიშნავია შემუშავებული პოლიტიკის სამი ძირითადი მიმართულება:

1) თავშესაფრის მიღების მსურველთა მზარდი რაოდენობის შესამცირებლად მთავრობამ 2003 წელს უსაფრთხო წარმომავლობის ქვეყნების ჩამონათვალი შექმნა და უკვე 2005 წლიდან თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებსაც შესაბამისი პრიორიტეტებით განიხილავდა.
2) 2004 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად გაუქმდა მოქალაქეობის ავტომატურად მინიჭების წესი ირლანდიაში დაბადებულთათვის, რათა არ მომხდარიყო მიგრანტთა მიერ ირლანდიაში გაჩენილი ბავშვებისათვის მოქალაქეობის ავტომატურად მინიჭება, თუ ბავშვის მშობლები ირლანდიის მოქალაქეები არ იყვნენ.
3) შრომითი მიგრაციის თვალსაზრისით, ირლანდიამ 2000-იან წლების დასაწყისიდან შეცვალა მუშაობის უფლების მინიჭების ლიბერალური სისტემა და დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის შევსებას, უმეტესად, ევროკავშირის ქვეყნებიდან ცდილობდა. დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის მსგავსად, ირლანდია სამუშაოდ შეუზღუდავად იღებდა იმ ათი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ევროკავშირს 2004 წლის მაისში მიუერთდნენ. ამ მიზეზით ირლანდიაში იმიგრანტთა ნაკადში ევროკავშირის ახალი წევრ-სახელმწიფოებიდან შემოსული შრო-

მითი მიგრანტების ხვედრითი წილი სწრაფად გაიზარდა. ამავე დროს, ირლანდის მთავრობამ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეებს დამატებითი შეზღუდვები დაუწესა ირლანდიაში დასაქმებასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკის გამონაკლისი შემთხვევები ეხებოდა მხოლოდ მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, რომელთა მოძიებაც ხშირად მხოლოდ ევროკავშირის გარეთ შეიძლებოდა. ბოლო წლებში დაიწყო ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებიდან მიგრანტების მიმართაც სოციალურ უფლებებზე შეზღუდვები: 2008 წლის დეკემბერში ირლანდიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი გააგრძელებს ბულგარეთის და რუმინეთის მოქალაქეებისათვის შეზღუდვების დაწესებას ირლანდიის შრომის ბაზარზე.

ასე რომ, ირლანდიის მიგრაციული პოლიტიკა თანდათან ვითარდებოდა ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარების პირობებში იმიგრანტთა მზარდი ნაკადების საპასუხოდ. ამ პოლიტიკას ახასიათებს ღიაობა ევროკავშირიდან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკებისთვის და შეზღუდულობა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან შემოსული არაკვალიფიციური მუშახელის მიმართ; ამას თან ახლავს საზღვრების კონტროლის გაძლიერება და არალეგალური მიგრაციის პრევენციის მექანიზმები.

2009 წლის სექტემბერში იუსტიციის, თანასწორობისა და საკანონმდებლო რეფორმების მინისტრმა წარმოადგინა სქემა (რომელსაც ხშირად „დამაკავშირებელ ვიზას“ უწოდებენ) იმ უცხოელი მოქალაქეებისათვის, რომლებიც საკუთარი ბრალეულობის გარეშე დარჩნენ ირლანდიაში დოკუმენტების გარეშე. ეს სქემა, მაქსიმუმ, ექვსი თვის ვადით მუშაობის უფლებას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც ირლანდიაში ხუთ წელზე ნაკლებ დროს ცხოვრობენ და მუშაობენ; ამ ხნის გასვლის შემდეგ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებმა, რომლებმაც ვერ მოიპოვეს გარანტირებული მუშაობის უფლება, ვალდებულნი არიან, ირლანდია დატოვონ. ამ სქემას მარეგულირებელი დატვირთვა არ გააჩნია და ყოველი შემთხვევა ცალკე განიხილება. ბოლო ხანებში ირლანდიამ უფრო მკაცრი პოლიტიკა შემოიღო ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან მაღალკვალიფიციური შრომითი მიგრანტების მიმართაც.

ახლა, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ირლანდია ახალი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროების წინაშე დგას შემცირებული, მაგრამ მაინც მაღალი იმიგრაციის დონის გამო და

ირლანდიაში კანონიერად მცხოვრები დიდი რაოდენობის უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან დაკავშირებით. ეს საკითხები მოიცავს იმიგრანტებსა და ირლანდიის მოქალაქეებს შორის უმუშევრობის ზრდას და სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე ზეგავლენას.

2006 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ირლანდიაში მცხოვრები 419,733 ადამიანი სხვაგან იყო დაბადებული. მათი უმეტესობა წარმოშობით (აღმოსავლეთი) ევროპიდან (163,227), აზიიდან (46,952) და აფრიკიდან (35,326) არის. ეს რიცხვი ირლანდიის მთლიანი მოსახლეობის (4.172,013) თითქმის მეათედს (9.93%) შეადგენს, მაგრამ, რეალურად, იმიგრანტების რაოდენობა ირლანდიაში აღწერის დროსაც მეტი იყო და აღწერის შემდეგაც გაიზარდა ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების – განსაკუთრებით, პოლონეთისა და ლიტვის – წყალობით[3]. ეს ე.წ. „ახალი ირლანდიელები“ ირლანდიის ტერიტორიაზე თავის დიასპორულ ორგანიზაციებს აყალიბებენ.

დიასპორასთან ურთიერთობები

ირლანდია ბოლო პერიოდამდე ცალსახად ემიგრაციულ ქვეყანას წარმოადგენდა. ირლანდიელების ორსაუკუნოვანი ემიგრაციული ისტორიის შედეგად მსოფლიოში ცხოვრობს დაახლოებით 70 მილიონი, გარკვეულწილად, ირლანდიური წარმომავლობის ადამიანი. 3.1 მილიონი ირლანდიელი მოქალაქე (პასპორტის მფლობელი) ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს; აქედან 800 ათასი ირლანდიაში არის დაბადებული (500 ათასი დიდ ბირტანეთში, 156 ათასი აშშ.-ში, 50 ათასი ავსტრალიაში, 22,800 კანადაში, 16 ათასი საფრანგეთში, 16 ათასი გერმანიაში და 8 ათასი ესპანეთში).

ბევრი ირლანდიელი მოქალაქე და მათი შთამომავალი, რომლებმაც საზღვარგარეთ ახალი ცხოვრება დაიწყეს, წარმატებით ერთიანდებიან კლუბებში, ცენტრებსა თუ ქსელებში, რომლებიც მათი ეროვნული იდენტობის ირგვლივ იქმნება. ასეთი გაერთიანებები ითავსებს და ასრულებს მნიშვნელოვან ფუნქციებს დიასპორის, ირლანდიის სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების სახელით.

მსოფლიოში ბევრი სხვადასხვა ირლანდიური ორგანიზაცია და ქსელი არსებობს – მოყოლებული ადგილობრივი კლუბებიდან (მაგ., ირლანდიური ცეკვის სკოლები) და დამთავრებული გლობალური ქსე-

[3] იხ. სქოლიო 1

ლების განშტოებებით (მაგ., ჰიბერნელების უძველესი ორდერი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ადგილას ირლანდიური დიასპორული გაერთიანებები განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა სიდიდისაა ირლანდიური თემი და როგორ არის წარმოდგენილი მათ საქმიანობებში პატრიოტიზმი/ ინტერესი/ ვალდებულებები ირლანდიის მიმართ. ეს კი განაპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- წამოსვლამდე ირლანდიაში ცხოვრების პირობები
- პირობები ახლანდელ სამშობლოში და ინტეგრაციის/ასიმილაციისა თუ კონფლიქტის პროცესები
- ირლანდიაში არსებული პოლიტიკური ვითარება
- კულტურული პროცესები, რომელიც მემკვიდრეობისა და მეხსიერების მიმართ ინტერესს აღძრავს.

ზოგ ადგილას ირლანდიური დიასპორა კარგად არის ორგანიზებული, ზოგან – არა. ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ძლიერია დიასპორის იდენტობა და ინტენსიურია აქტივობები, ბევრი ადამიანი სულ არ ერთვება ან თითქმის არ მონაწილეობს დიასპორის საქმიანობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიური დიასპორა შეიქმნა ბუნებრივად, თვითორგანიზებით, კათოლიკური ეკლესიის დახმარებით. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციებსა თუ ქსელს ირლანდიის სახელმწიფოსგან დახმარება არ მიუღია; მათ აქვთ მხარდაჭერა საელჩოებისა და საკონსულოებისგან, მაგრამ ირლანდიის მთავრობას დიასპორის სტრუქტურული ორგანიზების მცდელობა ბოლო დრომდე არ ჰქონია.

ბოლო ხანებში ირლანდიის მთავრობამ უფრო აქტიური პოზიცია დაიჭირა დიასპორასთან ურთიერთობების თვალსაზრისით; ის ქმნის ოფიციალურ სტრუქტურებს დიასპორული პოლიტიკის გასატარებლად. ასეთია, მაგალითად, 2002 წელს ემიგრანტების მიმართ პოლიტიკის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, ირლანდიის მეწარმეები, დიონის მრჩეველთა კომიტეტი და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შექმნილი საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელების ოფისი. ეს ოფისი დაფინანსებითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფს პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საზღვარგარეთ მყოფ ირლანდიელებს ეხმარებიან.

ირლანდიის მთავრობამ ბოლო წლებში შეიმუშავა პროგრამების და სქემების ფართო სპექტრი, რომლის მეშვეობითაც იგი დიასპორას-

თან მუშაობს. მთავრობამ დიასპორულ საზოგადოებებში მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო – მარტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 60 მილიონი ევრო გაიღო[4]. ამ კუთხით, ირლანდია მთელი რიგი ქვეყნებისათვის სანიმუშოა. ირლანდიური დიასპორა მუდმივად ინარჩუნებდა კავშირს ირლანდიასთან და ყოველთვის მოქმედებდა როგორც ტრანსნაციონალური დიასპორა.

დიასპორის კავშირი ირლანდიასთან ცვალებადი, კომპლექსური და ხშირად წინააღმდეგობრივი იყო. ბოლო პერიოდამდე ირლანდიიდან წასული და დიასპორაში გაერთიანებული პირების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო და 1980-იან წლების ბოლოს წასულთა შორის ბევრი უკან დაბრუნდა. მიუხედავად ბოლო წლების დაღმავლობისა, ირლანდიის ეკონომიკური პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და საზღვარგარეთიდან დახმარებისა და ფილანთროპიის საჭიროება იმდენად აქტუალური აღარ არის. დღეს დიასპორას ირლანდიასთან ურთიერთობა ახალ, ჯერ კიდევ გამოუცდელ ფაზაზე გადადის. ითვლება, რომ დიასპორა ირლანდიის ისტორიის განუყოფელი ნაწილია და ირლანდიის მომავალშიც იგი დიდ როლს შეასრულებს.

დიასპორა პასუხისმგებლობაც არის და დიდი პოტენციური რესურსიც. ამას ირლანდიის სახელმწიფოც აცნობიერებს და ამ კუთხით უკვე ბევრი პროგრამაც არის შქმნილი. დიასპორა, უპირველსად, არის ვალდებულება, რადგან ირლანდიის მოქალაქეები ირლანდიის მოქალაქეებად რჩებიან[5], გარდა ამისა, ბევრი ირლანდიელი თავის სამშობლოს საზღვარგარეთიდანაც ემსახურება. დიასპორა დიდი პოტენციური რესურსიცაა; ირლანდიური წარმომავლობის მქონე მილიონობით ადამიანი ამოუწურავ უნარებს, ცოდნას, კონტაქტებს, ბიზნეს-კავშირებს, ფინანსურსა თუ პოლიტიკურ რესურსებს ფლობს, რაც შეიძლება ირლანდიას მისი ეკონომიკის აღმშენებლობაში დაეხმაროს.

ირლანდიას დიასპორასთან ურთიერთობისათვის სხვადასხვა ტიპის პროგრამები და სქემები აქვს შემუშავებული. ეს პროგრამები და სქემები ერთად მრავალფეროვან მომსახურებასა და პარტნიორობას სთავაზობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ირლანდიურ დი-

[4] Aikins, K., Sands, A., White, N., (2009): *A comparative review of international diaspora strategies*, The Ireland Funds, Dublin, გვ. 3.

[5] ირლანდიაში დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა (ავტორის შენიშვნა).

ასპორას და ისეთ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც ბევრი სხვა ქვეყანა ვერ შეედრება მასშტაბითა და წვდომით. დიასპორის განსავითარებლად და სამშობლოსთან მისი კავშირის გასაძლიერებლად ირლანდიის მთავრობა აქტივობებს ამჯერად შემდეგ სფეროებში ახორციელებს:

1. ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება დიასპორის სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად
2. დიასპორის სამშობლოსთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის შექმნა
3. დიასპორისთვის მოქალაქეობით სარგებლობის უფრო ფართო შესაძლებლობების მინიჭება, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მიწოდების კუთხით
4. დიასპორული პატრიოტიზმის ჩამოყალიბება კულტურული აქტივობების, განათლების მიღების და ენის შესწავლის მხარდაჭერით
5. ფილანთროპიის ხელშეწყობა ირლანდიის დასახმარებლად
6. ბიზნეს-კავშირების ჩამოყალიბება დიასპორული ინვესტიციების მოსაზიდად
7. ირლანდიაში მიგრანტთა დაბრუნების ხელშეწყობა – მიგრანტთა ინტეგრაციის მხარდაჭერა
8. დიასპორის სიახლოვის იდეის ხელშეწყობა.

1) ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება დიასპორის სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად

პირველი, რაც აკავშირებს ირლანდიის სახელმწიფოს და დიასპორას, არის უცხოეთში განლაგებული ირლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენლობები, საკონსულო დეპარტამენტები და საელჩოები. ირლანდიას მსოფლიოში 56 საელჩო და 8 საკონსულო აქვს, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს (დეპარტამენტის) წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული და დიპლომატიური და საკონსულო მომსახურების მთელ სპექტრს ახორციელებს. გარდა ამისა, ირლანდიას აქვს 93 საკონსულო, რომელთაც საპატიო კონსულები წარმოადგენენ და რომლებიც შესაძლოა სრულ საკონსულო მომსახურებას არ ეწევიან ან ამგვარ საქმიანობას არასამუშაო საათებში ეწევიან. მომსახურება მოიცავს საპასპორტო

და მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს; დახმარების გაწევას ავადმყოფი ან საზღვარგარეთ ჰოსპიტალიზებული ირლანდიელი მოქალაქეებისათვის ან მათთვის, ვინც უცხოეთში დანაშაულის მსხვერპლი გახდა ან უკიდურეს გაჭირვებაში აღმოჩნდა; დაკავებული ან დაპატიმრებული მოქალაქეების, საზღვარგარეთ გარდაცვლილების ან ფართომასშტაბიანი კატასტროფების დროს დაზარალებულების პრობლემების მოგვარებას. ამგვარი მომსახურება ირლანდიის ყველა მოქალაქეს ეხება. საელჩოები და საკონსულოები თავისი მანდატის ფარგლებში ხშირად უკავშირდებიან დიასპორას, ესწრებიან დიასპორის ღონისძიებებს, იძლევიან კონსულტაციებს, უწევენ არაფულადი სახის დახმარებას და აფინანსებენ ადგილობრივი დიასპორის ორგანიზაციებს. ბოლო წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთში მცხოვრები ირლანდიელების ოფისს (Irish Abroad Unit of the Department of Foreign Affairs) უფლებამოსილება მიენიჭა, კოორდინაცია გაუწიოს დიასპორასთან ურთიერთობის საკითხებს; ამ საკითხებისადმი დიდ ინტერესს იჩენს პრეზიდენტის ოფისი და ირლანდიელ მეწარმეთა კავშირი (Enterprise Ireland).

2) დიასპორის სამშობლოსთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის შექმნა

დიასპორისათვის ფართომასშტაბიანი საინფორმაციო პორტალების შექმნა დამოუკიდებელი ორგანიზაციების პრეროგატივად დარჩა, თუმცა ზოგი მათგანი დაფინანსებასა და კონსულტაციებს სახელმწიფო სტრუქტურებიდან იღებს. მაგალითად, ემიგრანტების დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გამოიყო რამდენიმე ონლაინ საინფორმაციო მომსახურებისათვის, მათ შორის, Crosscare Migrant პროექტისათვის (www.migrantproject.ie), ბრიტანეთის ირლანდიური ქსელისათვის (www.in-gb.co.uk) და ამჟამად შეჩერებული ემიგრანტთა საკონსულტაციო ქსელისათვის (www.ean.ie). სოციალურ და ოჯახურ საქმეთა დეპარტამენტმა Crosscare Migrant პროექტისათვის გამოყო დაფინანსება. დამოუკიდებელი ორგანიზაცია, Emigrant News, მისი ვებ-გვერდის (www.emigrant.ie) მეშვეობით ყოველკვირეულად აქვეყნებს სიახლეებს. მის მონაცემთა ბაზაში 30 ათასზე მეტი მომხმარებელია დარეგისტრირებული. Irishabroad.com და EuropeanIrish.com მრავალფეროვან ინფორმაციას აქვეყნებს ირლანდიისა და დიასპორის შესახებ, დებს ირლანდიასთან დაკავშირე-

ბული სხვა ვებ-გვერდების მისამართებს, სთავაზობს სოციალური კავშირების სხვადასხვა საშუალებას, მათ შორისაა: ბლოგები, სადისკუსიო ფორუმები, საჯარო ჯგუფები, სათემო ფორუმები და პაემნები. Irishabroad.com-ს 240 ათასზე მეტი რეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავს. გარდა ამისა, RTÉ და სხვა ადგილობრივი და ეროვნული რადიო-არხები მაუწყებლობას ინტერნეტშიც ავრცელებენ, ხოლო ირლანდიური გაზეთების უმეტესობა ხელმისაწვდომია on-line რეჟიმში. მიმდინარეობდა დისკუსია RTÉ-ს მიერ სატელიტური არხის ყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს გეგმები დროებით შეჩერდა დაფინანსების შემცირების გამო.

3) დიასპორისთვის მოქალაქეობით სარგებლობის უფრო ფართო შესაძლებლობების მინიჭება, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების მიწოდების კუთხით

Díon-ის კომიტეტის ფარგლებში ირლანდიის მთავრობა 1984 წლიდან ირლანდიურ თემსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს გრანტებს აძლევს, რათა მათ ირლანდიური თემის შეჭირვებულ წარმომადგენლებს კონსულტაციები გაუწიონ და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ. გარდა ამისა, 1989 წლიდან სამთავრობო დაფინანსება გამოიყოფა ა.შ.შ.-ში ირლანდიური სათემო ორგანიზაციების მხარდასაჭერად. 2003 წელს ემიგრანტთა მომსახურებაზე პასუხისმგებლობა ბრიტანეთის საწარმოო, სავაჭრო და დასაქმების დეპარტამენტიდან საგარეო საქმეთა დეპარტამენტს გადაეცა, რითაც მსოფლიოს მასშტაბით ემიგრანტთა მომსახურების ცენტრალიზება მოხდა. 2004 წლის სექტემბერში საგარეო საქმეთა დეპარტამენტში შეიქმნა სპეციალური სამსახური – „უცხოეთში მცხოვრები ირლანდიელების ოფისი“, რომელიც ამ ახალი ცენტრალიზებული პროგრამის (ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამა) კოორდინაციაზეა პასუხისმგებელი. ეს პროგრამა მთავარ აქცენტს, კულტურული თვალსაზრისით, სენსიტიურ და საჭირბოროტო მომსახურებებზე აკეთებს, რაც საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველაზე სოციალურად დაუცველ ირლანდიელებს ეხება. ხანშიშესული ირლანდიელი ემიგრანტები, მათ შორის, 1950-იან წლებში წასული ადამიანები ამ პროგრამის მთავარი ბენეფიციარები არიან. თუმცა, დაფინანსება სოციალურად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფებისთვისაცაა განკუთვნილი, როგორებიც არიან დოკუმენტების არმქონე ირლანდიელები ამერიკაში, უსახლკარო ადამიანები ბრი-

ტანეთში და კონკრეტული სირთულეების, მაგალითად, ალკოჰოლზე დამოკიდებულების ან მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები. პროგრამა საზღვარგარეთ პატიმრების ირლანდიურ კომისიასაც აფინანსებს, რომელიც საზღვარგარეთ პატიმრობაში მყოფ ირლანდიელ მოქალაქეებს ეხმარება. ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამის მთავარი ფოკუსი სოციალურ დახმარებაზე არის მიმართული, მაგრამ 2003 წლიდან მისი გაფართოების შემდეგ (დაფინანსება ხუთჯერ გაიზარდა – 3 მილიონი ევროდან 15 მილიონ ევრომდე) მთავრობას შესაძლებლობა მიეცა, ინვესტიცია ჩაედო სათემო და მემკვიდრეობითი ტიპის პროექტებში, რომლებიც ირლანდიური იდენტობის გაძლიერებას ემსახურება. პროგრამა გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვალისწინებულ პროექტებსაც აფინანსებს. ეს ე.წ. „კაპიტალური“ გრანტები ბოლო წლებში პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ირლანდიის დიასპორის მიმართ სამთავრობო მიდგომის ნაწილია: საზღვარგარეთ მოქმედ ირლანდიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კავშირების გამყარება და მათი ხანგრძლივი საქმიანობისათვის სათანადო პერსპექტივების შექმნა. გარდა ამისა, ირლანდიის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი მუშაობს რამდენიმე სქემის მიხედვით; ისინი შექმნილია სახელმწიფო უწყებებში იმ ირლანდიელი ბავშვების დასახმარებლად, რომლებიც ემიგრაციაში წავიდნენ: აქ იგულისხმება შეურაცხყოფის ფაქტების გამოძიება, დახმარების აღმოჩენა და საგანმანათლებლო გრანტების გამოყოფა.

4) ირლანდიური სულისკვეთების და დიასპორული პატრიოტიზმის ჩამოყალიბება

კულტურული აქტივობები და ენის შესწავლა

2005 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო უწყება „ირლანდიის კულტურა“, რომელიც ირლანდიის ხელოვნებისა და კულტურის საერთაშორისო დონეზე წარდგენასა და ირლანდიის საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მთავარი მიზანი ისაა, ირლანდიელ ხელოვნებს და კულტურის მოღვაწეებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის შესაძლებლობა მიეცეთ, მაგრამ იგი ირლანდიური სულისკვეთების ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს. ბევრი პროექტი, რომელსაც ეს უწყება ახორციელებს, დიასპორისა და სხვა კულტურების წარმომადგენლების ჩართულობას ითვალისწინებს. საელჩოებისა და საკონსულოების ქსელიც

ხელს უწყობს დიასპორის კულტურულ საქმიანობას იმით, რომ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობს, მათ შორის, მსოფლიო მასშტაბით წმინდა პატრიკის დღის აღნიშვნას. ამის მსგავსად, ორგანიზაცია Ireland Funds მასპინძლობს დიასპორასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობას, რომელიც ირლანდიური იდენტობისა და სულისკვეთების გაძლიერებაზეა მიმართული. ირლანდიის თემის და სოფლის განვითარების დეპარტამენტთან შექმნილი ფონდი „Ciste na Gaeilge" აფინანსებს ირლანდიური ენის სწავლებას საზღვარგარეთ. კურსის დასრულებისას სტუდენტები TEG გამოცდას აბარებენ, ხოლო ყველაზე წარმატებულები საზაფხულო კურსებს კარაორეში გადიან, Co. Galway.

დიასპორის სოციალური ქსელების შექმნა, ფასილიტაცია და გაძლიერება

სოციალური ქსელების აქტივობებს დიასპორა ისევ დიასპორისათვის ახორციელებს. მაგალითად, Ireland Funds, სხვადასხვა ბიზნესქსელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კლუბები – ყველა აწყობს ღონისძიებებს და ზოგჯერ ვირტუალურ პლატფორმებსაც ქმნიან, რათა დიასპორის წარმომადგენლებმა ერთმანეთი იპოვონ და თანატოლები გაიცნონ. ზოგადად, ირლანდიური სახელმწიფოს ჩართულობა ამგვარი სოციალური ქსელების ჩამოყალიბებაში არაფულადი ან ფულადი სახის დახმარებით გამოიხატება. როგორც უკვე აღინიშნა, ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსება საზღვარგარეთ მოქმედ ირლანდიურ სათემო ორგანიზაციებსაც ეძლევათ მრავალფეროვანი სათემო და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პროექტების მხარდასაჭერად; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტრატეგიულ, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ინიციატივებს, როგორებიცაა: GAA განვითარების პროგრამები ბრიტანეთსა და ამერიკაში და უფრო მცირე სათემო პროგრამები ირლანდიურ ცენტრებსა და ორგანიზაციებში მთელს ბრიტანეთში, ამერიკაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში.

დიასპორისათვის სამშობლოში მოკლევადიანი და ტურისტული ვიზიტების ორგანიზება

"Bord Failte" ცდილობს, ირლანდიის, როგორც სასურველი ტურისტული მიმართულების, პოპულარიზაცია მოახდინოს რაც შეიძლება დიდი მასშტაბით, მაგრამ მისი სპეციფიკური სამიზნე ჯგუფი არის დიასპორა, როგორც ირლანდიაში ვიზიტით ჩამოსვლის ყველაზე რე-

ალური მსურველი. მსგავსად ამისა, “Aer Lingus” არის უნიკალური მარკეტინგული პოლიტიკის მქონე ავიაკომპანია, რადგან ტრადიციულად თავს პოპულარიზაციას უწევს არა იმ მიმართულებების გაპიარებით, სადაც დაფრინავს, არამედ იმით, რომ ის სწორედ ირლანდიიდან ახორციელებს ფრენებს. ორივე კომპანიამ ხელი შეუწყო დიასპორის წარმომადგენლების ირლანდიაში ვიზიტებს. ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება Aisling Return to Ireland პროექტის სქემა, რომლის ფარგლებშიც ბრიტანეთში დიდი ხნის მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ირლანდიელებს ყოველწლიურად ირლანდიაში დასვენების საშუალება ეძლევათ.

5) ფილანთროპიის ხელშეწყობა ირლანდიის დასახმარებლად

ირლანდიაში ნაკლებად არის დანერგილი ფილანთროპიის ხელშემწყობი მექანიზმები, მაგრამ დიასპორებში მათ წარმატებით იყენებენ. Ireland Funds, International Fund for Ireland (IFI) და Atlantic Philanthropies (AP) ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია. ბოლო 30 წლის განმავლობაში Ireland Funds-მა 300 მილიონ ევროზე მეტი მოიზიდა ირლანდიაში პროექტების დასაფინანსებლად: IFI-მ 850 მილიონ ევროზე მეტი, ხოლო AP-მ 1.2 მილიარდზე მეტი. ამჟამად Ireland Funds გულდასმით შეისწავლის სიტუაციას, რათა თავისი მომავალი პრიორიტეტები განსაზღვროს. ჩრდილო ირლანდიაში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა. ირლანდიის რესპუბლიკაში, რომელიც აღარ არის ეკონომიკურად ჩამორჩენილი, თანხების მოზიდვის პრობლემაც მწვავედ აღარ დგას. როგორც ჩანს, Ireland Funds შეეცდება წარმოჩნდეს გლობალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციად და დონაციები სხვადასხვა საჭიროების მქონე რეგიონებისკენ მიმართოს.

6) ბიზნეს-ქსელების ჩამოყალიბება დიასპორული ინვესტიციების მოსაზიდად

ირლანდიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა გლობალურ დონეზე ირლანდიური დიასპორებიდან ინვესტიციები მოეძიებინა და მათთან ბიზნეს-პარტნიორობა დაემყარებინა. უცხოური ინვესტიციების მოძიებაზე ირლანდიაში პასუხისმგებელია Industrial Development Agency (IDA), რომელსაც ირლანდიის გარეთ 14 ფილიალი აქვს შექმნილი. მისი სამიზნეა ნებისმიერი კომპანია, რომელსაც ირ-

ლანდიაში ბიზნესის დაწყების პოტენციალი აქვს; ის ხელს უწყობს ირლანდიელების ან მათი შთამომავლების მფლობელობაში ან მმართველობაში მყოფი კომპანიების ბიზნესებსაც. Enterprise Ireland, რომელსაც ირლანდიის გარეთ 31 წარმომადგენლობა აქვს, სამთავრობო სააგენტოა, რომელიც ირლანდიური ბიზნეს-სექტორის განვითარებასა და ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული და საერთაშორისო კომპანიებსა და ბიზნესმენებს ირლანდიელი მიმწოდებლების მოძიებასა და ირლანდიურ კომპანიებში ინვესტიციის ჩადებაში ეხმარება. ამჟამად Enterprise Ireland ფულადი თუ არაფულადი სახით ეხმარება დაახლოებით სამოცამდე ირლანდიურ ბიზნეს-ქსელს, რომლებიც მთლიანად 30 ათას წევრს მოიცავს. ეს ქსელი მისი წევრების საქმიანობის ხელშესაწყობად გამოიყენება როგორც ირლანდიაში, ისე მის გარეთ; იგი, სტრატეგიულად, ირლანდიური ბიზნესისა და პროდუქციის მარკეტინგსაც ეწევა, რათა ირლანდიურმა კომპანიებმა ახალ ტერიტორიებსა თუ ბაზრებზე შესვლა შეძლონ, ხოლო ირლანდიაში შემომავალ ინვესტიციებს ხელი შეეწყოს. ამ უკანასკნელის მაგალითია ახლახან შექმნილი Irish Technology Leadership Group (ITLG), რომლის წევრებიც Silicon Valley-ს ირლანდიური წარმოშობის მაღალი რანგის მენეჯერები არიან. ისინი ირლანდიურ კომპანიებში ინვესტიციის ჩადებას ცდილობენ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ სურთ, ირლანდიას დაეხმარონ, მაგრამ ამავე დროს ამ ინიციატივას კარგ და მომგებიან საქმედ თვლიან საკუთარი ბიზნესისა და წევრებისათვის. სხვა ქვეყნების, მაგალითად, შოტლანდიისა და ჩილესგან განსხვავებით, რომლებიც უფრო ერთი ელიტარული ბიზნეს-ქსელის ჩამოყალიბებას ცდილობენ დიასპორის წარმატებულ და მაღალი დონის წევრებთან, ირლანდიამ უფრო პლურალისტური მიდგომა შეიმუშავა, რომელიც რამდენიმე ბიზნეს-ქსელის განვითარებას ისახავს მიზნად და კონტაქტებისა და საწარმოების ბაზის ზრდას გულისხმობს. ზოგიერთი ეს ქსელი თავდაპირველად Enterprise Ireland-ის მიერ ჩამოყალიბდა, მაგალითად, Techlink-UK და Biolink Ireland-USA და ზოგიც დიასპორის მიერ იქნა ინიცირებული. ძირითადად, ქსელის მფლობელები და მმართველები თვით წევრები არიან; ქსელის ფუნქციობა სოციალური/ბიზნეს-ქსელების საიტების მეშვეობით ხდება, რომელთა უმრავლესობა რეგულარულ პირისპირ შეხვედრებსაც ანყობს. გარდა ამისა, არაერთი ირლანდიური ბიზნეს-ფორუმი და სავაჭრო პალატა არსებობს. მაგალითად, Asia Pacific Business ფორუმი 11 ირლანდიურ ბიზნეს-ჯგუფს აერთიანებს წყნარი ოკეანის და სპარსეთის ყურის აუზის ქვეყნებში და ხელს უწყობს იდეებისა და რესურსების

მიმოცვლას, რათა რეპუტაცია გაიმყარონ და კავშირები განავითარონ. რაც შეეხება ირლანდიის სავაჭრო პალატას, იგი აშშ ტრანსნაციონალური ეკონომიკური ქსელია, რომელსაც ამერიკაში 13 წარმომადგენლობა აქვს. Ireland Funds-ის ღონისძიებები ბიზნეს-კავშირების მნიშვნელოვან ფუნქციასაც ითავსებს. ამ ბიზნეს-ქსელების მასშტაბი მნიშვნელოვანია, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს განვითრების ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა, ეს განსაკუთრებით ეხება პროფესიული ქსელების შექმნას.

2011 წლის 7-8 ოქტომბერს ირლანდიის მთავრობამ ირლანდიის რესპუბლიკური პარტიის (Fianna Fáil) მეთაურობით დუბლინში გლობალურ ირლანდიურ ეკონომიკურ ფორუმს უმასპინძლა. ფორუმი დიასპორისა და ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებულ სამ ძირითად საკითხს ეძღვნებოდა:

- ირლანდიურ დიასპორასთან სრულად ჩართულობა ირლანდიის გლობალური ბიზნესისა და სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის
- ეკონომიკურ განახლებასთან დაკავშირებული სამთავრობო პრიორიტეტების პირისპირ განხილვა საერთაშორისო ბიზნეს-საზოგადოების წევრებთან ერთად
- ირლანდიურ დიასპორასთან კავშირის გაძლიერება, როგორც მთავრობის მიერ ირლანდიის საერთაშორისო რეპუტაციის აღდგენის ძირითადი ელემენტი

ფორუმზე გაჩნდა არაერთი იდეა, რომლებიც ითვალისწინებს დიასპორის ეკონომიკის განვითარებაში ირლანდიის ჩართულობას.

7) ირლანდიაში მიგრანტთა დაბრუნების და ინტეგრაციის ხელშეწყობა, შესაბამისი სერვისების მიწოდება

1993 წლიდან ირლანდიაში შემოსულ მიგრანტთა 40% (200 ათასზე მეტი) დაბრუნებული ირლანდიელები არიან[6], რომელთაც ქვეყანა 1980-იან წლებში დატოვეს (მცირე ნაწილი ქვეყნიდან 1950-იან წლებში წავიდა). ირლანდიის ეკონომიკის სიძლიერისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოების პირობებში, როგორც ჩანს, საჭირო არ იყო ირლანდიელების ქვეყანაში დასაბრუნებლად რაიმე სპეციალური ღონისძიების გატარება. ირლანდიელები სხვა სასურველ მაღალ-

[6] Ancien, D., Boyle, M., Kitchin, R.,(2009): *Exploring Diaspora Strategies: Lessons for Ireland,* National Institute for Regional and Spatial Analysis (NIRSA), p.12.

კვალიფიციური მიგრანტების მოსაზიდ ღონისძიებებში მოიაზრებოდნენ. მაგალითად, 1990-იანი წლების შუა ხანიდან მეწარმეობის, ვაჭრობისა და დასაქმების დეპარტამენტმა და სოციალური და ოჯახური საკითხების დეპარტამენტმა საზღვარგარეთ რამდენიმე სავაჭრო გამოფენა მოაწყო, რაც ირლანდიაში ტალანტების მოზიდვას ისახავდა მიზნად. ეს გამოფენები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ირლანდიური დიასპორის წარმომადგენლებსაც იწვევდა დასაბრუნებლად. დაბრუნების სურვილის მქონე ემიგრანტთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ორგანიზაცია იძლევა საჭირო კონსულტაციებს. მაგალითად, Crosscare Migrant Project (რომელიც ადრე Emigrant Advice-ის სახელით იყო ცნობილი), მისი „Returning to Ireland“ მომსახურების ფარგლებში იძლევა ინფორმაციას დაბრუნებული მიგრანტების სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული უფლებების შესახებ. ემიგრანტთა ხელშეწყობის პროგრამა გრანტებს იძლევა „უსაფრთხო სახლის“ პროგრამისათვის, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციაა და ხანშიშესულ ირლანდიელ ემიგრანტებს საჭირო რჩევებსა და კონსულტაციას აწვდის ირლანდიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. „უსაფრთხო სახლი“ თანამშრომლობს გარემოს, ადგილობრივი მთავრობისა და თემის დეპარტამენტთან, რომელიც აფინანსებს მოხალისე ბინათმშენებარე ორგანიზაციებს, რათა ხანშიშესულმა დაბრუნებულმა მიგრანტებმა შეძლონ დააკმაყოფილონ ის კრიტერიუმები, რომლებიც საჭიროა ბინების 25%-ის თანადასაფინანსებლად.

8) „ახლო დიასპორის“ იდეის ხელშეწყობა

ოფიციალური პოლიტიკა დიასპორის სიახლოვის[7] ჩამოყალიბების შესახებ ირლანდიის მთავრობას არ გააჩნია, მაგრამ მისი ზოგი საქმიანობა, ნაწილობრივ, დე-ფაქტო დიასპორის სიახლოვეს ქმნის. აქ იგულისხმება სხვადასხვა ქვეყანას შორის ბიზნეს-კავშირების შექმნა და გაძლიერება ურთიერთთანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად. მაგალითად, ირლანდია-თურქეთის ბიზნეს-ასოციაცია (Ireland Turkey Business Association (ITBA) ქმნის კავშირებს ირლანდიაში

[7] ახლო დიასპორა ადამიანთა ნაკრებია, ძირითადად, ყოფილი იმიგრანტები და ტურისტები ან საქმიანი მიზნით მოგზაურები, რომელთაც განსხვავებული ნაციონალური ან ეთნიკური იდენტობა აქვთ, მაგრამ, რომლებიც განსაკუთრებულ სიახლოვეს გრძნობენ ამ ქვეყნის მიმართ და გამოდიან მისი სახელით მაშინაც, როცა იქ იმყოფებიან და მაშინაც, როცა შინ ბრუნდებიან და მაშინაც, როცა სხვა ქვეყანაში იმყოფებიან.

მცხოვრებ და ირლანდიურ ბიზნესში მომუშავე თურქებთან და ირლანდიულ ბიზნესს ეხმარება, რომ თურქეთში დამკვიდრდეს. რამდენიმე ასეთი ქსელის მხარდამჭერია IBEC-ს (ირლანდიის ბიზნესისა და დამსაქმებელთა კონფედერაცია, Irish Business and Employers Confederation) ექსპორტზე ორიენტაციის პროგრამა (EOP). გარდა ამისა, არაფულადი სახის დახმარება ეწვა სხვა ქვეყნების დიასპორის ორგანიზაციებს, რომლებიც ირლანდიაში მოქმედებენ. ამჟამად ირლანდიაში რამდენიმე ასეთი ორგანიზაციაა. დაბოლოს, ირლანდიის მთავრობა ახორციელებს საერთაშორისო განვითარების პროგრამებს ქვეყნებისა და მათი ხალხის დასახმარებლად; ამავე დროს მთავრობა ირლანდიური ბიზნესისათვის ქმნის ახალ ბაზრებსა და შესაძლებლობებს. ერთობლივად ეს პროგრამები და სქემები დიასპორასთან თანამშრომლობით მომსახურებათა ფართო სპექტრს ახორციელებს და წარმოადგენს წარმატებული პარტნიორობის ისეთ მოდელს, რომელსაც ბევრი ქვეყანა ვერ შეედრება მასშტაბით და წვდომით. მიუხედავად ამისა, დღეს მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული რესურსები, რის გამოც საკმარისი არ არის ამ პროგრამების მასშტაბი და ზეგავლენა.

დიასპორასთან ურთიერთობების გამოწვევები – ექსპერტთა აზრი

დიასპორის სტრატეგია ირლანდიის მთავრობის კონკრეტული პოლიტიკური ინიციატივაა, რომლის მიზანია დიასპორასთან ურთიერთობის ჩამოყალიბება. ეს დოკუმენტი 2009 წელს შეიქმნა და დღემდე ექსპერტებისა თუ საზოგადოების ფართო განხილვის საგანს წარმოადგენს. ექსპერტთა აზრით, იმისათვის, რომ დიასპორასთან ურთიერთობის არსებული სქემები გაძლიერდეს და გაფართოვდეს, ისინი უნდა გაერთიანდეს და ერთიანი დიასპორის სტრატეგიული დოკუმენტის ქვეშ მოექცეს.

ირლანდიისათვის სრულად ჩამოყალიბებული დიასპორის სტრატეგიის საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც 2009 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა *ემიგრანტებთან დაკავშირებული პოლიტიკის სამუშაო ჯგუფის ანგარიში*[8], რომელშიც საზღვარგარეთ მცხოვრები სოციალურად დაუცველი ირლანდიელებისათვის მხარ-

[8] http://www.dfa.ie/uploads/documents/task%20force%20on%20policy%20regarding%20emigrants.pdf

დაჭერის სერვისების გაწევა დადგა დღის წესრიგში. ამ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ კლუბების, ორგანიზაციების, ქსელებისა და სქემების არსებობა დიასპორას ძალიან ეხმარება და ირლანდიისათვის კვლავ დიდ სარგებელს წარმოადგენს.

ტრადიციული ირლანდიური დიასპორის ჯგუფებში წევრთა რიცხოვნობა (მაგ., Ancient Order of Hibernians, County societies) უფრო და უფრო კლებულობს; მათი წევრები, უმეტესად, ხანშიშესული ადამიანები არიან. ეს სამი გარემოებით არის გამოწვეული: (1) ბოლო წლებში საკმაოდ შემცირდა ირლანდიიდან ემიგრანტთა ნაკადი. ვინც წავიდა, განსაკუთრებით 1980-იან წლებში, უკან დაბრუნდა. (2) გარდა ამისა, შესუსტდა ირლანდიის დიასპორის წევრობის და მისი გაძლიერების ტრადიცია და საჭიროება. ანტიირლანდიური რასიზმის გამოვლენის შემთხვევებიც კვლავ ხდება, თუმცა საგრძნობლად შემცირდა. ირლანდიური დიასპორის წარმომადგენლების ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ერთმანეთის ფინანსური დახმარების საჭიროებაც თანდათან შემცირდა. დაბოლოს,(3) მიუხედავად იმისა, რომ კულტურული იდენტობა, ზოგადად, დიასპორისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, არსებული ჯგუფები და აქტივობები აღარ არის იმდენად მნიშვნელოვანი ბევრი ემიგრანტისთვის მათი ცხოვრების სტილისა და მსოფმხედველობის ცვლილების გამო, რაც ხშირად დიასპორის წევრებს შორის დაძაბულობას ქმნის (მაგალითად, იმ საკითხის გამო, თუ ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია წმინდა პატრიკის დღეს დემონსტრაციაზე გამოსვლა).

ამისგან განსხვავებით, ირლანდიური კულტურა – მუსიკა, ლიტერატურა, თეატრი, ფილმი – გლობალურად არის აღიარებული და ირლანდიის, როგორც კულტურული ცენტრის, რეპუტაციას კიდევ უფრო ამყარებს. ირლანდიაში სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მიგრანტების ნაკადმა საკმაოდ შეცვალა ირლანდიური საზოგადოების სურათი და ირლანდიის მოქალაქეები ახალი კოსმოპოლიტანიზმის გამოწვევის და ირლანდიელობის მნიშვნელობის ახლებური გაგების საჭიროების წინაშე დააყენა. უფრო მეტიც, ირლანდიის პრეზიდენტმა მერი მაკალოზიმ (Mary McAleese), მისი წინამორბედის პრეზიდენტი მერი რობინსონის (Mary Robinson) მსგავსად, თავისი მმართველობის დროს კიდევ უფრო მეტი ყურადღება გლობალურ ირლანდიურ ოჯახს მიაქცია; დიასპორის საკითხებს იგი ყოველთვის რთავს თავის პროგრამაში საზღვარგარეთ ვიზიტების დროს.

ექსპერტების აზრით, მიუხედავად ამ ცვლილებებისა და გამოწვევებისა, არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა და მასთან დაკავშირე-

ბული პრაქტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა ირლანდიასა და მის დიასპორას შორის კავშირების მუდმივად განვითარებას; ეჭვი არაა, რომ ამ კავშირების სრული პოტენციალი ჯერ კიდევ არ გამოვლენილა. არ არსებობს სხვაგვარი პოლიტიკა ირლანდიაში ჩამოსულ იმიგრანტებთან მიმართებაში, მათი ირლანდიაში ახლებური ცხოვრების ხელშეწყობის გარდა. აშკარად იკვეთება დიასპორასთან დაკავშირებული არსებული აქტივობების კიდევ უფრო გაფართოების და გაძლიერების საჭიროება, რათა ყველა მხარემ უფრო მეტი სარგებელი მიიღოს. ეს ორმხრივი სარგებელი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის იქნება.

ირლანდიის ურთიერთობა მის დიასპორასთან დღემდე ტიპურად ერთი მიმართულებით ხორციელდება (დიასპორიდან ირლანდიისაკენ). დიასპორასთან მიმართებაში ეროვნული სტრატეგიის გაძლიერება და გავრცობა ირლანდიას კვლავ მოწინავე – ინოვაციებისა და ინიციატივების ქვეყნად წარმოაჩენს სხვა ქვეყნების ფონზე, რომლებშიც საკუთარი სტრატეგიების შემუშავება სულ ახლახან დაიწყეს.

დიასპორის ჩართვის ირლანდიური მოდელი, ნაწილობრივ, სახელმწიფო, ნაწილობრივ, კერძო დაფინანსებას ითვალისწინებს. ბოლო წლებში ირლანდიამ დიასპორის მიმართ ინტერესები და ინოვაციური ინიციატივები გააძლიერა, რითაც სხვა ქვეყნების მხრიდან უფრო მეტი ყურადღება მიიქცია. ირლანდიის მაგალითი კარგად აჩვენებს, თუ როგორ უნდა იქნეს დანახული დიასპორის სიძლიერე და პოტენციალი და როგორ უნდა მოხდეს ამ რესურსის მოძიება, ზრდა, მოპოვება და გაძღოლა სტრატეგიულად გათვლილი გზით. აღიარებულია, რომ წარმატებული პოლიტიკა დიასპორის მიმართ ეყრდნობა დიასპორისათვის შეთავაზების/გაცემის და არა მისგან მოლოდინის/აღების პრინციპს. ასე რომ, ირლანდიის გამოცდილება და მეთოდოლოგია გარკვეულ საშუალებებს და ინსტრუმენტებს იძლევა, თუ როგორ უნდა მოხდეს დიასპორის ჩართულობის ამოქმედება. ეს მექანიზმები და ინსტრუმენტები სასარგებლო საშუალებაა იმ საზღვრების დასადგენად, რომლის იქით დიასპორის ეფექტური ჩართულობა შეიძლება გახდეს „გონივრული ძალაუფლების“ წამყვანი კომპონენტი.

ქვემოთ მოცემულია **კარგი პრაქტიკის ათი პრინციპი**[9], რომელიც ირლანდიისა და სხვა ქვეყნების დიასპორების სტრატეგიებს ეფუძნება და, ექსპერტთა აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

[9] Boyle, M., Kitchin, R., Ancien, D., (2011): *The NIRSA Diaspora Strategy Wheel and Ten Principles of Good Practice,* Diaspora Matters, Dublin, გვ.8.

1. დიასპორის სტრატეგია საკმაოდ ცენტრალიზებული უნდა იყოს, რათა ერთიანი იდენტობის, დანიშნულების შეგრძნების, კოლექტიური აზროვნების, ეკონომიკური გათვლებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების მიღწევა იქნეს შესაძლებელი; მაგრამ, ამასთან, საკუთარი ნებითაც უნდა მოქმედებდეს. კოორდინირებული ანარქია ყოველთვის საზიანო არ არის.
2. დიასპორის სტრატეგიაში ეკონომიკური კავშირები სოციალურ და კულტურულ კავშირებს არ უნდა გადაწონიდეს; ამით ის მდგრადი იქნება.
3. დიასპორის სტრატეგია ორმხრივად სასარგებლო უნდა იყოს მასპინძელი ქვეყნებისა და დიასპორის წევრებისათვის.
4. ქვეყნები, რომლებიც საკუთარ დიასპორას უკეთ იცნობენ, უკეთ შეძლებენ მასთან ურთიერთობას.
5. დიასპორის სტრატეგიაში „დიასპორა“ რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყოს გაგებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული რასისტული, ნაციონალური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტები. სადაც ეს შესაძლებელია, დიასპორის სიახლოვესთან დაკავშირებული პოლიტიკაც უნდა იყოს გათვალისწინებული.
6. დიასპორასთან დაკავშირებული რაიმე სტრატეგიის შემუშავება თავად დიასპორასთან კონსულტაციების საფუძველზე უნდა მოხდეს. იმისათვის, რომ სტრატეგიამ იმუშაოს, იგი თანაავტორობით უნდა შეიქმნას.
7. დიასპორის სტრატეგია გამჭვირვალე უნდა იყოს და მასში ანგარიშვალდებულების მექანიზმებს აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ. თუმცა, პოლიტიკური ჩარევის სპეციფიკისა და თვალით შეუმჩნეველი სარგებელის გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა მოხდეს პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზის, შეფასებისა და ეფექტურობის მახასიათებლების დადგენა.
8. დიასპორასთან დაკავშირებული სტრატეგიების კოორდინაციისათვის რაიმე იდეალური ინსტიტუციური ჩარჩო არ არსებობს. ყველა ქვეყანამ თავისებური ფორმატი უნდა შექმნას, რომელიც ასახავს ქვეყნის ინსტიტუციურ ისტორიას, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საჭიროებებსა და დიასპორის ისტორიას, სტრუქტურასა თუ ორგანიზებას.

9. დიასპორის სტრატეგია საუკეთესო პრაქტიკის შესახებ მზარდი საერთაშორისო დისკუსიების ნაწილი უნდა გახდეს და, დაკავშირებული უნდა იყოს პოლიტიკის გამავრცელებელ ქსელთან.
10. დიასპორის სტრატეგიის ფილოსოფიური გააზრება უნდა ხდებოდეს ქვეყნის სიღრმისეულ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ საჭიროებებთან კავშირში. ზედაპირული სლოგანების შემთხვევაში მოკლევადიანი სარგებლის მიღება შესაძლებელია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მისი წარმატება სათუოა. ერთიანი იდენტობა პროცესს კარგ სახეს და მეტ ენერგიას მიანიჭებს.

ბოლო ინიციატივები ირლანდიაში დიასპორასთან ურთიერთობის გაძლიერების თვალსაზრისით

2013 წლის ივლისში სენატორმა მარკ დალიმ – საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის საკითხებზე ირლანდიის ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ არჩეულმა პირველმა სპიკერმა – აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში ირლანდიაში პირველი პოლიტიკური დოკუმენტი წარადგინა[10], რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ირლანდიელებსა და დიასპორას ეძღვნებოდა. მათი სრულყოფის და გაუმჯობესების მიზნით ამჟამად ირლანდიაში ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს ორგანიზაციებთან, რომლებიც საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის საკითხებზე მუშაობენ. ქვემოთ მოყვანილია ამ დოკუმენტში შემოთავაზებული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის საკითხებზე მინისტრის პოსტის შემოღება საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში ხელს შეუწყობს ირლანდიური წარმომავლობის მქონე ადამიანების ირლანდიასთან სიახლოვის შენარჩუნებას. მინისტრი დაიცავს და ხელს შეუწყობს დიასპორისა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ირლანდიელთა უფლებებს და ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული კავშირების გაძლიერებას მსოფლიო ირლანდიურ საზოგადოებასა და ირლანდიას

[10] FIANNA FȧIL (The Republican Party), *Policy Proposal for the Irish Overseas and Diaspora*, xelmisawvdomia misamarTze: http://senatormarkdaly.files.wordpress.com/2013/09/diaspora-290813md-1.pdf

შორის. ახლანდელი სამთავრობო ორგანო, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის საკითხებზე მუშაობს, არის Irish Abroad Unit, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს პატარა ქვედანაყოფია. ეს უწყება საზღვარგარეთ მყოფ ირლანდიურ საზოგადოებასთან კავშირის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად ინტენსიურად მუშაობს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში დიასპორის საკითხებთან დაკავშირებით მინისტრიც ინიშნება.

ირლანდიური დიასპორა ეროვნული განძია. საზღვარგარეთ მცხოვრები მილიონობით ნიჭიერი, ინტელიგენტი და წარმატებული ადამიანი თავისი ირლანდიური წარმომავლობით ამაყობს. შესაბამისად, ირლანდიისათვის დიასპორასთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება და ურთიერთობის გაძლიერება მეტად მნიშვნელოვანია. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წარმატებული ირლანდიური დიასპორის გამოვლენა და კონტაქტების დამყარება ირლანდიელთა გლობალურ ქსელს შექმნის, საიდანაც როგორც ირლანდია, ისე დიასპორის მასპინძელი ქვეყანაც მიიღებს სარგებელს.

საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელების და დიასპორის მინისტრის მოვალეობას წარმოადგენს დიასპორასთან ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობების გაძლიერებას, რის შედეგადაც ირლანდიის მიმართ დაინტერესება გაიზრდება და სხვა ქვეყნებშიც გაჩნდება ირლანდიასთან ბიზნესის კეთების სურვილი. შედეგად, გაიზრდება შემოსავალი და ორმხრივი ინტერესი. როცა ირლანდია და დიასპორის მასპინძელი ქვეყანაც იღებს სარგებელს, ამას ინტერესთა თანხვედრის ორმხრივი ნაკადი ეწოდება. ის სხვადასხვა ფორმაში შეიძლება გამოიხატოს – ადამიანური, ფინანსური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ ინტელექტუალური კაპიტალის სახით. ჩვენი დიასპორის ჩართვით მნიშვნელოვნად შეგვიძლია ამ ურთიერთდაინტერესების გაზრდა, ვგულისხმობთ ყველანაირი კაპიტალის ზრდას. ფინანსური კაპიტალის ზრდა შეიძლება დიასპორის აქციების გაყიდვით, ირლანდიური საკრედიტო ბარათების შემოღებით, პირდაპირი ინვესტიციებით და ფილანთროპიით.

საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის რეესტრი. Fianna Fáil-ს სურს შექმნას დიასპორისა და საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელების სრულყოფილი და სწორად მართული მონაცემთა რეესტრი, რომელიც დიასპორასა და უცხოეთში მცხოვრებ ირლანდიელებს შორის ორმხრივი უწყვეტი კომუნი-

კაციისათვის იქნება გამოყენებული. რეესტრში შეტანილი იქნება სტრუქტურირებული ინფორმაცია ყველა იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ასოცირდება ირლანდიასთან, საზღვარგარეთ მცხოვრებ ირლანდიელებთან და დიასპორასთან. ამ რეესტრს აწარმოებს საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელების და დიასპორის მინისტრის აპარატი დიასპორასთან შეთანხმებით.

ჯგუფური დაფინანსება ფილანთროპიის ერთ-ერთი ფორმაა; ადამიანების ჯგუფი თავს უყრის გარკვეულ თანხას რაიმე საერთო ინტერესის მატარებელი პროექტის დასაფინანსებლად. ჯგუფური დაფინანსება ირლანდიაში უკვე დაიწყეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა iFund და Fund it. Fund it-ის ტვიტერის გვერდის მიხედვით, პირველი 22 თვის განმავლობაში მათ 25 ათასი შემომწირველის მეშვეობით წარმატებით დააფინანსეს 350 პროექტი. ჯგუფური დაფინანსების სქემის გლობალურ დონეზე გამოყენება საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის რეესტრის გამოყენებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ადამიანებს შესაძლებლობას მისცემს განახორციელონ ინვესტიცია იმ პროექტებში, რომლებიც მათ პირად ინტერესს შეესაბამება. პროექტების სისტემატიზირებული სიის ხელმისაწვდომობა დიასპორას ინტერესს გაუზრდის, დააფინანსონ მათი არჩევანის შესაბამისი ფილანთროპიული პროექტები.

Ireland Funds ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფილანთროპიული დიასპორული ქსელია მსოფლიოში. იგი გლობალურ დონეზე უკვე 1976 წლიდან მუშაობს, 12 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა და $450 მილიონზე მეტი მოიზიდა 1,200 ორგანიზაციისათვის. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრი შეეცდება ხელი შეუწყოს Ireland Funds-ის მიერ ჩამოყალიბებულ კავშირებსა და საქმიანობას და უფრო წარმატებული გახადოს ირლანდიური დიასპორა.

ირლანდიის პრეზიდენტის ჯილდო თვალსაჩინო დამსახურებისათვის (*Irish Presidential Distinguished Service Award*) იქნება შემოღებული, რათა ირლანდიის სახელმწიფომ აღიაროს საზღვარგარეთ მცხოვრები პირები, ძირითადად, ირლანდიის მოქალაქეები, ირლანდიის მოქალაქეობის კანდიდატები და ირლანდიური წარმომავლობის ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ ირლანდიის რესპუბლიკის ან/და საზღვარგარეთ არსებული ირლანდიური საზოგადოების წინაშე. ეს ჯილდო წარ-

მოადგენს უცხოეთში მცხოვრები იმ ირლანდიელების ფორმალური აღიარების სიმბოლოს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ირლანდიის საერთაშორისო რეპუტაციის გამყარებაში. დაჯილდოვდებიან ისინიც, ვინც, სულ მცირე, ხუთი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობს ირლანდიასა და უცხოეთში მცხოვრებ ირლანდიურ საზოგადოებას შორის ურთიერთობების გაღრმავებასა და მხარდაჭერაში.

ფილანთროპთა აღიარება. იმისათვის, რომ წავახალისოთ დიასპორის ფილანთროპიული ინიციატივები, დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, ინვესტირება მოახდინონ ირლანდიასთან დაკავშირებულ ფილანთროპიულ პროექტებში, უნდა გადაეცეს ირლანდიური მემკვიდრეობის სერტიფიკატი (Certificate of Irish Heritage), როგორც მათი საქმიანობის საყოველთაო აღიარება.

ურთიერთკავშირის გაძლიერება. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრი პასუხისმგებელი იქნება დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ირლანდიაში და მთელ მსოფლიოში განლაგებული სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათ კონსტრუქციულ მუშაობაზე. როგორც ირლანდიასა და ირლანდიურ დიასპორას შორის არის აუცილებელი კომუნიკაცია, ისევე აუცილებელია საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრის კომუნიკაცია ირლანდიის მთავრობის სხვა დანაყოფებთან. მთავრობის სხვა უწყებების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნება დიასპორისათვის და საზღვარგარეთ მყოფი ირლანდიელებისათვის სათანადო მომსახურების გაწევა. ასევე ძნელი იქნება დიასპორისა და საზღვარგარეთ მყოფთა დახმარება, თუ მინისტრს ღია დიალოგი არ ექნება დიასპორის მასპინძელი ქვეყნების მთავრობებთან. შესაბამისად, მინისტრის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს ირლანდიის მთავრობის სხვა უწყებების ხელმძღვანელებსა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მინისტრებთან ურთიერთობა.

დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს. სხვა ქვეყნებში შექმნილი საგანგებო სიტუაციების დროს საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრი დაეხმარება იმ ირლანდიელებს, რომლებიც კატასტროფის უშუალო მსხვერპლნი არიან. ბიუჯეტის ნაწილი სპეციალურად ასეთი შემთხვევებისთვის იქნება გამოყოფილი. მინისტრს შეეძლება რეესტრის, როგორც ფორუ-

მის, გამოყენებაც, რათა საზღვარგარეთ მცხოვრებ ირლანდიელებსა და დიასპორებს მოუწოდოს, დახმარება გაუწიონ თანამემამულეებს, რომლებსაც შეეხო კატასტროფა.

ხმის მიცემის უფლება. ხმის მიცემის სურვილის მქონე საზღვარგარეთ მცხოვრებ ირლანდიის მოქალაქეებსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მცხოვრებთ, როგორც ირლანდიელი ერის წარმომადგენლებს, მიეცემათ საშუალება, არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და ირლანდიის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება გამოიყენონ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრს დაევალება იზრუნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. იგი პასუხისმგებელი იქნება, ამ პროცესში ჩართოს უცხოური მთავრობები, რაც ხელს შეუწყობს უცხოურ და დიასპორის პირდაპირ ინვესტიციებს.

დიასპორის პირდაპირი ინვესტიციები. დიასპორათა პირდაპირი ინვესტიციები კაპიტალის შემოდინების მნიშვნელვანი ფორმაა ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ექსპერტების აზრით, „ზოგი დიასპორის წევრს სამშობლოში ინვესტიცია ფინანსური მოგების გამო აინტერესებს, ზოგს კი დიასპორისა თუ ორგანიზაციის შიგნით სოციალური აღიარება ამოძრავებს. სხვა წევრების მოტივაცია კი პოტენციური ემოციური კმაყოფილებაა, რასაც სამშობლოში ინვესტიციით იღებენ“[11]. როგორც ვხედავთ, დიასპორების მოტივაციები განსხვავებულია, მაგრამ მნიშვნელოვანი საბოლოო შედეგია. ჩვენი პრიორიტეტი არის დიასპორების ჩართულობა, მათთვის იმის მოწოდება, რომ დაეხმარონ ირლანდიის ეკონომიკურ განვითარებას.

ConnectIreland ინოვაციური ორგანიზაციაა, რომელიც ირლანდიაში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის. მისი მისია არის ისეთი უცხოური კომპანიების მოძებნა, რომლებიც სამუშაო ადგილებს შექმნიან ირლანდიაში; ამით ხელს შეუწყობენ ირლანდიის ეკონომიკის განვითარებას და თვითონაც საერთაშორისო დონეზე დაიმკვიდრებენ თავს. ირლანდიის მთავრობა კი ფინანსურად ავჯილდოებს მათ, ვინც ირლანდიაში ახალ, მდგრად სამუშაო ადგილებს შექმნის. ისეთ ინოვაციებს, როგორიცაა ConnectIreland, უნდა გაეწიოს მხარდაჭერა, რადგან იგი ირლანდიაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისა და დიასპორების პირდაპირი ინვესტიციების ნაწილია.

[11] Kingsley, A., White, N., (2011): *Global Diaspora Strategies Toolkit: Harnessing the Power of Global Diasporas*, Diaspora Matters, Dublin, გვ. 99.

ChileGlobal კარგი მაგალითია მომავალი ინიციატივებისათვის იმ აზრით, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის რეესტრი დიასპორის ჩასართავად. ChileGlobal საზღვარგარეთ მცხოვრები და მომუშავე წარმატებული ჩილელი ბიზნესმენების ქსელია და მისი მიზანია შემცირდეს „ტვინის გადინების“ შედეგების უარყოფითი ეფექტი. საამისოდ ცდილობს, ჩილეში მოღვაწე ბიზნესებსა და მეწარმეებთან კავშირები დაამყაროს. ეს ხელს უწყობს დიასპორათა პირდაპირ ინვესტიციებს სამშობლოში და უცხოეთის გამოცდილების გაზიარებას დამწყები ბიზნესმენებისათვის.

GlobalScot არის დიასპორათა პირდაპირი ინვესტიციების ორგანიზაცია, რომელიც ირლანდიისათვის მოდელად გამოდგება. ეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრები წარმატებული ბიზნესმენების კავშირია, რომელშიც გაერთიანებულია შოტლანდიური წარმოშობის ან შოტლანდიასთან რაიმე კავშირის მქონე პირები. მათი მიზანია, ხელი შეუწყონ ამბიციურ შოტლანდიურ კომპანიებს, კონკურენცია გასწიონ გლობალურ ბაზარზე, შექმნან კონკურენტუნარიანი სექტორები შოტლანდიაში და პირდაპირი სარგებელი მოუტანონ შოტლანდიის ეკონომიკას.

Diaspora Bonds. 2010 წელს ირლანდიის ფინანსთა მინისტრმა ეროვნული სოლიდარობის აქციების შემოღება გამოაცხადა ირლანდიაში. ეროვნული სოლიდარობის აქციებს ეროვნული ხაზინის მართვის სააგენტო არეგულირებს და ესენი ოთხწლიანი და ათწლიანი პერიოდისთვის არის გამოშვებული. ეროვნული სოლიდარობის აქციებით ირლანდიის მთავრობა ირლანდიის მცხოვრებთ უადვილებს, წვლილი შეიტანონ მთავრობის კაპიტალური ინვესტიციის პროგრამაში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. 2011 წელს ეროვნული სოლიდარობის აქციებიდან სუფთა შემოსავალი 265 მილიონი ევრო იყო. სოლიდარობის აქციები მხოლოდ ირლანდიის რეზიდენტებისთვისაა ხელმისაწვდომი. აუცილებელია მათი ხელმისაწვდომობის გაფართოება დიასპორის წარმომადგენლებზეც. დიასპორისათვის აქციები ეკონომიკური აღმავლობის კარგი საშუალებაა, ვინაიდან ირლანდიას ძალიან დიდი, წარმატებული დიასპორა ჰყავს, რომელთაგან ბევრი ირლანდიის სამომავლო განვითარების ინვესტირებით იქნება დაინტერესებული. დიასპორის შიგნით აქციების გაყიდვა ირლანდიაში კაპიტალის შემოდინების კარგი საშუალებაა.

ირლანდიური საკრედიტო ბარათი. ზემოთ თქმულის მსგავსად, ირლანდიას შეუძლია დიასპორებისათვის ირლანდიური საკრედიტო ბარათის შემოღება. ეს იდეა პირველად გაჟღერდა 2002 წელს ინდოეთის დიასპორის უმაღლესი კომიტეტის ანგარიშში. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების თანხები შეიძლება ირიცხებოდეს სპეციალურ ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც დაფინანსდება შერჩეული ეროვნული პროექტები, რაც დიასპორას ქვეყნის აღმშენებლობისკენ მიმართულ ძალისხმევასთან იდენტიფიკაციის საშუალებას მისცემს.

მოქალაქეობა. ამჟამად მოქმედი უცხოელთა დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ირლანდიური წარმომავლობის ადამიანებისათვის ირლანდიის მოქალაქეობის მიღება საკმაოდ რთულია. აუცილებელია ახალი კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ირლანდიური დიასპორის დამსახურებულ წევრებს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურებს გაუმარტივებს.

ირლანდიური წარმომავლობის სერტიფიკატი. ირლანდიური წარმომავლობის სერტიფიკატით ირლანდიის მთავრობა აღიარებს იმ ძლიერ კავშირს ირლანდიასთან, რომელსაც მსოფლიოს ირგვლივ მილიონობით ადამიანი იზიარებს. სერტიფიკატი პრაქტიკული დასტურია ირლანდიის რესპუბლიკის მიერ ირლანდიელი მოქალაქეების წინა თაობის და იმ პიროვნებათა აღიარებისა, ვისაც აქვს ირლანდიური იდენტობის შეგრძნება. სერტიფიკატი განაცხადის საფუძველზე მიეცემა ყველას, ვისაც ირლანდიასთან კავშირი და ირლანდიური წარმომავლობა შეუძლია დაამტკიცოს. უნდა გაიზარდოს სერტიფიკატების რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად წარედგინება დიასპორის წარმომადგენლებს უცხოურ მთავრობებში, ბიზნესისა და კულტურის დარგში, რათა დიასპორამ დაინახოს, რამდენად დაფასებულია მათი კავშირი ირლანდიასთან.

ირლანდიური ბარათის აღება შეეძლება ირლანდიური წარმომავლობის ნებისმიერ პირს, ვისაც ირლანდიური პასპორტის მიღება არ შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ ირლანდიური წარმომავლობის მქონე ადამიანები აღიარებულები იქნებიან ირლანდიის სახელმწიფოს მიერ. ირლანდიური ბარათი ფინანსურ, კულტურულ და პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს ირლანდიასა და ირლანდიურ დიასპორას.

საპატიო კონსულები, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის ინტერესთა დამცველები, უნდა დაინიშნონ ყველა ქვეყანაში, ქალაქსა თუ პროვინციაში, სადაც ირლანდი-

ელები ცხოვრობენ. ყველა საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელი და დიასპორა იმსახურებს თანაბარ წარმომადგებლობას მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ან რამდენი ირლანდიელია მათ სიახლოვეს. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის სამსახურებს ამჟამად საგარეო საქმეთა დეპარტამენტი კურირებს. მათი რიცხოვნული წარმომადგენლობა ჯერ კიდევ არათანაბარია. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრის დანიშვნა არსებითი ნაბიჯია. ამის განხორციელების შემდეგ მინისტრი ჩამოაყალიბებს თვრამეტთვიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ირლანდიურ დიასპორებში ახალი საპატიო საკონსულოების გახსნა იქ, სადაც მანამდე არ იყო, და წარმომადგენლობის გაზრდა იქ, სადაც ის უკვე იყო. საპატიო საკონსულოები ფინანსურად მომგებიანი ინვესტიცია იქნება, ვინაიდან მათი შექმნის ხარჯები მინიმალურია იმ სარგებელთან შედარებით, რაც შეიძლება მიღებულ იქნეს მთელ მსოფლიოში არსებული ირლანდიური საზოგადოებიდან.

საერთაშორისო განათლება. ბევრი ქვეყანა აღიარებს დიასპორის დაბრუნების შედეგად მიღებულ სარგებელს. სამშობლოში დაბრუნების ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება დიასპორისათვის ირლანდიაში უმაღლესი განათლების მიღების შეთავაზებაა, რაც სტუდენტებს სამშობლოში მოგზაურობის, განათლების მიღებისა და ღირებული კავშირების ჩამოყალიბების საშუალებას აძლევს, რომელიც მათ სამშობლოს წაადგება. ირლანდიური უნივესიტეტების ასოციაცია და განათლება ირლანდიაში ის ორგანიზაციებია, რომლებიც საზღვარგარეთ ირლანდიური უნივერსიტეტების პოპულარიზაციაზე მუშაობენ. ეს ორგანიზაციები აქტიურად იძიებენ სტუდენტებს მთელს მსოფლიოში. საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის მინისტრისათვის პრიორიტეტულია ასეთი ორგანიზაციების დახმარება საზღვარგარეთ ირლანდიური უმაღლესი სასწავლებლების პოპულარიზაციის მიზნით. მინისტრს შეუძლია გამოიყენოს საზღვარგარეთ მცხოვრები ირლანდიელებისა და დიასპორის რეესტრი და უცხოურ მთავრობებთან თავისი კონტაქტები ირლანდიის განათლების პოპულარიზაციისათვის და საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად. დასაწყისისათვის კი აუცილებელია, ირლანდიური უნივერსიტეტების გლობალური იმიჯი გაუმჯობესდეს.

ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებს „სამშობლოში დაბრუნების“ სასწავლო პროგრამის გაფართოებას. არსებული პროგრამა

40%-ან თანადაფინანსებას სთავაზობს ირლანდიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტებში სასწავლებლად ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში მცხოვრებ დიასპორის წარმომადგენლებს. სასურველია, პროგრამა სხვა უნივერსიტეტებსა და კოლეჯებსაც მოიცავდეს. გადასახადის ამგვარი შემცირება ირლანდიური ბარათის მიღებაზე უფლებამოსილ ყველა პირს შეეძლება.

საგანმანათლებლო სამოგზაურო პროგრამები ძალიან კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ ახალგაზრდები სამშობლოს კულტურას გაეცნონ. საგარეო საქმეთა დეპარტამენტის საზღვარგარეთ ირლანდიის პოპულარიზაციის კულტურული განყოფილება ამჟამად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებზე მუშაობს. იგი "Fulbright" პროგრამასთანაც თანამშრომლობს, რათა დაინერგოს ირლანდიასა და აშშ-ს შორის სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. კარგი იქნებოდა ისეთი სამოგზაურო პროგრამების შექმნა, რომლებიც კულტურული გამოცდილების მიღების შესაძლებლობასაც მისცემდა მონაწილეებს, როგორც, ეს ხდება, მაგალითად, ინდოეთსა თუ ისრაელში.

ირლანდიაში დიასპორის მოსაზიდად აუცილებელია გაიზარდოს საზღვარგარეთ ირლანდიის **კულტურის, სპორტის, მუსიკის,** ცეკვისა და ხელოვნების მხარდაჭერა.

დიასპორის **ტურიზმის** მიზნით მოზიდვა ირლანდიაში ასევე ბევრი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. ეს, რა თქმა უნდა, შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, ვინაიდან 2013 წლის „Gatheirng"-ზე დამატებითი 170 მილიონი ევროს მოზიდვაა მოსალოდნელი. წლის განმავლობაში დამატებით 325 ათასი ტურისტი ჩამოვა ქვეყანაში. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, „Gatheirng"-ის მსგავსი ღონისძიებები კარგი საშუალებაა, დიასპორის წარმომადგენლებმა წარმომავლობის ქვეყნის სილამაზე და კულტურა აღიქვან; ძალზედ მნიშვნელოვანია პირველი შთაბეჭდილება ქვეყნის შესახებ. ირლანდიაში ვიზიტის შესაძლებლობა და ამ ქვეყნის მიმზიდველობის განცდა მომავალში უფრო მეტ ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ დივიდენდს მოგვიტანს. იგი საშუალებას მოგვცემს უფრო ინტენსიური ურთიერთობა გვქონდეს დიასპორასთან, რომლის წარმომადგენლები საცხოვრებელ ქვეყნებში ირლანდიის მიმართ მეტი სიახლოვის შეგრძნებით დაბრუნდებიან; ეს დიდ როლს ითამაშებს, როცა ირლანდიელი მოქალაქეები უცხო ქვეყნებთან ბიზნესში ჩართვასა თუ უცხო ქვეყანებში მოგზაურობას გადაწყვეტენ.

2. იტალია

მიგრაციული პროცესები იტალიაში

1861 წლიდან (კონსტიტუციის მიღებიდან) XX საუკუნის ბოლომდე იტალიამ მასობრივი ემიგრაციული ტალღები განიცადა. ას წელიწადში ქვეყანა 25 მილიონ ადამიანზე მეტმა დატოვა[12] – ანუ იმდენმა, რაც 1861 წელს იტალიის მთელ მოსახლეობას შეადგენდა. გაერთიანების შემდეგ იტალია უზარმაზარი სახელმწიფო (შიდა) ვალის პრობლემის წინაშე დადგა. რეგიონებიდან იტალიელ ემიგრანტთა დაახლოებით ორ მესამედს მამაკაცები წარმოადგენდნენ. სახელმწიფო ბიუჯეტის დასაბალანსებლად შემოღებულ იქნა ე.წ. „სიმინდის ფქვილის გადასახადი“ (tassa sul macinato), რაც ტვირთად დააწვა გლეხებს, და რამაც უმრავლესობას ემიგრაციისკენ უბიძგა. ეს გადაწყვეტილება იყო პირველი ბიძგი მომავალ ათწლეულებში სიღარიბისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მოსახლეობის მასობრივი ტერიტორიული გადაადგილებისა. მიგრანტთა ძირითადი ნაკადი ჩრდილოეთი ევროპის ინდუსტრიული ქვეყნების და ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის მიმართულებით წავიდა. 1876-1976 წლებში 13 მილიონი იტალიელი ევროპულ ქვეყნებში დასახლდა (ემიგრანტთა საერთო რაოდენობის 52%). მათი უმრავლესობა დასახლდა საფრანგეთში (4.317 მილიონი), შვეიცარიაში (3.898 მილიონი) და გერმანიაში (2.452 მილიონი). დანარჩენმა თერთმეტმა მილიონმა (ემიგრანტთა 44%) ამერიკის კონტინეტი აირჩია საცხოვრებლად. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაემკვიდრა 5.691 მილიონი, არგენტინაში – 2.968 მილიონი, ბრაზილიაში – 1.457 მილიონი, კანადაში – 637,123 და ვენესუელაში – 285,000. დაახლოებით ერთი მილიონი ემიგრანტი ავსტრალიასა და აფრიკის ქვეყნებში გადავიდა საცხოვრებლად. ემიგრანტები წარმოშობით, უმეტესად, იტალიის სამხრეთი და ჩრდილოეთის რეგიონებიდან იყვნენ და ნაკლებად – ცენტრალურიდან.

იტალიიდან ემიგრაციული ტალღების აღწერისას ოთხ ძირითად ეტაპს გამოყოფენ[13]:

---

[12] თუ სხვა რამ არ არის მითითებული, აქ და შემდგომ ანალიზში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების წყაროა: Ruskoni, S., (2010): *Italy's migration experience*, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ევროპის მიგრაციის ქსელის (Network Migration in Europe e.V) ვებ-გვერდზე: www.migrationeducation.org

[13] იქვე.

- **1876-1900 წწ.** უმეტესად, ჩრდილოეთი იტალიიდან მუშახელის ემიგრაცია ევროპისა და სამხრეთი ამერიკის მიმართულებით, რაც იტალიაში სასოფლო-სამეურნეო კრიზისით და მასობრივი სიდუხჭირით იყო გამოწვეული;
- **1901-1915 წწ.** დიდი ემიგრაცია (სულ 9 მილიონი, წლიურად საშუალოდ 600 ათასი ემიგრანტი): ინდუსტრიალიზაციის პროცესი იტალიაში არათანმიმდევრულად და ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რის გამოც ჭარბი მუშახელი, ძირითადად, სამხრეთი იტალიიდან შეერთებულ შტატებში სამუშაოს მაძიებლად წავიდა;
- **1916-1944 წწ.** ემიგრაციული პროცესები იტალიიდან შენელდა ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში. ეს, ძირითადად, გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგრანტთა შემოსვლაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებამ და იმდროინდელი იტალიის ფაშისტური რეჟიმის ანტიემიგრაციულმა პოლიტიკამ, რაც ტარდებოდა იტალიის რეპუტაციის და სამხედრო პოტენციალის შესანარჩუნებლად;
- **1945-1976 წწ.** მსოფლიო ომის შემდგომი ემიგრაციის ნაკადების ახალი ზრდა სამხრეთი ამერიკის, საფრანგეთის, შვეიცარიის და გერმანიის მიმართულებით; პარალელურად, შიდა მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში და იტალიის სამხრეთიდან შედარებით უფრო ინდუსტრიული ჩრდილოეთის რეგიონების მიმართულებით.

1976 წელი შეიძლება ჩაითვალოს იტალიიდან ემიგრაციის ისტორიაში გარდატეხის მომენტად. პირველად ამ წელს ქვეყანაში შემოსულთა რაოდენობა იტალიიდან წასულთა რიცხვს გაუთანაბრდა. მომდევნო ოთხი ათწლეულის განმავლობაში იტალია ტიპური სამხრეთული ემიგრაციის წყარო ქვეყნიდან გადაიქცა ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის მსგავს ევროპულ მიმღებ ქვეყანად.

1976 წლის შემდეგ იტალიაში იზრდება განვითარებადი და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ იმიგრანტთა რიცხვი. 1970-1980 წლებში უცხო ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობა იტალიაში 143,800-იდან 300,000-ამდე გაიზარდა; 1985 წელს კი ამ რიცხვმა ნახევარ მილიონს მიაღწია. 1990 წელს იტალიაში ცხოვრობდა უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ერთი მილიონი ადამიანი, 2000 წელს – ორი მილიონი, ხოლო 2005 წელს – სამი მილიონი.[14] იტალიის სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტის ბოლო მონაცემე-

ბით, 2013 წელს უცხოელთა რიცხვმა ქვეყანაში 4.387 მილიონს მიაღწია და მხოლოდ ბოლო ორ წელიწადში 10%-ით გაიზარდა. უცხოელები ამჟამად იტალიის მოსახლეობის 7,4%-ს შეადგენენ[15].

ამჟამად იტალიაში ცხოვრების უფლება (ოფიციალური ბინადრობის მოწმობა) მიგრანტთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს. აღმოსავლეთი ევროპის და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეებისთვის ბინადრობის უფლების გაცემის შემთხვევები საგრძნობლად გაიზარდა (ერთი მესამედიდან 40%-ამდე) ხუთი ე.წ. „რეგულარიზაციის სქემის“ განხორციელების შემდეგ 1986, 1990, 1996, 1998 და 2002 წლებში. ამის შედეგად მთელი საუკუნის განმავლობაში ემიგრაციის წყარო ქვეყნიდან იტალია ძალიან სწრაფად გადაიქცა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მიგრანტთა მიმღებ ქვეყნად. 1990-იან წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმეტესობა წარმოშობით ჩრდილოეთი აფრიკიდან (უპირატესად, მაროკო, ტუნისი და სენეგალი) და ფილიპინებიდან იყო (უმეტესად, ქალები, რომლებიც ჩაერთნენ შინამეურნეობის მომსახურების ადგილობრივ ბაზარზე). საბჭოთა კავშირის და ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ გაიზარდა მიგრანტთა ნაკადი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებიდან. მათი რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა 2000-იან წლებში და გადააჭარბა ჩრდილოეთი აფრიკიდან და აზიიდან ჩამოსულთა რაოდენობას. 2000-იან წლებში ალბანელებმა და რუმინელებმა იტალიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფი შეადგინეს. იმავე წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უკრაინის და მოლდოვის მოქალაქეთა რაოდენობაც. იტალიის სახელმწიფო სტატისტიკის ინსტიტუტის (ISTAS) მონაცემებით იტალიაში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა თითქმის 50% წარმოშობით აღმოსავლეთი ევროპიდანაა: ნახევარი ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებიდან და მეორე ნახევარი – არაევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. იმიგრანტთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფები შემდეგი ქვეყნებიდან არის: რუმინეთი, ალბანეთი, მაროკო, ჩინეთი, უკრაინა, ფილიპინები, მოლდოვა, პოლონეთი, ტუნისი, ინდოეთი, მაკედონია, ეკვადორი, პერუ, ეგვიპტე, შრი-ლანკა, ბანგლადეში, სერბია, მონტენეგრო, კოსოვო, სენეგალი, პაკისტანი და ნიგერია. ისინი იტალიაში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 80%-ს შეადგენენ[16].

[14] იქვე.

[15] http://dati.istat.it/Index.aspx?DataSetCode=DCIS_POPSTRRES1&Lang

[16] იხ. სქოლიო 1

მიგრაციული პოლიტიკა იტალიაში

ემიგრაციის წყარო ქვეყნიდან იმიგრანტთა მიმღებ ქვეყანად ტრანსფორმირების შემდეგ გაჩნდა იმიგრაციის პოლიტიკის ჩამოყალიბების საჭიროება. ამჟამად იტალიის იმიგრაციული პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია ევროპულ მიგრაციულ სისტემასთან. ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და კვლავაც იზრდება იმ უცხოელთა რიცხვი, რომლებიც შეიძლება მეორე თაობის იმიგრანტებად ჩაითვალონ. შესაბამისად, იტალიას აქვს კარგად განვითარებული, თუმცა შედარებით ახალი მიგრაციული პოლიტიკის გამოცდილება.

1976-1986 წლები, ექსპერტების[17] განსაზღვრებით, არის იტალიაში მიგრაციის შესახებ საკანონმდებლო ბაზის არარსებობის პერიოდი. მიგრაციის სრულყოფილი პოლიტიკის განსაზღვრის პირველ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს 1986 წელს გამოცემული 943-ე აქტი. ამ აქტის გამოცემას თან ახლდა პირველი ფართომასშტაბიანი ე.წ. რეგულარიზაციის სქემის მიღება; ეს ორივე იყო იმიგრანტთა სტატუსის და უფლებების განსაზღვრის პირველი მცდელობა იტალიაში. აღნიშნული აქტი არეგულირებდა უცხო ქვეყნის მუშაკთა სტატუსს, განსაზღვრავდა მათი იტალიის მოქალაქეებთან თანაბარ პირობებში ჩაყენების საკითხს (თანაბარი ანაზღაურების მიღებას) და ანაზღაურების მქონე მუშებისთვის ხელმისაწვდომს ხდიდა სოციალურ მომსახურებას. თუმცა თვითდასაქმებულთა და ჩრდილოვან ეკონომიკაში ჩართული იმიგრანტების პრობლემების გადაჭრა ამ საკანონმდებლო ინიციატივებით მაინც შეუძლებელი იყო, არადა, სწორედ ისინი შეადგენდნენ უცხოელი მუშების უმრავლესობას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 1986 წლის აქტი რეალურად არც კი განხორციელებულა და პირველი მოქმედი საკანონმდებლო აქტი იტალიაში 1990 წელს გამოიცა.

1990 წელს გამოიცა ე.წ. *Legge Martelli* – პირველი საკანონმდებლო აქტი №39 მიგრაციის შესახებ. ამ აქტით შემოღებულ იქნა სავიზო რეჟიმი იმიგრაციის წყარო ყველა ძირითადი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, განახლდა დეპორტირების პროცედურები უკანონო მიგრანტებისთვის და დაწესდა სანქციები მიგრანტთა უკანონო გადაყვანასა და ადამიანებით ვაჭრობაზე (ტრეფიკინგზე). პირველად იტალიის საკანონმდებლო სივრცეში ჩამოყალიბდა ქვეყანაში თავ-

[17] იხ. სქოლიო 1

შესაფრის მოთხოვნის პროცედურები და არაევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის შესაძლებელი გახდა თავშესაფრის მოთხოვნა იტალიაში. პარალელურად, იტალია ჩაერთო *შენგენის სივრცეში გაწევრიანების* პროცესში, შესაბამისად, მიღებული საკანონმდებლო აქტი ნაწილობრივ წარმოადგენდა წევრობისთვის აუცილებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წინ გადადგმულ ნაბიჯს და სხვა ევროპული სახელმწიფოებისთვის იმის დამტკიცებას, რომ იტალიას შეეძლო შენგენის სივრცეში უკანონო მიგრაციის თავიდან აცილება.

1990-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა ახალი რეფორმა, რომლის შედეგადაც შეიქმნა კანონი მიგრაციის შესახებ: ცენტრისტების და მემარცხენეების კოალიციის მიერ მომზადებული ე.წ. კანონი *"Turco-Napolitano"*, 1998 წლის აქტი №40. აღნიშნულ კანონში ჩაიდო დამატებითი მექანიზმები, რომლითაც გართულდა საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის შესაძლებლობა და უფრო ეფექტური გახდა რეპატრიაციის პროცედურები. ასევე, იტალიაში გაიხსნა უკანონო მიგრანტთა დროებითი დაკავების ცენტრები (*Centers for Temporary Detention*), სადაც შესაძლებელი გახდა დეპორტაციის პროცედურების დასრულებამდე მიგრანტების 30 დღემდე დაკავება.

2001 წელს ხელისუფლებაში დაბრუნდა მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიცია, რომლის საარჩევნო კამპანიის ძირითადი ფოკუსი სწორედ მიგრაცია იყო. მემარჯვენე პარტიებმა – განსაკუთრებით, პარტიამ *Lega Nord* – შეძლეს საზოგადოებაში უკვე გავრცელებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წუხილების წინ წამოწევა. ახალმა მთავრობამ იტალიაში მოქმედი მიგრაციული კანონმდებლობის მოდიფიცირება მოახდინა 2002 წელს ახალი კანონის *Bossi – Fini*-ს დამტკიცებით.

მემარჯვენე-ცენტრისტების მიერ გამოცემული ახალი საკანონმდებლო აქტი მეტ შეზღუდვას ითვალისწინებდა. მისი მიზანი იყო არა მარტო საზღვრის უკანონო გადაკვეთის და იტალიაში არალეგალურად ცხოვრების შემთხვევების აღმკვეთი ეფექტური მექანიზმების შემუშავება, არამედ იტალიაში კანონიერი იმიგრაციის შეზღუდვაც. გართულდა ბინადრობის ნებართვის და სამუშაო კონტრაქტის გაფორმების პროცედურები. თუმცა მიგრაციული კანონმდებლობის გამკაცრების მიუხედავად, იტალიაში ამოქმედდა ევროპაში ერთერთი ყველაზე მასობრივი რეგულარიზაციის სქემა და მემარჯვენე

ხელისუფლების პირობებში ის 634,728 ადამიანს[18] შეეხო. ზემოთ აღწერილი პოლიტიკის გატარებისას ხელუხლებელი დარჩა იმიგრანტთა (მათ შორის, უკანონო მიგრანტთა) სოციალური და საოჯახო უფლებები.

2006-2008 წლების პერიოდში – იტალიის მთავრობაში ხანმოკლე ყოფნისას – მემარცხენე-ცენტრისტული კოალიციის მიერ განხორციელებული უმნიშვნელო საკანონმდებლო ცვლილებები წარუმატებელი აღმოჩნდა მიგრაციის ინოვაციური მართვის და ეფექტური პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით. 2008 წელს ქვეყნის ხელისუფლებაში დაბრუნდა მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიცია (*Popolo delle Liberta*) სილვიო ბერლუსკონის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელის დაბრუნება იმთავითვე ნიშნავდა იმიგრაციის პოლიტიკის შემდგომ გამკაცრებას. 2008 წლის მაისში იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა – რობერტო მარონიმ წარმოადგინა ე.წ. „უსაფრთხოების პაკეტი“ (*Pacchetto Sicurezza*), რომლის მიხედვითაც მიგრაციის საკითხები საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში გაერთიანდა. ასეთმა დაკავშირებამ ხელი შეუწყო იტალიაში იმიგრაციაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, იმიგრანტების ასოცირებას ქვეყანაში უსაფრთხოების და კრიმინალის პრობლემებთან და მათ მიმართ უნდობლობის გაღვივებას.

ასე რომ, ახალი იტალიური კანონმდებლობით იმდენად შეიზღუდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები, რომ ის კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს დაუპირისპირდა. მთლიანობაში, ახალი რეგულაციები ემყარებოდა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის უკვე არსებულ არაეფექტურ მექანიზმებს, არალეგალურ მიგრანტებზე კონტროლის დაწესებას და უგულებელყოფდა იტალიაში არაკანონიერი მიგრაციის გამომწვევ შიდა ფაქტორებს, რაც დაკავშირებული იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართო გავრცელებასთან. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების ეკონომიკურმა რეცესიამ საბოლოოდ დაასამარა ის საკანონმდებლო ჩარჩო, რომელმაც ვერ შეძლო დასახული მიზნების მიღწევა: უკანონო მიგრაციის თავიდან აცილება, დამსაქმებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და გეგმის შესაბამისად უცხოელი მუშების ნაკადების მართვა; ყოველივე ამას უნდა აემაღლებინა საწარმოების კონკურენტობა და უზრუნველეყო მიგრანტთა სოციალური ინტეგრაცია.

[18] იხ. სქოლიო 1

დიასპორასთან ურთიერთობები

ბოლო (2011 წლის) მონაცემების მიხედვით[19], იტალიელთა 6.8% ამჟამად საზღვარგარეთ ცხოვრობს. იტალიური დიასპორის უმეტესი ნაწილი (55%) ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია გაფანტული, ხოლო 39.6% – ამერიკის კონტინენტზე. იტალელები, უპირატესად, არგენტინაში, გერმანიასა და შვეიცარიაში ცხოვრობენ. ასევე მრავალრიცხოვანია იტალიური დიასპორა საფრანგეთში, ბრაზილიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საზღვარგარეთ არსებული იტალიური ასოციაციები სამაგალითოა. ისინი სამაგალითოა არა მარტო მრავალრიცხოვნობით და გეოგრაფიული არეალით ან წევრთა სიმრავლით (როგორც იტალიური წარმოშობის, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლების), არამედ სამშობლოსთან კავშირის გამო, რომელიც, ზოგჯერ, უკვე საუკუნეზე მეტია, ინსტიტუციურ და ფორმალიზებულ სახეს ატარებს. კერძოდ, მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ემიგრანტთა ასოციაციები ოფიციალურად იყო აღიარებული იტალიის ხელისუფლების მიერ, რომელიც ზოგჯერ ფინანსურადაც ეხმარებოდა მათ საზღვარგარეთ აქტივობებისათვის. ამ ფორმალური ურთიერთოებების შედეგად სამშობლოსა და იტალიურ დიასპორას შორის მჭიდრო კავშირები დამყარდა. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იტალიის ხელისუფლებამ დაიწყო საზღვარგარეთ არსებული იტალიური ასოციაციების რეგისტრაცია და მათი საქმიანობის სპეციფიკის დადგენა. ამან დროთა განმავლობაში, მდებარეობის მიუხედავად, გაამარტივა აღნიშნული ასოციაციების მოძიება. მას შემდეგ 2007 წლამდე რეგულარულად ხდებოდა აღნიშნული გამოკვლევის შედეგების განახლება. ამ კვლევის მიხედვით, 1970 წელს უცხო ქვეყნებში 3,755 იტალიური ასოციაცია მოქმედებდა. მათ შორის უმეტესობა – 1,186 – ორიენტირებული იყო ურთიერთდახმარებაზე და სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე, 732 – თავისუფალი დროის გატარებაზე და 520 – კულტურულ ღონისძიებებზე. ამასთან, არსებობდა 70 პროფესიული და ბიზნეს-ასოციაცია (მათი ნახევარი წარმოადგენდა იტალიის სავაჭრო პალატას). ამ ასოციაციათა უმეტესობა იმ ქვეყნებში მოქმედებდა, სადაც იტალიელები მრავალრიცხოვნად იყვნენ დასახლებულნი. ყველაზე დიდი რაოდენობით იტალიური ასოციაციები მოქმედებდა შვეიცარიაში (1,058), არგენტინაში (637), ამერიკის შეერ-

[19] უცხოეთში მცხოვრები იტალიელების რეგისტრი – AIRE (Register of Italians living abroad).

თებულ შტატებში (410), კანადასა (273) და საფრანგეთში (227). ქვემოთ ცხრილში მოყვანილია უფრო დეტალური ინფორმაცია ასოციაციების სპეციფიკის შესახებ.

ცხრილი 1. უცხოეთში განლაგებული იტალიური ასოციაციები

ასოციაციის საქმიანობის სფერო	1970		2005	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ქველმოქმედება	1186	31.6	1216	20.8
კულტურული	520	13.8	833	14.2
პატრიოტული	244	6.5	290	5
რელიგიური	195	5.2	186	3.2
სპორტული	339	9	205	3.5
ბიზნესი	70	1.9	78	1.3
პოლიტიკური	21	0.6	26	0.4
რეგიონული	427	11.4	2056	35.1
თავისუფალი დროის გატარება	732	19.5	961	16.4
კავშირები	21	0.6	6	0.1
სულ	3755	100	5857	100

1970-იან წლების იტალიაში რეგიონული მმართველობების განსხვავებული სისტემის შექმნით ახალი პერიოდი დაიწყო ემიგრანტთა ასოციაციებთან ურთიერთობაშიც. კერძოდ, რეგიონულ მთავრობებს უშუალოდ დაევალათ ურთიერთობა და ფინანსური მხარდაჭერა საზღვარგარეთ არსებულ იმ ასოციაციებთან, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ მათ რეგიონზე. პარალელურად, ზოგ მასპინძელ ქვეყანაში – შეერთებულ შტატებში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში – უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საკუთარი კულტურისა და ღირებულებების პოპულარიზაციისათვის სათემო ცენტრებისთვის საჯარო სივრცის და საჯარო სახსრების გამოყენების უფლება მიენიჭათ. იტალიურმა ასოციაციებმა დაიწყეს ამ შესაძლებლობის გამოყენება; მათ წარმატებით შეძლეს მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებასთან მომლაპარაკებლის და იტალიური საზოგადოების წარმომადგენლის როლი მოერგოთ.

1970 წლიდან ზემოთ აღნიშნულ ცვლილებას ადგილობრივი და რეგიონული ორიენტაციის მქონე ასოციაციების ბუმი მოჰყვა. 2005 წელს[20] იტალიური ასოციაციების რაოდენობა 56%-ით გაიზარდა

[20] ბოლო ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით.

და 3,755-იდან 5,857-ს მიაღწია. საგრძნობლად გაიზარდა ადგილობრივი და რეგიონული ასოციაციების წილი: 1970 წელს მათი რაოდენობა 427 იყო, 2005 წელს კი – 2,056 და ყველა ასოციაციის 35% შეადგინა. 1970-2005 წლებში იზრდებოდა ყველა ტიპის ასოციაციების რაოდენობა, გამონაკლისი იყო მხოლოდ რელიგიური და სპორტული გაერთიანებები.

იტალიური ასოციაციების უმრავლესობა შეხვედრების ადგილის ფუნქციას ასრულებდა, რაც ხელს უწყობდა იტალიური დიასპორის ტრადიციული ღირებულებების თაობიდან თაობაზე გადაცემას და აძლიერებდა წევრებს შორის ნდობას, ასევე, აღრმავებდა მათ შორის სოციალურსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს და ხელს უწყობდა სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, დროთა განმავლობაში ასოციაციების ნაწილი მთლიანად გადაერთო იტალიასა და უცხო ქვეყანაში მცხოვრებ იტალიელებს შორის ბიზნეს-ურთიერთობების დამყარებაზე.

ამის ნათელი მაგალითია იტალიის ეროვნული ამერიკული ფონდი (National Italian American Foundation, NIAF) – 1975 წელს ცნობილ იტალიელ ამერიკელთა მიერ დაარსებული ასოციაცია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად 20 მილიონ ადამიანს აწევრიანებს. ფონდის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდა იტალიური წარმოშობის ამერიკელებს განათლებასა და კარიერულ წინსვლაში, ლობირება გაუწიოს კონგრესსა და თეთრ სახლში იტალიური წარმოშობის ამერიკელების მთავრობაში დანიშვნას, ხელი შეუწყოს სკოლებში იტალიური ენისა და კულტურის სწავლებას, აწარმოოს მედიაში (საინფორმაციო და გასართობ მედიაში) იტალიური წარმოშობის ამერიკელების წარმოჩენის მონიტორინგი, ამასთან, ხელი შეუწყოს იტალიასა და შეერთებულ შტატებს შორის კულტურული და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას. 1976 წელს ფონდის მიერ ორგანიზებული პირველი ღონისძიება: „ორასწლიანი საპატივსაცემო სადილი“ (Bicentennial Tribute Dinner) – მიეძღვნა 29 იტალიური წარმოშობის ამერიკელ კონგრესმენს. ამას შემდეგ ფონდმა დაიწყო სხვადასხვა საკითხზე კონფერენციების ორგანიზება, მათ შორის, მეცნიერების ისეთ დარგებში, როგორებიცაა: იურისპრუდენცია, ეთიკა და ეთნიკური პოლიტიკა. ფონდს დაწესებული აქვს სტიპენდიები და გრანტები ახალგაზრდა იტალიური წარმოშობის ამერიკელებისთვის პროფესიული განათლების მისაღებად. ფონდი ცდილობს შეერთებული შტატების სკოლებსა და უნივერსიტეტებში იტალიური ენის სწავლების პოპულარიზაციას

და იტალიური კულტურული ტრადიციების და მემკვიდრეობის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, იტალიასთან დაახლოების მიზნით, 1990-იან წლებში ფონდმა განახორციელა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. წევრთა პროფესიული ინტერესების ზრდასთან ერთად, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს და 21–ე საუკუნის დასაწყისში ფონდმა დაარსა სამედიცინო საბჭო – Medical Council (იტალიური წარმოშობის ამერიკელი ექიმებისთვის), უოლ სტრიტის საბჭო – Wall Street Council (ფინანსურ წრეებში მოღვაწე იტალიური წარმოშობის ამერიკელებისთვის), ბიზნესმენთა საბჭო – Business Council (იტალიური წარმოშობის ამერიკელი კორპორატიული აღმასრულებლებისთვის) და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი (იტალიური წარმოშობის ამერიკელი იურისტებისთვის).

შეიძლება ითქვას, რომ იტალიელი ემიგრანტები, ინარჩუნებდნენ რა მჭიდრო კავშირს სამშობლოსთან, მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ მის ინსტიტუტებზეც. ამ გავლენის მაგალითია კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც იტალიის მოქალაქეობას ანიჭებს როგორც ემიგრანტთა პირველ თაობას, ისე მათ შთამომავლობას. კიდევ ერთი მაგალითია იტალიელი ემიგრანტებით დასახლებულ ქვეყნებთან იტალიის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებების გაფორმება, რომელთა მიზანია დაიცვას საზღვარგარეთ იტალიელი ემიგრანტების უფლებები და ამავე დროს დაარეგულიროს მათი და მათი შთამომავლობის დაბრუნება სამშობლოში (მაგ., ამ ქვეყნების მიერ გაცემული სასწავლო დაწესებულებების ატესტატების და სერტიფიკატების აღიარება). შეიძლება დასახელდეს კანონიც, რომელმაც 2001 წელს საზღვარგარეთ მცხოვრებ იტალიელებს არჩევნებში მონაწილეობის და პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლობის შექმნის უფლება მისცა. თუმცა ყველაზე გამორჩეული მაინც ემიგრანტთა ასოციაციების სამშობლოსთან მჭიდრო ინსტიტუციური კავშირია.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიელები, ისტორიულად, მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ მათი წარმოშობის რეგიონთან. როგორც უკვე ითქვა, 1970-იან წლებში იტალიის მმართველობის რეგიონალიზაციის შემდეგ დიასპორული პოლიტიკაც ცენტრალური ხელისუფლების დონიდან რეგიონული მმართველობის დონეზე გადავიდა. იმ დროიდან, პრაქტიკულად, ყველა რეგიონი ქმნიდა საკუთარ პროგრამებს დიასპორასთან საურთიერთოდ, რათა ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც უკვე არსებობდნენ რეგიონულ დონეზე და თანამშრომლობდნენ დიასპორულ ასოციაციებთან, საგანმანათებლო, პროფესიული მომზადებისა და სოციალურ

სფეროებში ერთობლივი პროექტები განეხორციელებინათ. ამ ასოციაციებს (the nel mondo („in the world") associations), როგორც წესი, მთავარი ოფისი იტალიაში ჰქონდათ, ხოლო ფილიალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. იტალიის რეგიონული მმართველობის ორგანოები ნდობას უცხადებდნენ ასოციაციებს და საბიუჯეტო თანხების მეშვეობით ეხმარებოდნენ.

1985 წელს საზღვარგარეთ იტალიის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან შეიქმნა სპეციალური სტრუქტურა დიასპორასთან საურთიერთოდ: The Committees of Italians Abroad (Comites), რომლის მთავარი ამოცანაა უცხოეთში მცხოვრები იტალიელების უფლებების დაცვა. აღნიშნული საბჭოს წევრებს – იტალიის საკონსულოს ორგანიზებით – პერიოდულად ირჩევენ იტალიური დიასპორის წარმომადგენლები იმ ქვეყნებში, სადაც 3 ათასზე მეტი იტალიელი ცხოვრობს. 1989 წელს იმისათვის, რომ დიასპორული ურთიერთობები გაეძლიერებინათ, იტალიაში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრები იტალიელების გენერალური საბჭო"-ს (*Consiglio Generale Italiani al Estero* (CGIE), General Council of Italians Abroad, როგორც მთავრობის მრჩეველთა სტრუქტურა, რომელიც დააკავშირებდა ლოკალურ საბჭოებს (Comites) იტალიის მთავრობასთან და პარლამენტთან. მისი წევრების უმრავლესობა ქვეყნებში არსებული საბჭოების (Comites) წევრების მიერ ირჩევა, ხოლო რამდენიმეს იტალიის მთავრობა ნიშნავს.

იტალიური დიასპორა ავსტრალიაში: საუკეთესო გამოცდილების მაგალითი

სათემო ორგანიზაცია და სტრუქტურა: პოლიტიკური ასოციაციები და აქტივობები

იტალიაში არსებული ორგანიზებისა და სტრუქტურირების სხვადასხვა დონე ავსტრალიაში მცხოვრებ იტალიელ იმიგრანტთა საზოგადოებაშიც აისახება. მიგრანტთა ორგანიზაციები შეესაბამება იტალიაში ხელისუფლების დაყოფის პრინციპს, რომელიც წარმოდგენილია ოთხ: ცენტრალურ, რეგიონულ, პროვინციულ და ადგილობრივ დონეებზე. ომის შემდეგ პირველი თაობის მიგრანტებმა შექმნეს მჭიდრო ნათესაური და სათემო დონის კავშირები, რომლებიც მიზნად ისახავდა ურთიერთდახმარებას და მხარდაჭერას. მიგრან-

ტები რეგულარულად აწყობდნენ შეხვედრებს და ცდილობდნენ, საზოგადოებაში მიღებული ინსტიტუტებისა და ტრადიციული რიტუალებით (*compadrazgo:* ნათლობა და მეჯვარეობა) სოციალური და სათემო კავშირები შეენარჩუნებინათ. უფრო ფართო – პროვინციული და რეგიონული ქსელები კი ეყრდნობოდა 1960-იანი წლების ბოლოს დაარსებულ რეგიონულ კლუბებს, რომლებიც იტალიის პოლიტიკაში რეგიონალიზმის გავრცობის შესაბამისად 1990-იან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ბოლო წლებში იტალიის ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ამას შესაბამისი კონფერენციებისა და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერით.

ცენტრალურ დონეზე საზღვარგარეთ მცხოვრები იტალიელების პოლიტიკურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს უცხოეთში იტალიურ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან არსებული „უცხოეთში მცხოვრები იტალიელების გენერალური საბჭო“-ს (*Consiglio Generale Italiani al Estero* (CGIE)) განაყოფები. შესაბამისად, იტალიის მთავრობაში წარმომადგენელს, ანუ საბჭოს დელეგატებს ირჩევენ ყველა იმ ქვეყანაში, სადაც მრავალრიცხოვანია იტალიური დიასპორა. იტალიის ხელისუფლება სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით ახდენს საზღვარგარეთ მცხოვრები იტალიელებისათვის გამოყოფილი თანხების ადმინისტრირებას, რომლის ძირითადი წილი იტალიური კულტურისა და სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციებს ხმარდება.

ავსტრალიისა და ამერიკის მიგრანტების და ყოფილი მიგრანტების არასამთავრობო ორგანიზაცია (ANEA) ცენტრალურ დონეზე ფუნქციობს. სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციები 1960-იანი წლებიდან მოქმედებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია დახმარების იტალიური კომიტეტი (Co.As.It), რომელსაც ფინანსური მხარდაჭერა აქვს იტალიის ცენტრალური და რეგიონული მთავრობების, ასევე, სხვა იტალიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, როგორებიცაა: იტალიელი მუშებისა და ოჯახების ფედერაცია (Federazione Italiana Lavoratori Emigrati e Famiglie (FILEF)), ემიგრანტთა ოჯახების ეროვნული ასოციაცია (Associazione Nazionale Famiglie degli Emigranti (ANFE)), კათოლიკე იტალიელ მუშათა ასოციაცია (Associazione Cattolica Lavoratori Italiani (ACLI)) და იტალიური კათოლიკური ფედერაცია (Italian Catholic Federation).

რეგიონულ და სოციალურ საკითხებზე ორიენტირებულ ასოციაციათა უმეტესობაში ცალკე არის შექმნილი ე.წ. „ქალთა კომიტეტი“. ამ კომიტეტების ძირითადი საქმიანობა არის ასოციაციის წევრე-

ბისათვის სოციალური დახმარება და კვებით უზრუნველყოფა, თუმცა ისინი მამაკაცებით დაკომპლექტებული კომიტეტის მიერ იმართება. უნდა აღინიშნოს, რომ იმ იტალიურ ასოციაციებშიც, სადაც წევრთა უმრავლესობა ქალები არიან, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე, გამონაკლისია ეროვნული იტალიურ-ავსტრალიური ქალთა ასოციაცია. ოჯახის ინსტიტუტის მსგავსად, ეს ასოციაციები პატრიარქალურ პრინციპზეა აგებული და ხშირად ტრადიციულ გენდერულ სტერეოტიპებს ეფუძნება. გამონაკლისს წარმოადგენს იტალიელ მასწავლებელთა ასოციაციები (საჯარო ორგანიზაციები), რომლებიც, უმეტესად, ქალების მიერ იმართება.

კლასობრივი დაყოფა იტალიურ მიგრაციაში თავიდანვე შეინიშნებოდა, სადაც კლასთა შორის კომუნიკაცია მხოლოდ ისეთ ფორმალიზებულ სფეროში იყო შესაძლებელი, როგორიცაა პროფესიული მოღვაწეობა. იტალიური წარმოშობის იდენტიფიკაცია და ჩამოყალიბება ავსტრალიაში მხოლოდ 1970-იან წლებში დაიწყო საზოგადოებაში მულტიკულტურიზმის განვითარების ფონზე და მეორე თაობის მიგრანტთა გაჩენის შემდეგ. მანამადე ის ფაშისტური მმართველობის მიერ ნაციონალისტური და პატრიოტული სულისკვეთების ხელშეწყობის მწარე გამოცდილებით შემოიფარგლებოდა. შეიქმნა საშუალო კლასის, ინტელექტუალების და გამოჩენილ პირთა კლუბები და ასოციაციები, მათ შორის, დანტე ალიგიერის (Dante Allighieri), ფრედერიკ მეის (Frederick May Association) და იტალიური კულტურის ასოციაციები (საკმაოდ აქტიურია მელბურნში) რომლის მუდმივი სტუმრებიც გახდნენ პროფესიონალები და იტალიელთა ახალი თაობის წარმომადგენლები.

იტალიის ეროვნული დღესასწაულები, ჩვეულებრივ, აღინიშნება საკონსულო სამსახურების მიერ, რომელშიც მიწვეულნი არიან ადგილობრივი თემის გამოჩენილი წევრები. მიუხედავად იმისა, რომ იტალიელები ცნობილნი არიან ხელოვნებაში მიღწეული წარმატებებით, იტალიელი მიგრანტები ნაკლებად ასოცირდებიან მაღალ ხელოვნებასთან და უფრო მეტად ცნობილი არიან საკუთარი სამზარეულოთი და ფეხბურთის და „ბოჩეს“ (bocce) სიყვარულით. მიგრანტთა მეორე თაობა იტალიური მოდის, კინოინდუსტრიისა და ტელევიზიის იდეის აღორძინებით არის აღტაცებული. ამ თაობის ახალგაზრდები სხვა ეთნიკური წარმომავლობის თანატოლებთანაც ურთიერთობენ, თუმცა, უმეტესწილად, მაინც იტალიელებთან მეგობრობენ. გახსნილია ახალგაზრდული კლუბებიც, რომლებშიც

სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის წევრები არიან გაერთიანებული. 1999 წელს სიდნეიში დაარსდა იტალიურ-ავსტრალიური ახალგაზრდული ასოციაცია (Italo-Australian Youth Association - IAYA), რომელიც სხვადასხვა რეგიონის და წარმომავლობის 80-ამდე წევრს აერთიანებს და დაკავშირებულია რადიოპროგრამასთან: *Movimento FM*. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მელბურნში მოქმედ ახალგაზრდულ ჯგუფთან: ჯოვანი დუემილასთან (*Giovani Duemila*), რომელსაც, თავის მხრივ, საკუთარი რადიოგადაცემა აქვს – *Senza Limiti*. ის ადმინისტრირებას უწევს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დაკავშირებულ საკმაოდ აქტიურ ჯგუფს და აწყობს სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებს. ასევე, მოქმედებს ახლად დაარსებული ორგანიზაცია: Giovani Italiani Australia. ის ავსტრალიაში იტალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის ორგანიზაციათა ქსელია, რომელმაც შექმნა სპეციალური ვებ-გვერდი ახლად ჩამოსული მიგრანტების დასახმარებლად. ვებ-გვერდი ერთმანეთისგან განასხვავებს „ახალგაზრდა ავსტრალიელებს“, ანუ მეორე და მესამე თაობის იტალიელ მიგრანტებს და „ახალ ავსტრალიელებს“, ანუ ახალგაზრდა იტალიელებს, რომლებსაც სურთ, ავსტრალია მოინახულონ.

საერთაშორისო კავშირები

ადრე იტალიასა და ავსტრალიას შორის დიდი მანძილი საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა. სამშობლოსთან დაშორებას და იზოლაციას ამძაფრებდა ხანგრძლივი (ერთი თვე) ოკეანის გადაღმა მოგზაურობა, ნელი საფოსტო მომსახურება, მიგრანტთა განათლების დაბალი დონე და კომუნიკაციის სიმწირე. მიუხედავად სამშობლოსთან შეზღუდული და იშვიათი კავშირისა და დიდი დრო-სივრცითი დაშორებისა, იტალიელი მიგრანტები, რომელთაც აერთიანებდა უკან დაბრუნების სურვილი, ცდილობდნენ, ერთმანეთთან ურთიერთობა შეენარჩუნებინათ. მიგრანტთა უმრავლესობისთვის იტალია, უფრო ზუსტად, მშობლიური ქალაქი ან რეგიონი, დაკავშირებული იყო წინააღმდეგობრივ ემოციებთან: ადგილი, სადაც ისინი თავს ბედნიერად გრძნობდნენ და განიცდიდნენ მასთან განშორებას, ასოცირებული იყო ამავე დროს ტკივილთან და გარიყულობასთან. *Patria* (ანუ სამშობლო) იყო ადგილი, სადაც მათ სურდათ დაბრუნება, რადგანაც ის განსაზღვრავდა მათ იდენტობას და ცხოვრებისეულ ორიენტირებს, მაგრამ ის წინააღმდეგობა-

ში მოდიოდა ახალ ცხოვრებასა და სახლთან. მშობლიური ქალაქი სიღარიბესთან ასოცირებული ადგილი კი იყო, მაგრამ მაინც ვერ ჩრდილავდა „ოქროს მოგონებების სინდრომს“.

მასპინძელ ქვეყანაში იტალიელებს ზოგჯერ ნეგატიური სტერეოტიპების მიხედვით განიხილავდნენ და ზოგჯერ მტრულადაც ექცეოდნენ; ამან გააძლიერა მიგრანტებში ნოსტალგია და იტალიური თვითიდენტიფიკაციის გრძნობა. ავსტრალიის ასიმილაციური და მულტიკულტურული პოლიტიკის პირობებში იტალიელებს მშობლიური სოფლის ცხოვრების სტილი წარმოედგინათ მორალის და ერთობის ეტალონად, რომელთან ახლოს ვერ მიდიოდა მათი და მათი „გაავსტრალიელებული“ შვილების ცხოვრება. ბოლო წლებში ტელეკომუნიკაციის სფეროში მომხდარი რევოლუციის, საჰაერო ფრენების შედარებით გაიაფების და ორივე ქვეყანაში მცხოვრები იტალიელების ეკონომიკური კეთილდღეობის შედეგად გაიზარდა სამშობლოში დაბრუნების და იტალიის მონახულების სიხშირე. ყოველივე ამან მიგრანტთა წარმოდგენები დაუახლოვა არსებულ რეალობას. ამ პროცესს ხელი შეუწყო იტალიაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობამაც, ასევე, იტალიის ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლების გაზრდილმა ინტერესმა და ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელმა იტალიიდან ახალგაზრდა ემიგრანტების, ე.წ. „ახალი მიგრანტების“, ტალღამ. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტთა ნაწილი იხლიჩება ავსტრალიას, სადაც მათი შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ, და იტალიას შორის.

ნათესაური კავშირების პარალელურად, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული პროვინციული დონის ხელისუფლება საერთაშორისო ასოციაციებთან ერთად ბეჯითად ცდილობდა შეენარჩუნებინა როგორც ემიგრანტების სამშობლოსთან, ისე სხვადასხვა ქვეყანაში დასახლებულ იტალიელებს შორის კავშირი. ამ მიზნით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული იტალიელებისთვის გამოიცემოდა რეგულარული ჟურნალები, შეიქმნა ვებ-გვერდები, ეწყობოდა კონფერენციები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაბმას/შენარჩუნებას. იმიგრანტი იტალიელის პროვინციულ და რეგიონულ დონემდე კავშირების გაფართოებას ხელს უწყობდა რეგიონული ხელისუფლების უმრავლესობა, რომელთა ინტერესი ემიგრანტი მოსახლეობის, განსაკუთრებით მეორე და შემდგომი თაობის ემიგრანტების მიმართ საკმაოდ გაიზარდა და გამოიხატა 2003 წელს, როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ იტალიელებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება მიენი-

ჭათ. „მსოფლიო“ (*Nel Mondo*) პროვინციული ასოციაციის მსგავსად, 1980-იანი წლების ბოლოს რეგიონულმა მთავრობებმა დაიწყეს საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ტურების ორგანიზება: კერძოდ, მშობლიურ ძირებთან დასაახლოებლად რეგიონში უმნიშვნელოვანესი ქალაქების და ტურისტული ადგილების დათვალიერების ორგანიზება. ტურის შემდეგ მონაწილეებს ნათესავების მოსანახულებლად ცალკე დრო ეძლეოდათ. ამასთან, საკმაოდ პოპულარული გახდა იტალიაში მიგრანტთა დასახლებებში იტალიელთა ვიზიტების ორგანიზებაც. მსგავსი ვიზიტები, ასევე, იტალიასა და საზღვარგარეთ ემიგრანტებისადმი მიძღვნილი ძეგლების რაოდენობა, მიუთითებს ავსტრალიის ჩამოყალიბების ისტორიაში იტალიელების, ხოლო იტალიის განვითარებაში – იტალიური დიასპორის წვლილის აღიარებას.

იტალია-ავსტრალიის ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლს საკონსულო სამსახური ასრულებდა, რომელიც სოციალურ სერვისებთან ერთად ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას კულტურული და ინტელექტუალური ელიტის საქმიანობას უთმობს.

მიგრაციის პირველ წლებში ავსტრალიელების მხრიდან იტალიელების მიმართ ორი ურთიერთგანსხვავებული დამოკიდებულება შეინიშნებოდა.[21] ერთი მხრივ, ავსტრალიელი საზოგადოება დაუფარავად ამჟღავნებდა იტალიელი იმიგრანტი მუშებისადმი მტრულ დამოკიდებულებას და დისკრიმინაციას, მათ შორის, ძალადობასაც; ხოლო, მეორე მხრივ, გამოხატავდა აღტაცებას იტალიური კულტურისა და ხელოვნების მიმართ, ოვაციებით ხვდებოდა გამოჩენილი ადამიანების სტუმრობას. ბრიტანული კოლონიური ელიტა, ბრიტანელების მსგავსად, ეტრფოდა „კულტურულ იტალიას“, ანუ წარმოდგენას ძველ იტალიაზე, წარსული დიდების მქონე მიწაზე თავისი ისტორიითა და კულტურით. თუმცა, მათ წარმოდგენაში „ძველი“ იტალია სრულიად განსხვავდებოდა თანამედროვე იტალიისგან, რომელიც ასოცირდებოდა სიღარიბესა და კორუფციასთან. ეს განსხვავება ეხმიანებოდა იტალიის მიწისა და ხალხის ერთმანეთისგან გამიჯვნას: იტალია აღიქმებოდა როგორც კულტურისა და ბუნების საგანძური, ხოლო იტალიელები, როგორც უღირსი მემკვიდრეები. მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის შუა წლებამდე თანამედ-

[21] **The Italian Diaspora in Australia: Current and Potential Links to the Homeland. Report of an Australian Research Council Linkage Project** By Professor Loretta Baldassar, Dr Joanne Pyke, Victoria University, Associate Professor Danny Ben-Moshe, Deakin University.

როვე იტალიის და იტალიელების მიმართ ავსტრალიელთა უპატივცემულო დამოკიდებულებას აძლიერებდა ნახევარკუნძულზე მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და იტალიური ხელისუფლების წარუმატებელი მისწრაფება ძალაუფლებაზე. ამ დამოკიდებულებამ გავლენა იქონია იმიგრაციის სხვა მხარეზეც, კერძოდ, გამოიწვია იტალიელი მიგრანტების სამუშაო ბაზრიდან გარიყვა, სადაც კონკურენცია ისედაც ძალიან მაღალი იყო.

ომის შემდეგ იტალიელთა იმიგრაციული ნაკადების გაზრდის მიუხედავად, ასიმილიაციის პოლიტიკამ უარყოფითი გავლენა მოახდინა იტალიურ-ავსტრალიურ ურთიერთობებზე. იტალიელთა მარგინალიზაციას ახდენდა კათოლიკური ეკლესიაც, სადაც ირლანდიელები დომინირებდნენ.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ე.წ. „სამომხმარებლო იტალიის“ პოპულარობა. წარსულში იტალიელი ხელოვანებით აღფრთოვანება, ჩაანაცვლა იტალიური წარმოების სამომხმარებლო ნაწარმმა, თუმცა არც ამ ცვლილების შედეგად შეცვლილა იტალიელი მიგრანტებისადმი დამოკიდებულება. პუბლიცისტები წერდნენ: „... ფერარის მანქანები და იტალიური მოდა, როგორც კაპიტალიზმის კარგი ცხოვრების სიმბოლო, არავითარ კავშირში არ არის იტალიელი მიგრანტების არსებობასთან“. მაკარონი, პავაროტი და წმინდანები აღიქმებოდნენ იტალიური კულტურის ნაწილად, იტალიელი მიგრანტები კი ასოცირდებოდნენ ნაკლებ პრესტიჟულ „სხვა იტალიასთან“ – გლეხურ წარმომავლობასთან, პატრიარქალურ ოჯახურ სტრუქტურასა და ინგლისური ენის ცუდ ცოდნასთან. კარლტონი და ლეიხარდტი (Carlton and Leichhardt), ყველაზე ცნობილი იტალიური ადგილები, უკვე დიდი ხანია დატოვეს იტალიელებმა და აღარ წარმოადგენს მნიშვნელოვან იტალიურ დასახლებებს. იტალიელების და დისკრიმინაციის ნიშნები ჯერ კიდევ შეინიშნება, მათ შორის, მოხუცთა მოვლის სფეროში.

უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ იტალიელ მიგრანტთა მეორე და შემდეგი თაობების მიმართ შეიცვალა. საზოგადოების ზედა ფენებისკენ მობილობით, იტალიური პროდუქციის პოპულარიზაციით და მულტიკულტურული პოლიტიკის გატარებით, გარკვეულწილად, მოდური გახდა იტალიელობა. თუმცა ჯერ კიდევ ადრეა იმის შეფასება, თუ რა გავლენას იქონიებს იმიგრანტების ახალი ტალღის შემოდინება.

3. სლოვენია

სლოვენია ცენტრალურ-სამხრეთი ევროპის პატარა ქვეყანაა, რომლის მოსახლეობა დაახლოებით ორ მილიონ, ხოლო სამუშაო ძალა – ერთ მილიონ ადამიანს შეადგენს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სლოვენია იუგოსლავიის ფედერაციაში შევიდა, ხოლო 1991 წელს, პირველად ისტორიაში, დამოუკიდებლობა მოიპოვა. 2004 წლის მაისში სლოვენია ევროკავშირის (და ნატოს) წევრი გახდა. 2007 წლის იანვარში კი ევროზონას შეუერთდა.

სლოვენიის მიგრაციული სურათი

მოსახლეობის მიგრაციის ძირითადი ტენდენციები

სლოვენიაში მოსახლეობის გარე მიგრაციული ტენდენციების განხილვისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი. 1857 წელს ჩატარებული მოსახლეობის პირველი აღწერიდან 1960-იანი წლების დასაწყისამდე სლოვენიის მოსახლეობა ნელა, მაგრამ სტაბილურად იზრდებოდა. აღწერისას ქვეყნის მოსახლეობა (ამჟამინდელი ტერიტორიის ფარგლებში) 1,101,854-ს შეადგენდა, ხოლო 1961 წელს – 1,591,523-ს[22]).

1957 წელს სლოვენია, პირველად მის ისტორიაში, იმიგრაციული ქვეყანა გახდა. იმიგრანტთა რაოდენობამ პირველ პიკს 1960-იანი წლების შუა ხანებში მიაღწია (გარე მიგრაციის დადებითი სალდო წელიწადში დაახლოებით 4,000 ადამიანს შეადგენდა), ხოლო მეორე პიკს – 1976-სა და 1979 წლებს შორის, როდესაც მან 8,000-ს მიაღწია. ამის შემდეგ ქვეყანაში მოსახლეობის შემოდინების ტემპმა ოდნავ იკლო, თუმცა გარე მიგრაციის სალდო 1988 წლამდე მაინც მაღალი რჩებოდა – საშუალოდ 4,000 წელიწადში[23]. მეზობელი ქვეყნებიდან სლოვენიაში იმიგრაცია მკვეთრად ეკონომიკური ხასიათის იყო, ზუსტად ისეთი, როგორიცაა განვითარებულ დასავლურ ქვეყნებსა და ნაკლებად განვითარებული სამხრეთის ქვეყ-

[22] Statistical Office of the Republic of Slovenia, (2012): *Statistical Yearbook of the Republic of Slovenia 2012*, ცხრილები 4.1 და 4.3.

[23] Institute of Macroeconomic Analysis and Development (IMAD), (2008): *Social overview 2008.* IMAD, Ljubljana, გვ.80.

ნებს შორის. ეკონომიკურად, სლოვენია ყველაზე განვითარებული იყო იუგოსლავიის რესპუბლიკებში და, შესაბამისად, მას დამატებითი მუშახელიც ესაჭიროებოდა. საწყის ეტაპზე იმიგრანტებს შორის მამაკაცები ჭარბობდნენ, ხოლო მოგვიანებით მათ წილობრივად ქალი-მიგრანტები გაუთანაბრდნენ. აღნიშნული ტიპის მიგრაცია ერთი სახელმწიფოს, იმდროინდელი იუგოსლავიის, საზღვრებში არ ატარებდა საერთაშორისო ხასიათს, თუმცა იგი სლოვენიისთვის როგორც გარე მიგრაცია განიხილებოდა. ოფიციალური წყაროების მიხედვით, სლოვენიასა და უცხო ქვეყნებს შორის საერთაშორისო მიგრაციის უარყოფითი სალდო ძალზე მცირე იყო. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ 1960 – 1990-იან წლებში 50 ათასმა ადამიანმა დროებით დატოვა სლოვენია, რათა საზღვარგარეთ სამუშაო ეშოვა[24], მაგრამ, იმ დროს მოქმედი სტატისტიკური მეთოდოლოგიის მიხედვით, ეს ადამიანები შედიოდნენ სლოვენიის მოსახლეობაში. მხოლოდ მოსახლეობის ახალი განმარტების შემოღების შემდეგ ეს კატეგორია („ზდომცები“, ანუ მიგრანტი მუშები) გამოაკლდა სლოვენიის მოსახლეობას და ქვეყნის დემოგრაფიული სურათიც უფრო მკაფიო გახდა.

1960-1990 წლებში გარე მიგრაციის დადებითი სალდო სლოვენიაში ოფიციალური მონაცემების მიხედვით თითქმის 120 ათასს აღწევდა და ქვეყნიდან დროებით სამუშაოდ წასული 50 ათასი ადამიანის გამოკლებითაც კი სლოვენიის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა იმიგრაციის ხარჯზე 70 ათასს შეადგენდა[25].

იუგოსლავიის დაშლასა და სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას მოსახლეობის ინტენსიური გადაადგილება მოჰყვა.

2004 წლამდე სლოვენიაში დადებითი მიგრაციის სალდო 1960-1990 წლებთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი აღარ ყოფილა: 2000 წლამდე სლოვენიაში მიგრანტთა საერთო რაოდენობა თითქმის არასდროს აჭარბებდა 10 ათასს. მაგრამ 2004 წელს მან თითქმის 20 ათასს მიაღწია, 2006 წელს – 35 ათასს, ხოლო 2009 წელს – 50 ათასს. ამდენად, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიგრაცია უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სლოვენიისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სლოვენიის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მიგრაციული ნაკადები როგორც სლოვენიაში, ისე სლოვენიიდან, ბო-

[24] Institute of Macroeconomic Analysis and Development (IMAD), (2008): *Social overview 2008.* IMAD, Ljubljana, გვ.81

[25] იხილე სქოლიო 2

ლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა და მათი წლიური რაოდენობა 25-26 ათასს არ აჭარბებს.

უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით, უცხო ქვეყნების მოქალაქეები სლოვენიის 2.055 მილიონი მოსახლეობის 4.2%-ს შეადგენენ. არასლოვენიელი წარმოშობის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (97%) ევროპის ქვეყნებიდან არის შემოსული, უმეტესად, იუგოსლავიის მემკვიდრე ქვეყნებიდან; ისინი სლოვენიაში ევროპული წარმოშობის უცხოელების 78.8%-ს შეადგენენ. მიგრანტების მხოლოდ 3%-ს შეადგენენ არაევროპული ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა შორის აზიური ქვეყნების მოქალაქეები ჭარბობენ (60.7%)[26].

წინამდებარე გამოცემის მიზნების გათვალისწინებით ყურადღებას მხოლოდ სლოვენიის მოქალაქეების ემიგრაციასა და სამშობლოში დაბრუნების პროცესებზე შევაჩერებთ.

ემიგრაციისა და რემიგრაციის ტენდენციები სლოვენიაში 1990-იანი წლებიდან

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ პერიოდში (1991-1997) სლოვენიას მძიმე ტვირთად დააწვა ომის შედეგები. იმ ადამიანების უმეტესობა, რომლებიც დევნილის სტატუსით შემოვიდნენ ქვეყანაში, მხოლოდ 1998 წელს დაუბრუნდა სამშობლოს. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებიდან შემოსული მოსახლეობის ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, მეორე ნაწილი – დარჩა და სლოვენიის მოქალაქეობაც მოიპოვა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც დაკარგეს ყველა უფლება მოქალაქეობაზე (ე.წ. „წაშლილები“). ძალიან რთულია ამ სამივე ჯგუფის ზუსტი რაოდენობის დადგენა. 2003 წლის პირველი ოფიციალური მონაცემებით, „წაშლილების“ რიცხვი 18,305 იყო, რაც ოფიციალური შეფასებებითაც რეალობასთან შედარებით ნაკლები იყო. 2009 წელს „წაშლილების“ ბოლო აღრიცხვის შედეგად მიღებულ რიცხვს – 25,671-ს – ასევე არაზუსტად მიიჩნევენ[27].

---

[26] Statistical Office of the Republic of Slovenia, (2012): *Statistical Yearbook of the Republic of Slovenia 2012*, ცხრილი 4.32.

[27] გაზეთი “Mladina”, გამოშვებული 26.02.2012: *Slovenija je 26. februarja 1992 izbrisala 25.671 prebivalcev (On 26th of February, Slovenia erased 25,671 its permanent residents)*.

მეორე პერიოდის განმავლობაში (1998 – 2003) სლოვენიის მოქალაქეების რაოდენობა ევროკავშირის ქვეყნებში ოდნავ გაიზარდა – 31 ათასიდან 34 ათასამდე[28]. თუმცა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სლოვენიელი მოქალაქეების მიგრაციის სალდო ბოლო ათი წლის განმავლობაში უარყოფითი იყო. მიუხედავად ამისა, სლოვენიელი ემიგრანტების ორი მესამედი (66%) უცხო ქვეყნებში გატარებული გარკვეული პერიოდის შემდეგ უკან დაბრუნდა სამშობლოში.

მესამე პერიოდში (2004 წლიდან დღემდე) აღინიშნება სლოვენიელთა ემიგრაციის მძლავრი ტენდენცია. 2000-2004 წლების ოფიციალური მაჩვენებლების მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით ორი ათასი სლოვენიელი ტოვებდა ქვეყანას. 2005 – 2009 წლებში ეს რაოდენობა 60%-ით გაიზარდა და წელიწადში სამ ათასსს მიაღწია, ხოლო 2011 წელს 4,600-ს გადააჭარბა[29]. მართალია, მოსახლეობასთან მიმართებაში ეს რაოდენობა საგანგაშო არ არის (1 – 1.5%), მაგრამ თავად ეს ფაქტი მიუთითებს მნიშვნელოვან ცვლილებებზე მიგრაციულ პროცესებში. მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რაც თან ახლდა ევროკავშირში ახლად მიღებული ქვეყნების მოქალაქეების დასაქმებას, ევროკავშირის წევრობამ მაინც გზა გაუხსნა სლოვენიელებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში დასასაქმებლად. სლოვენიელი მოქალაქეების რიცხვმა ევროკავშირის ქვეყნებში 40 ათასს მიაღწია. თუმცა, გერმანიაში, სლოვენიელების ემიგრაციის ყველაზე პოპულარულ ქვეყანაში, გასული მიგრანტების რაოდენობა სტაბილური იყო და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დაიკლო კიდეც, სამაგიეროდ, მოიმატა სლოვენიელების ემიგრაციამ ევროკავშირის სხვა ქვეყნებში. ზოგადად, ევროკავშირის 27 ქვეყანაში სლოვენიიდან ემიგრირებულთა წილი სლოვენიელ მიგრანტთა საერთო რაოდენობაში 70%-ამდე გაიზარდა[30].

ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ სლოვენიელი მეცნიერების მიერ ემიგრაციის მაჩვენებელმა ბოლო წლებში უმაღლეს

---

[28] Holland, Dawn, Fic, Tatiana, Paluchowski, Pawe³, Rincon-Aznar, Ana and Stokes, Lucy, (2011): *Labour Mobility within the EU: The impact of Enlargement and Transitional Arrangements,* NIESR Discussion Paper No. 379, National Institute of Economic and Social Research, London, გვ.46.

[29] იხ. სქოლიო 6.

[30] Institute of Macroeconomic Analysis and Development (IMAD), (2008): *Social overview 2008.* Ljubljana, IMAD, გვ. 86.

ნიშნულს მიაღწია. თუმცა, ეს გახლავთ მიგრანტთა სპეციფიკური ჯგუფი, რომელიც არ ჯდება ოჯახური მიგრაციის ზოგად სქემაში და უმაღლესი განათლების მქონე პირების უცხოეთში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას ასახავს. განსხვავებით ამ ჯგუფისგან, 35-40 წლის ასაკობრივ ჯგუფის „საშუალო სტატისტიკური“ მეცნიერი მარტო ან მეუღლესთან ერთად ტოვებს ქვეყანას და, უპირატესად, ევროკავშირის ქვეყნებში, დიდ ბრიტანეთში და ბელგიაში, ან კიდევ ავსტრალიაში მიდის, მეტწილად – სამუდამოდ[31].

ზოგადად, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს სლოვენიის მოქალაქეების ფართომასშტაბიან ემიგრაციას. სხვა ქვეყნებში სლოვენიელების მიგრაციის უმთავრესი მიზეზი ადგილობრივი შრომითი ბაზრის სტრუქტურული პრობლემაა, რომელიც არ იძლევა შესაბამისი სამუშაო ადგილების (და სათანადო სამუშაო პირობების) შექმნის საშუალებას განათლებული და პერსპექტიული ახალგაზრდებისათვის. ეს არის მიზეზი იმისაც, რომ სლოვენიის მოქალაქეების ერთი ნაწილი ყოველდღიურად დადის სამუშაოდ, ძირითადად, ავსტრიასა (ჩრდილო-დასავლეთი სლოვენიიდან) და იტალიაში (სლოვენიის დასავლური ნაწილიდან). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს სლოვენიელების ქანქარისებულ მიგრაციას, არის სლოვენიის კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში სწრაფი გადაადგილების საშუალებას იძლევა[32].

შრომითი მიგრაციის ერთ-ერთ მიმზიდველ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს უცხოეთში უკეთესი სამუშაო პირობების უზრუნველყოფაც (უკეთესი კონკურენტული გარემო, რომელიც კარიერული წინსვლის საშუალებას იძლევა), ასევე, სამუშაოზე უკეთესი ხელმისაწვდომობა და განვითარებული ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანი ფაქტორია საზღვრებთან სიახლოვეც. ეს საშუალებას აძლევს პერიფერიებში მცხოვრებ მოსახლეობას, სამუშაო ადგილების დეფიციტით გამოწვეული პრობლემები საზღვრის იქით გადაჭრან. თუმცა, საზღვრის მიმდებარე ურბანული დასახლებებიდანაც (დასავლეთი სლოვენია) შესაძლებელია რეგულარული მგზავრობა საზღვრის გადასწვრივ. აღსანიშნავია, რომ ავსტრიასა და იტალიაში

[31] Bevc, Milena, (2011): Spol: moški, starost: 37 let, izobrazba: doktor fizike, ciljna država: ZDA (Sex: male, age: 37, education: PhD in physics, destination country: USA). გაზეთი *“ Delo”, დანართი 13*, 2011 წლის ოქტომბერი, ლიუბლიანა.

[32] იხ. სქოლიო 7.

ყოველდღიური მგზავრობა საკმაოდ ხშირ პრაქტიკას წარმოადგენდა იუგოსლავიის დროსაც.

2011 წლის მონაცემების მიხედვით, საზღვარგარეთ მყოფი სლოვენიელი ემიგრანტების რაოდენობა 132 ათასს შეადგენს. აღინიშნება მათი მიმღები ხუთი ძირითადი ქვეყანა: გერმანია (33,449), ხორვატია (25,642), ავსტრია (17,757), კანადა (11,013) და საფრანგეთი (10,860)[33]. ეს მონაცემები ბევრად აღემატება საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიის მოქალაქეების რაოდენობას, რომელიც მოიცავს სლოვენიიდან დიდი ხნის წინ ემიგრირებულთა შთამომავლებს, სლოვენიაში დაბადებულ და ამჟამად ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ პირებს, ასევე, დიდი ხნის წინ სლოვენიაში დაბადებულ და მიმღებ ქვეყნებში ნატურალიზებულ პირებს.

მიგრანტების ძირითადი მახასიათებლები

როგორც წესი, სლოვენიელებს, რომლებმაც ბოლო 5-10 წლის განმავლობაში დატოვეს ქვეყანა, მიღებული აქვთ საშუალოზე მაღალი განათლება და ფლობენ პროფესიას და შესაბამის უნარ-ჩვევებს. დადგენილია, რომ 2005 – 2007 წლებში ყოველწლიურად 300-იდან 400-ამდე უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალი სამუდამოდ ტოვებდა ქვეყანას[34].

მიუხედავად იმისა, რომ სლოვენიაში უცხოელი მიგრანტების ნაკადებში უმეტესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ (მაგ., 2011 წლისთვის სლოვენიაში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეების 77% მამაკაცი იყო, ხოლო 23%-ს ქალები შეადგენდენ), მიგრანტი-სლოვენიის მოქალაქეებს შორის საკმაოდ დაცულია გენდერული ბალანსი[35].

2008 წელს სლოვენიის მაკროეკონიმიკური ანალიზისა და განვითრების ინსტიტუტმა (IMAD) გამოაქვეყნა ნაშრომი, რომელიც დე-

---

[33] World Bank, (2011): *World Bank Factbook on Migration and Remittances 2011.*

[34] Josipovič, Damir / Šumi, Irena, (2007): *Beg možganov - emigracija visokoizobraženih iz Slovenije* (Brain drain - Emigration of highly educated population from Slovenia). Studio ob 17h. Radio interview. Radio Slovenia, A1, Ljubljana.

[35] Statistical Office of the Republic of Slovenia, (2012): *Statistical Yearbook of the Republic of Slovenia 2012*, ცხრილი 4.28.

ტალურად განიხილავდა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ქვეყანაში მოსახლეობის ტერიტორიულ მობილობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის, სლოვენიიდან ემიგრაციულ პროცესებს. კვლევის მიხედვით, სლოვენიელი ემიგრანტების ასაკობრივი სტრუქტურა არ განსხვავდება ემიგრანტების „ტიპური“ სტრუქტურისგან: მათი 60% 20-იდან 50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და ემიგრანტთა მხოლოდ 6% არის 65 წელს ზემოთ. სლოვენიელი ემიგრანტების უმრავლესობა 25-იდან 35 წლამდეა[36]. მცირეწლოვანი ბავშვების წილი ემიგრანტებში საკმაოდ მაღალია. ნაშრომის მიხედვით, ეს გამოწვეულია იმით, რომ ემიგრანტი მშობლები სლოვენიიდან საზღვარგარეთ მიდიან ისე, რომ წინასწარ იციან, სად და რა სამუშაოს შეასრულებენ. ამიტომაც მიჰყავთ თან ბავშვები. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი ოფიციალური სტატისტიკური მოაცემები ემიგრანტთა გენდერული სტრუქტურის შესახებ ცხადყოფს, რომ სლოვენიელები ხშირად ოჯახებით (იგულისხმება ბავშვებიც) მიდიან საზღვარგარეთ.

რაც შეეხება ემიგრანტების განათლების დონეს, ამაზე უტყუარი სტსტისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. როგორც ზემოთ ითქვა, მიგრაციაში მყოფი მოქალაქეების 20%-ს მაინც უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. სპეციალური „სამოქმედო გეგმა საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერებსა და წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობის შესახებ“ ასკვნის, რომ სლოვენიელი მკვლევარების, სულ მცირე, 10% საზღვარგარეთ მუშაობს. იმის გათვალისწინებით, რომ სლოვენიაში დაახლოებით 12,000 მკვლევარია, მათგან 1,200 – მუშაობს საზღვარგარეთ[37]. იმავე წყაროს მიხედვით, უცხოეთში მცხოვრებ სლოვენიელ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი იმ ემიგრანტების შთამომავლები არიან, რომლებიც თავის დროზე (განსაკუთრებით) აშშ-სა და კანადაში ემიგრირდნენ სლოვენიიდან. სამოქმედო გეგმის მიხედვით, 1995-იდან 2004 წლამდე სლოვენიის 30 კვლევითი ინსტიტუტის 73 წამყვანმა მეცნიერმა დატოვა სამშობლო, რაც სლოვენიურ სამეცნი-

[36] Institute of Macroeconomic Analysis and Development (IMAD), (2008): *Social overview 2008.* IMAD, Ljubljana, გვ.85.

[37] Republic of Slovenia, (2011): *Action plan – Akcijski načrt sodelovanja s slovenskimi znanstveniki in drugimi vrhunskimi strokovnjaki v tujini* (Action plan on cooperation with the scientists and top experts of Slovenian origin living abroad). The Government of the Republic of Slovenia, Office for Slovenians Abroad, 2009, revised version 2011, available at: http://www.uszs.gov.si/si/zakonodaja_in_dokumenti/.

ერო ინსტიტუტებში დასაქმებული მკვლევარების 2.4%-ს შეადგენს. ემიგრირებული მკვლევარების ძირითადი პროფილია საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და ტექნიკური დარგები. წასული მკვლევარებისა და მეცნიერების ნახევარი სამუდამოდ ემიგრირებს.

სლოვენიის მიგრაციული პოლიტიკა

2008 წლის ეკონომიკურ კრიზისამდე სლოვენიაში ემიგრაციის გავლენა ადგილობრივ შრომით ბაზარზე არ იყო ფართო მსჯელობის საგანი, რაც განპირობებული იყო ორი ძირითადი ფაქტორით: სლოვენიიდან გამსვლელთა რაოდენობა ნაკლები იყო ქვეყანაში შემოსულთა რაოდენობაზე და არ მოიპოვებოდა მონაცემები ემიგრანტთა განათლების დონის და პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ. ერთადერთ გამონაკლისს ე.წ. „ტვინის გადინების“ (brain drain) თემა წარმოადგენდა. მეცნიერები და გადაწყვეტილებების მიმღები პირები თანხმდებოდნენ, რომ „ტვინის გადინება“ უარყოფითად მოქმედებს სლოვენიის სამომავლო განვითარებაზე. აქ იგულისხმებოდა პროფესიული სამუშაო ძალის დეფიციტი და ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და ინოვაციისთვის საჭირო რესურსების შემცირება.

ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა

ამ დრომდე სლოვენიაში არ არსებობს ცირკულარული მიგრაციის ხელშემწყობი პოლიტიკა და ან შესაბამისი ზომების გატარების პრაქტიკა. გარდა ამისა, სლოვენიას არ დაუდია ორმხრივი შეთანხმება რომელიმე ქვეყანასთან. სლოვენიაში ცირკულარული მიგრაციის მართვის გამოცდილება, ძირითადად, მისი, როგორც დანიშნულების ქვეყნის, სტატუსით შემოიფარგლებოდა ყოფილი იუგოსლავიიდან შემოსული შრომითი მიგრანტებისათვის. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მოქმედებდა მათი სამუშაო ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი – ვადიანი სამუშაო ნებართვა (ერთიდან ორ წლამდე, პერსონალური სამუშაო ნებართვის შემთხვევების გარდა). ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სტუდენტებისა და უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის (პროფესორები და მკვლევარები) მობილობა, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში (მაგალითად,

ERASMUS-ის პროგრამა, მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები და სხვა). იგივე ეხება გამორჩეულ მეცნიერებს და ექსპერტებს. მაგალითად, 2006-2010 წლების ეროვნული მეცნიერების და განვითარების პროგრამების შესახებ რეზოლუციის თანახმად, სლოვენიამ 5%-ამდე უნდა გაზარდოს მოწვეული უცხოელი წამყვანი მეცნიერების და ექსპერტების რიცხვი. ხუთი პროცენტითვე უნდა გაიზარდოს დროებით საზღვარგარეთ მომუშავე წამყვანი სლოვენიელი მეცნიერების და ექსპერტების რაოდენობა (ორმხრივი მობილობა). ამ მიზნის მისაღწევად დასახული ზომები გულისხმობს სასტიპენდიო პოლიტიკის გაუმჯობესებას (სტუდენტების მობილობის ხელშესაწყობად), სლოვენიელი მეცნიერების უკეთ ინტეგრაციას საერთაშორისო, უპირატესად, ევროპულ, სამეცნიერო პროექტებში, მეცნიერთა ჯგუფების უფრო აქტიურ მხარდაჭერას და სამინისტროების და უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობის გაზრდას აღნიშნულ საერთაშორისო პროექტებში. გარდა ამისა, უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მინისტრის მიერ დამტკიცებული ტექნოლოგიური განვითარებისა და ინფორმირებული საზოგადოების გაძლიერების პროგრამა (2007 – 2012 წწ) ყურადღებას ამახვილებს მეცნიერებაში საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებასა და მეცნიერთა საერთაშორისო მობილობის გაძლიერებაზე.

დიასპორასთან ურთიერთობები

სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა დიასპორასთან (აგრეთვე, მეზობელ ქვეყნებში მცხოვრებ სლოვენიელ უმცირესობებთან) პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და დიასპორის წევრების ჩართვას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. პარალელურად, როგორც სლოვენიური დიასპორის წევრები, ისე უმცირესობების წარმომადგენლები ენთუზიაზმით მოეკიდნენ სლოვენიის დამოუკიდებლობისა და დემოკრატიზაციის იდეას. აღსანიშნავია, რომ სლოვენიური დიასპორის წარმომადგენლებს, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზეზების გამო დატოვეს სამშობლო (წავიდნენ, უმეტესად, სამხრეთი ამერიკის ქვეყნებსა და ავსტრალიაში), სლოვენიის დამოუკიდებლობამდე ძალიან მწირი კონტაქტები ჰქონდათ სამშობლოსთან.

საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებაზე, კოორდინაციასა და განხორციელებაზე უფლებამოსილება ენიჭება უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს. აღნიშნულმა უწყებამ მოამზადა შემდეგი სამი დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავს ურთიერთობებს სლოვენიის რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებს შორის:

- სლოვენიის რესპუბლიკასა და საზღვარგერთ მცხოვრებ სლოვენიელებს შორის ურთიერთობის სტრატეგია (მიღებულია მთავრობის მიერ 2008 წელს)
- საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერებსა და წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა (2009, მცირე ცვლილებები შევიდა 2011 წელს)
- მეზობელ და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდა სლოვენიელების მხარდაჭერისა და თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა (მიღებულია პარლამენტის მიერ 2006 წელს, მცირედი შესწორებები შევიდა 2010 წელს).

ამ სამი დოკუმენტის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს კანონი სლოვენიის რესპუბლიკისა და საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების ურთიერთობის რეგულაციის შესახებ (მიღებულია პარლამენტის მიერ 2006 წელს. მცირედი შესწორებები შევიდა 2010 წელს).

სლოვენიის რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებს შორის ურთიერთობის სტრატეგია[38] ოპერირებს ტერმინით „საერთო სლოვენიური კულტურული სივრცე“, რომელიც ნიშნავს არა გეოგრაფიულ არეალს, არამედ, „ვირტუალური“ იდენტობის სივრცეს ყველა სლოვენიელისთვის (როგორც სლოვენიასა და მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები, ისე სლოვენიელების ემიგრაციის ქვეყნებში), რაც ხაზს უსვამს მისი კულტურული და ენობრივი კომპონენტების მნიშვნელობას. სტრატეგიის ორი უმთავრესი მიზანია: 1) ერთიანი სლოვენიური კულტურული სივრცის შენარჩუნება, გაძლიერება და განვითარება; 2) სლოვენიის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სლოვენიელების ჩართვა ქვეყნის განვითარების პროცესში. სტრატეგიაში ნათქვამია, რომ სლოვენია მხარს დაუჭერს საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელთა გაერთიანებებს, წაახალისებს საზ-

[38] http://www.usefoundation.org/view/561,%20unofficial

ღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების მონაწილეობას ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეორე და მესამე თაობის სლოვენიური წარმოშობის ემიგრანტი ახალგაზრდების მიერ სლოვენიური ენის, კულტურისა და ისტორიის შესწავლას. თუმცა, სტრატეგიაში ნახსენები არ არის არც ერთი კონკრეტული ღონისძიება და ის საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა. სტრატეგიის განხორციელების შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე სახის ანგარიში ან შეფასების დოკუმენტი.

საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერებსა და წამყვან ექსპერტებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა[39] შემდეგი მიზნების მიღწევას ითვალისწინებს: საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერებსა და წამყვან ექსპერტებთან კავშირის დამყარება; პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელ მეცნიერებსა და ექსპერტებს შორის როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ საფუძვლებზე; საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმომავლობის მეცნიერებისა და წამყვანი ექსპერტების მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებაში.

უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებზე პასუხისმგებელ უწყებაში მომზადდა ცნობარი საზღვარგარეთ მცხოვრები (და მომუშავე) სლოვენიელი მეცნიერებისა და წამყვანი ექსპერტების საკონტაქტო ინფორმაციით. ცნობარი ხელმისაწვდომია უწყების ვებგვერდზე[40]. დაგეგმილია ცნობარის ყოველწლიურად განახლება. მასში თავმოყრილია 350 ადამიანის საკონტაქტო ინფორმაცია, თუმცა ელოდებიან ბევრი ექსპერტისა და მეცნიერის თანხმობას მათი მონაცემების ცნობარში შეტანის შესახებ. ამჟამად ვებ-გვერდზე განთავსებულ ცნობარში თავმოყრილია საკონტაქტო ინფორმაცია იმ 150 სლოვენიელი მეცნიერისა და წამყვანი ექსპერტისა, რომლებმაც უკვე დაადასტურეს თანხმობა საკუთარი მონაცემების ცნობარში შეტანასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთ მყოფ სლოვენიელებთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელი უწყება მხარს უჭერს საზღვარგარეთ მომუშავე სლოვენიელი მეცნიერებისა და წამყვანი ექსპერტების ასოციაციების ჩამოყალიბებას. თუმცა, ინიციატივა თავად მეცნიერებისა და ექსპერ-

[39] http://www.uszs.gov.si/en/legislation/

[40] http://www.slovenija-danes.slovenci.si/

ტებისგან უნდა მოდიოდეს. ამჟამად უკვე არსებობს ორი ასეთი ასოციაცია: სლოვენიელი ამერიკელების მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ასოციაცია (SASTA) ვაშინგტონში და სლოვენიელ ბიზნესმენთა და პროფესიონალთა ასოციაცია კლივლენდში.

განსხვავებული სახის ინფორმაცია განთავსდება საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერებისა და წამყვანი ექსპერტებისთვის (სლოვენიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების შესახებ, ასევე – გამოცხადებული ტენდერებისა და კონკურსების თაობაზე) უკვე არსებულ ვებ-გვერდზე, რომელიც სპეციალურად საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელებისთვის არის განკუთვნილი.

2010 წლის ბოლოს სლოვენიაში შეიქმნა, ეგრეთ წოდებული, მეცნიერების კომიტეტი, რომელსაც მიენიჭა საკონსულტაციო ორგანოს (მრჩეველთა საბჭოს) სტატუსი მთავრობისა ან შესაბამისი სამინისტროების მიერ სლოვენიის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების და ქვეყანაში მეცნიერების, განათლებისა და კვლევითი საქმიანობების განვითარების განსაზღვრის პროცესში. მეცნიერების კომიტეტი საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის ცხრა მეცნიერისა და წამყვანი ექსპერტისგან შედგება. მასში მოწვეული არიან ოთხი სლოვენიური უნივერსიტეტისა და ოთხი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებიც. აღნიშნულ კომიტეტში ასევე შედიან უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის, საგარეო საქმეთა, ევროპის საკითხებისა და განვითარების სამინისტროების, და უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები. პირველ შეხვედრაზე, რომელიც 2010 წლის დეკემბერში გაიმართა, კომიტეტმა განიხილა უმაღლესი განათლების ეროვნული პროგრამა 2011 – 2020 წლებისთვის და წარმოადგინა სლოვენიის კვლევისა და ინოვაციების სტრატეგია 2011-2020 წლებისთვის.

მეზობელ ქვეყნებსა და უცხოეთში მცხოვრები ახალგაზრდა სლოვენიელების მხარდაჭერის სამოქმედო გეგმის უმთავრესი მიზანია გააძლიეროს და განავითაროს სლოვენიური კულტურა სლოვენიელი ემიგრანტების მეორე და მესამე თაობებში, მხარი დაუჭიროს თანამშრომლობას საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა სლოვენიელებს შორის და ხელი შეუწყოს ურთიერთობებს საზღვარგარეთ და სლოვენიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ტენდერების გამოცხადება საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდა სლოვენიელების ასოციაციებისა და ორგანიზაციებისთვის, სლოვენიური ენის შესწავლის წახალისება (ფინანსური მხარდაჭრა) და ახალგაზრდებს შორის გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა, საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდა სლოვენიელებისთვის თემატური სემინარების ორგანიზება, საქმიანი კავშირების მხარდაჭერა სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა მეწარმეებს შორის. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მრავალი ღონისძიება, როგორებიცაა სახელმწიფო ტენდერები, ენის კურსები, გაცვლითი პროგრამები და ასოციაციების მხარდაჭერა ახალგაზრდული აქტივობებისათვის, უკვე წლებია, ხორციელდება. ახლახან განხორციელებული აქტივობებიდან საჭიროა გამოიყოს უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ-გვერდზე სპეციალურად ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სექცია, რომელშიც განთავსებულია სხვადასხვა ინფორმაცია, მაგალითად, ახალგაზრდული ასოციაციების შესახებ სლოვენიასა და სხვა ქვეყნებში, სლოვენიაში და უცხოეთში სლოვენიური ენის კურსების შესახებ, სლოვენიაში არსებული საგანმანათლებლო სისტემის და განათლების შესაძლებლობების შესახებ, სხვადასხვა პროექტის, კონტაქტის და ფორუმის შესახებ. გარდა ამისა, გასულ წლებში სხვადასხვა ქვეყანაში მოეწყო რამდენიმე დისკუსია და მრგვალი მაგიდა იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც სლოვენიური წარმომავლობის საზღვარგარეთ მცხოვრები ახალგაზრდების წინაშე დგას.

მეზობელ და უცხო ქვეყნებში მცხოვრებ მეორე და მესამე თაობის ახალგაზრდა სლოვენიელებს შეუძლიათ მიიღონ სახელმწიფო გრანტები (სტიპენდიები) სლოვენიაში ენის კურსების გასავლელად. გრანტები გაიცემა განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით. ენის კურსების ორგანიზებაზე, ტრადიციულად, ლუბლიანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტია (სლოვენიურის, როგორც მეორე ენის პროგრამა) პასუხისმგებელი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, საზაფხულო ენის კურსები, რომელსაც ხშირად ესწრებიან სლოვენიელი მიგრანტების მეორე და მესამე თაობის წარმომადგენლები, ანუ ისინი, ვისაც სურვილი აქვთ შეისწავლონ (გაიმუჯო-

ბესონ) სლოვენიური ენის ცოდნა და დასახლდნენ სლოვენიაში.

სლოვენიური ადამიანური რესურსების განვითარებისა და სტიპენდიის ფონდი ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს მეზობელ და უცხო ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდა სლოვენიელებისთვის სლოვენიაში უმაღლესი განათლების მიღების დაფინანსებაზე.

უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში მინისტრის აპარატი ყოველწლიურად ფინანსურ მხარდაჭერას უწევს მეზობელ ქვეყნებში სლოვენიელი უმცირესობების და საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების სხვადასხვა აქტივობასა და ინდივიდუალურ პროექტს, აგრეთვე, მათ მიერ შექმნილ ასოციაციებსა და ორგანიზაციებს. 2012 წელს გამოცხადებული ტენდერის მიხედვით 6.8 მილიონი ევრო იქნა გამოყოფილი მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები სლოვენიელების უმცირესობების მიერ შემოთავაზებული პროექტების, პროგრამებისა და აქტივობებისათვის, ხოლო 850 ათასი ევრო – საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების პროექტებისა და აქტივობების დასაფინანსებლად.

სამთავრობო პოლიტიკის გარდა, არსებობს სამოქალაქო ასოციაციებიც, რომლებიც მიზნად ისახავს სლოვენიური კულტურული კავშირების შენარჩუნებას საზღვარგარეთ და სლოვენიაში მცხოვრებ სლოვენიელებს შორის. ყველაზე მნიშვნელოვანია (აქტივობების მხრივ) სლოვენიის ემიგრაციული საზოგადოება (Slovene Emigration Society - Slovenska izseljenska matica, და სლოვენიის მსოფლიო კონგრესი (Slovenian World Congress - Slovenski Svetovni Kongres). გარდა ამისა, არსებობს კიდევ ორი საზოგადოება: კათოლიკური რაფაელის საზოგადოება (Catholic Rafael society) და ასევე კათოლიკური – სლოვენიის მსოფლიო საემიგრაციო საზოგადოება (Emigration Association Slovenia in the world, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია არგენტინაში მცხოვრებ სლოვენიელ ემიგრანტებს შორის.

სლოვენიის ემიგრაციული საზოგადოება 1951 წელს დაარსდა. მას შემდეგ დიდი წვლილი შეაქვს საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელებისთვის კულტურული ღონისძიებების, დღესასწაულების, შეხვედრებისა და ამგვარი ღონისძიებების ორგანიზებაში. მათ აქტივობებიდან აღსანიშნავია ყოველწლიური „შეხვედრები სამშობლოში“ – პიკნიკები მეზობელ და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები სლოვენიელებისთვის.

სლოვენიის მსოფლიო კონგრესი 1991 წელს დაარსდა სლოვენიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აქამდე უარყოფილი დიასპორის ინტეგრაციის მიზნით (აქ იგულისხმებიან ის სლოვენიელები, რომლებმაც პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზებიით დატოვეს ქვეყანა). კონგრესის მიზანია იმ ნაპრალის ამოვსება, რომელიც ათწლეულების მანძილზე კომუნიზმის მიერ ეროვნული ცნობიერებისა და მისთვის საჭირო ფასეულობების უარყოფამ გამოიწვია. კონგრესის რიტორიკა მეტად პატრიოტულია და მოუწოდებს ყველა სლოვენიელს, რომ ქვეყნის განვითარებაში წვლილის შეტანა მათი მოვალეობაა.

კონგრესი იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც პირველმა დაიწყო საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელი ინტელექტუალების (მეცნიერების, ექსპერტების, ხელოვანების და ა.შ) მოძიება და სლოვენიაში კონფერენციების ორგანიზება მათი მონაწილეობით. სწორედ ერთ-ერთი კონფერენციის საფუძველზე სლოვენიის კვლევის სააგენტომ (სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პასუხისმგებელია სამეცნიერო ტენდერების გამოცხადებაზე) ბოლო წლებში დაიწყო საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელი ექსპერტების ჩართვა კონკურსებზე წარმოდგენილი სამეცნიერო პროექტების შეფასების პროცესში. სლოვენიის მსოფლიო კონგრესი ორგანიზებას უწევს სპეციალური პროფილის მქონე ექსპერტთა კონფერენციებს შემდეგ დარგებში: მედიცინა (სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელი ექიმების მეშვიდე კონფერენცია, 2011), მეცნიერება და ეკონომიკა (მენეჯერები) (ეკონომისტთა და მეცნიერთა მეშვიდე კონფერენცია, 2011), არქიტექტურა და მშენებლობა (სლოვენიელი არქიტექტორებისა და მშენებლობის ექსპერტების მეოთხე კონფერენცია, 2011), მუსიკა (სლოვენიასა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები მუსიკოსების მეორე კონფერენცია, 2010) და იურისპრუდენცია (იურისტების პირველი კონფერენცია, 2010). სლოვენიის მსოფლიო კონგრესი ამგვარი კონფერენციების ორგანიზებას (პოტენციური) რეპატრიაციის პროცესის ნაწილად განიხილავს.

მიგრანტთა დაბრუნების წახალისება და მათი ინტეგრაციის მხარდაჭერა

საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებთან დაკავშირებით სტრატეგიული დოკუმენტები ფოკუსირებულია, ძირითადად, დიასპორა-

ზე, ხოლო ამჟამინდელ მიგრანტებს (ადამიანებს, რომლებმაც გასული ორი ათწლეულის განმავლობაში დატოვეს ან ახლა ტოვებენ სლოვენიას) ნაკლები ყურადღება ეთმობა. სლოვენიის დამოუკიდებლობის პირველ წლებში იყო მოლოდინი იმისა, რომ ბევრი სლოვენიელი ემიგრანტი ოჯახთან ერთად დაუბრუნდებოდა სამშობლოს, მაგრამ, სინამდვილეში, დაბრუნებულთა ოდენობა არც ისე დიდი აღმოჩნდა.

2002 წელს სლოვენიის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებთან ურთიერთობის შესახებ. ეს გახლდათ საკმაოდ ზოგადი შინაარსის დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმული იყო სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობა სხვადასხვა სფეროში, სლოვენიური იდენტობის, კულტურული მემკვიდრეობისა და ენის შენარჩუნების აუცილებლობა უცხოეთში მცხოვრებ სლოვენიელებს შორის და მათი ინფორმირება სლოვენიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. დოკუმენტი ეხებოდა ქვეყანაში სლოვენიელი ემიგრანტების და მათი შთამომავლების დაბრუნების საჭიროებასაც. სამშობლოში დაბრუნების გასამარტივებლად საჭიროდ იყო მიჩნეული ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა პროცედურის შესახებ საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელებისა და მათი შთამომავლებისათვის (მაგალითად, პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომების აღიარების და დამოწმების პროცედურა). ამ მიზნით საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, სამთავრობო კომუნიკაციის სამსახურს და ინფორმირებული საზოგადოების სამინისტროს დაევალა საინფორმაციო ბროშურის მომზადება. რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ ინფორმაცია სლოვენიელი წარმოშობის პირების სამშობლოში დაბრუნების პროცედურების შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იყოს სლოვენიის ყველა საელჩოსა და საკონსულო მისიებში საზღვარგარეთ.

2006 წელს მიღებულ იქნა კანონი სლოვენიის რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებს შორის ურთიერთობის რეგულირების შესახებ. კანონით შემოღებულ იქნა სტატუსი „სლოვენიელი – მოქალაქეობის გარეშე“, რომელიც შეიძლება მიენიჭოს სლოვენიური წარმოშობის იმ პირს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზღვარგარეთ მოქმედი სლოვენიური ასოციაციების საქმიანობაში. სტატუსის მინიჭება ხდება საზღვარგარეთ მცხოვ-

რები სლოვენიელების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის სახელზე კანდიდატის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენის საფუძელზე. სტატუსის მფლობელს ენიჭება მთელი რიგი უფლებებისა, როგორიცაა ხელსაყრელი პირობები სლოვენიაში უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში მისაღებად, სლოვენიელ მოქალაქეებთან გათანაბრებულ პირობებში სახელმწიფო გრანტებისთვის კონკურსებში მონაწილეობა, სლოვენიის მოქალაქეებთან გათანაბრებულ პირობებში საკუთრების უფლების მინიჭება (სლოვენიაში ქონების ყიდვის, ფლობისა და გაყიდვის უფლება) და პრიორიტეტული უფლება სამუშაოზე მიღებისას მესამე ქვეყნების (არა ევროკავშირის წევრი ქვეყნები) მოქალაქეებთან შედარებით. კანონი ასევე განსაზღვრავს ცნებას საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების სამშობლოში რეპატრიაციის შესახებ. რეპატრიაცია, ხსენებული კანონის მიხედვით, განისაზღვრება, როგორც სლოვენიის რესპუბლიკის მიერ ორგანიზებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების დაბრუნების პროცესი. რეპატრიაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ სლოვენიელებს (და მათი ოჯახის წევრებს) საფრთხე ემუქრება მძიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური კრიზისის შედეგად. გარდა ამისა, რეპატრიაცია შეიძლება შეეხოს იმ პირებსაც, რომელთა მიმართ სახელმწიფოს აქვს მოლოდინი, რომ ისინი სლოვენიის განვითარებაში მნიშნელოვან წვლილს შეიტანენ. კონკრეტული პირის მიმართ რეპატრიაციის გამოყენების საკითხს წყვეტს საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების საკითხში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ხოლო კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგარეო საქმეთა სამინისტრო. რეპატრირებულ პირებს ენიჭებათ იგივე უფლებები, რაც აქვთ „სლოვენიელებს მოქალაქეობის გარეშე“. გარდა ამისა, სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობის დაზღვევის საბაზისო პაკეტით, სლოვენიური ენის კურსებზე უფასო დასწრებით (საჭიროების შემთხვევაში) და სამუშაო ნებართვით. რეპატრირებულ პირსა და მისი ოჯახის წევრებს ეძლევა საცხოვრებელი (თხუთმეტ თვემდე) და მინიმალური შემოსავალი (ფულადი სოციალური დახმარება), თუ სხვა საარსებო წყარო არ გააჩნიათ.

რეპატრიაციის შემთხვევები სლოვენიაში თითქმის არ აღინიშნება. სლოვენიელი ემიგრანტებისა და მათი შთამომავლების რეპატრიაცია ყველაზე აქტუალური 2001 და 2002 წლებში იყო

(სლოვენიის რესპუბლიკასა და საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენელებს შორის ურთიერთობის რეგულაციის შესახებ კანონის შემოღებამდე 2006 წელს), არგენტინაში მძიმე სოციალური და ეკონომიკური კრიზისის დროს, როდესაც ქვეყანა დატოვა იქ მცხოვრებმა ბევრმა სლოვენიელმა ემიგრანტმა (ძირითადად, 1950-იან წლებში წასულმა პოლიტიკურმა მიგრანტებმა), რომლებმაც დაკარგეს სამუშაო (და არ შეეძლოთ საკუთრების გაყიდვა ან ბანკებიდან დანაზოგების გამოტანა). იმ პერიოდში სლოვენიამ დახმარება შესთავაზა იმ ოჯახებს, რომლებსაც სურდათ არგენტინიდან დაბრუნება. სლოვენიის მსოფლიო ემიგრაციის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არგენტინაში მცხოვრებმა სლოვენიური წარმოშობის სამოცდაცამეტმა ოჯახმა გააკეთა განაცხადი სლოვენიაში რეპატრიაციის თაობაზე 2001 წლის შუა პერიოდიდან 2002 წლის შუამდე, თუმცა 2002 წლის აპრილამდე მხოლოდ 71 პირი დაბრუნდა სლოვენიაში.

ბოლო წლებში სლოვენია განიხილება არა როგორც ემიგრაციული, არამედ როგორც იმიგრაციული ქვეყანა. ეს ნათლად ჩანს ეკონომიკური მიგრაციის სტრატეგიიდანაც, რომელიც მთავრობამ 2010 წელს დაამტკიცა. ეკონომიკური მიგრაციის სტრატეგია ძირითად აქცენტს სლოვენიაში შრომითი იმიგრაციის განმტკიცებაზე აკეთებს, რაც გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის სლოვენიის მკვიდრ მოსახლეობაში იმიგრანტების მიმართ შექმნილ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან. თუმცა, სტრატეგია ეხება სლოვენიელი ემიგრანტების დაბრუნების საკითხსაც და ამ მიმართულებით მიზნად ორი ამოცანის შესრულებას ისახავს: (1) ერთიანი სლოვენიური ინტელექტუალური სივრცის შექმნას, სადაც ასევე მოიაზრებიან მეზობელ და საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები სლოვენიელები და (2) სლოვენიაში დაბრუნებული მიგრანტებისათვის საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შესაქმნელად პროცედურების გამარტივებას. მაგრამ კონკრეტული ზომები გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას პოტენციური დაბრუნებულებისთვის, სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და მენეჯერების დაკავშირებას და სხვა.

როგორც ვხედავთ, ზომები, რომელთა მიზანია წაახალისოს ემიგრანტები სლოვენიაში დასაბრუნებლად, გულისხმობს პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდებას სლოვენიის საკანონმდებლო სისტემაზე, საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე, დასაქმებაზე და სხვა პრაქ-

ტიკულ საკითხებზე (ინტერნეტის, საზღვარგარეთ მოქმედი ასოციაციების, სლოვენიის საელჩოებში ხელმისაწვდომი ბუკლეტების მეშვეობით და სხვა), სლოვენიასა და საზღვარგარეთ მცხოვრები მეცნიერებისა და ექსპერტების დაკავშირებას, კონფერენციების გამართვას საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელების მონაწილეობით, საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელებსა და სლოვენიურ სამეცნიერო, საუნივერსიტეტო, ეკონომიკურ და სხვა ინსტიტუტებს შორის კავშირების დამყარებას. გარდა ამისა, ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთ მცხოვრები (მეორე და მესამე თაობის) ახალგაზრდა სლოვენიელების ინტეგრაციას ისტორიულ სამშობლოში. აქ გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, როგორებიცაა ენის კურსები, საზაფხულო გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო სკოლები, სასწავლო გრანტები და სხვა აქტივობები, რომლებიც პოპულარულია საზღვარგარეთ მცხოვრებ სლოვენიელ ახალგაზრდებში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის დოკუმენტში კონკრეტულად არ არის მითითებული, ნათელია, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიური წარმოშობის მეცნიერები და წამყვანი ექსპერტები, ასევე, ახლაგაზრდა სლოვენიელები (მეორე და მესამე თაობა) წარმოადგენენ იმ ორ ჯგუფს, რომლებზეც ძირითადი აქცენტი კეთდება ამჟამინდელ შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტში.

სისტემების/მოდელების მოქმედების შეფასება, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებისა და წარმატებული შემთხვევების ანალიზი

მეცნიერების და ექსპერტების ჯგუფის მიმართ წამოწყებული ინიციატივების წარმატების შეფასება ჯერ ნაადრევია, რადგან მათი უმეტესობა სულ ახლახან ამოქმედდა. გარდა ამისა, ძირითად დაბრკოლებას ჯერ კიდევ წარმოადგენს დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა და არც თუ ისე მიმზიდველი სამუშაო პირობები (ანაზღაურების ჩათვლით) სლოვენიის სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. მაგრამ ახალგაზრდა სლოვენიელებზე (მეორე და მესამე თაობის) მორგებულ აქტივობებს უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვს და მათი ეფექტურობა უკვე ჩანს. შესაბამისი სტატისტიკა არ არსებობს.

არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებში არ არის ასახული დასაქმების პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიე-

ბები, რომლებიც მიზნად დაისახავდა დაბრუნებული მიგრანტების ან მათი ოჯახის წევრების ინტეგრაციას. შრომის ბაზრისთვის გათვალისწინებულ ზომებში იგულისხმება მხოლოდ „მოქალაქეობის გარეშე სლოვენიელის“ სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა, რომელიც სტატუსის მფლობელს მესამე ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს სლოვენიის შრომის ბაზარზე დასაქმებისას. თუმცა, ეს შესაძლებლობა გათვალისწინებულია იმ ემიგრანტებისთვის (ან მათზე დამოკიდებული პირებისთვის), რომლებსაც არ აქვთ მოქალაქეობა და არ ეხება იმ დაბრუნებულ მიგრანტებს, რომლებიც უკვე არიან სლოვენიის მოქალაქეები. გარდა ამისა, არ არის გათვალისწინებული რაიმე ზომები ქვეყანაში საბინაო უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუ არ გავითვალისწინებთ ქონების შეძენის შესაძლებლობას „სლოვენიელთათვის მოქალაქეობის გარეშე“. რაც შეეხება განათლებას, არსებობს სტიპენდიები სლოვენიელი ემიგრანტების შთამომავლებისთვის სლოვენიაში სასწავლებლად. საზღვარგარეთ მიღებული ფორმალური განათლების აღიარების და დადასტურების პროცედურები სლოვენიაში მკაფიოდ არის გაწერილი. გარდა ამისა, შესაძლებელია პრაქტიკული გამოცდილებით ან არაფორმალური სწავლებით შეძენილი უნარ-ჩვევების შეფასება და აღიარება სახელმწიფო პროფესიული კვალიფიკაციის სისტემის მეშვეობით (თუმცა, ამ შემთხვევაში, პროცედურის საფასურს ემიგრანტი ან მისი დამსაქმებელი იხდის).

სლოვენიის მსოფლიო ემიგრაციის ასოციაციის შეფასებით, არგენტინიდან მწვავე კრიზისს გამოქცეული (2001-2002 წლებში) სლოვენიელი ემიგრანტები სერიოზულ პრობლემებს გადააწყდნენ ბინით უზრუნველყოფის და დასაქმების მხრივ (პრობლემური აღმოჩნდა მუდმივი მისამართის მოპოვებაც; ეს კი აუცილებელი პირობაა მთელი რიგი დოკუმენტებისთვის, როგორებიცაა მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობა, სამედიცინო დაზღვევა, რეგისტრაცია დასაქმების სამსახურში და სხვა). დაბრუნებული მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ერთადერთ წარმატებულ პრაქტიკად დასახელდა სლოვენიური ენის უფასო კურსები.

კიდევ ერთი სფერო, სადაც დამკვიდრებულია წარმატებული პრაქტიკა, არის საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელი მეცნიერებისა და წამყვანი მენეჯერების ურთიერთობის ხელშეწყობა. სლოვენიელი მეცნიერებისა და მაღალი კლასის მენეჯერების დაკავშირება, კონფერენციების გამართვა მათი მონაწილეობით, სლოვენიის

სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში მათი ჩართულობა – შედარებით ახალი, მაგრამ იმედის მომცემი ინიციატივებია, რომელთაც პოზიტიურად აფასებენ საზღვარგარეთ მცხოვრები სლოვენიელი მეცნიერები და წამყვანი მენეჯერები. მიუხედავად იმისა, რომ მათი დაბრუნება ნაკლებად სავარაუდოა (მეცნიერული კვლევის პირობები და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები სლოვენიაში ჯერ კიდევ მიმზიდველი არ გამხდარა), ამგვარი ზომები ამტკიცებს სამშობლოსთან კავშირს; ეს კი მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის სლოვენიის ეკონომიკაში მომავალი ინვესტიციებისა და ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის.

მუნიციპალურ დონეზე მოქმედებს სახელმწიფო პროგრამები, რომელთა მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდაჭერა. მაგალითად, დადგენილება პომურსკის რეგიონის განვითარების მხარდაჭერის შესახებ 2010-2015 წლებში გულისხმობს სახელმწიფო ზომების მიღებას უფრო ვრცელი შრომის ბაზრის შესაქმნელად და ინკლუზიური პროგრამების ასამოქმედებლად, რომელთა ერთ-ერთი მიზანია პომურსკის რეგიონში ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერა. თუმცა, შედეგების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს ზომები არ წარმოადგენს წარმატებული პრაქტიკის მაგალითს.

რეგიონულიი განვითარების დონეზე წარმატებულ პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს პომურსკის რეგიონის „აკადემიური და მეცნიერთა კავშირის“ ჩამოყალიბება და მისი საქმიანობა. ეს არის რეგიონიდან წასული მაღალი დონის მეცნიერების (რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ აღარ ცხოვრობენ რეგიონში, მაინც საჭიროდ თვლიან მის განვითარებაში წვლილის შეტანას) ინიციატივის, თვითორგანიზებისა და ენთუზიაზმის კომბინაცია და ადგილობრივი კომპანიებისა და თემის (მუნიციპალიტეტის) თანამშრომლობის შედეგი. ამიტომ, ეს „კავშირი“ შეიძლება ჩაითვალოს როგორც ქვემოდან წამოსული ინიციატივა, რომელსაც მხარს უჭერს არა ცენტრი, არამედ ადგილობრივი/რეგიონული ხელისუფლება. ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია პარტნიორობისა და რეგიონის განვითარების პროექტების გადასასინჯად, რესურსების მობილიზებისთვის, სახელმწიფო ტენდერებში და მსგავს საქმიანობებში მონაწილეობის მისაღებად. მისი მნიშვნელობა დიდია რეგიონში მიმდინარე „ტვინის გადინების“ პროცესის კომპენსაციის თვალსაზრისით.

სხვადასხვა აქტორის მიერ გასატარებელი ზომები და გამოწვევები – ექსპერტთა აზრი

ამ დრომდე სლოვენიას იმიგრაციის ქვეყნად განიხილავდნენ (ტრადიციულად ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან) როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირები, ისე საზოგადოება; (სლოვენიელი მოქალაქეების) ემიგრაციის პრობლემები, სულ ცოტა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში (დამოუკიდებელი სლოვენიის ისტორიაში) სერიოზულად არ განიხილებოდა არც მეცნიერების და არც ექსპერტების მიერ. ამის შედეგია, რომ ძალზე მწირია სტატისტიკური მონაცემები და სამეცნიერო კვლევების შედეგები სლოვენიიდან ემიგრაციული პროცესების შესახებ; ამ პროცესების გავლენა ეკონომიკაზე, შრომის ბაზარზე და სლოვენიის სოციალურ განვითარებაზე სათანადოდ არ არის შეფასებული. ერთადერთ გამონაკლისს, ეგრეთ წოდებული, „ტვინების გადინების“ პრობლემა წარმოადგენს (რომელსაც ხშირად უსვამენ ხაზს მეცნიერები), თუმცა, აქაც – ამ პროცესის სათანადო შეფასებას და ქვეყნის მომავალ განვითარებაზე მის შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ მსჯელობას სავარაუდო მონაცემები და ზოგადი ხასიათის დასკვნები ჭარბობს. ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ემიგრაციის გავლენა სლოვენიის შრომის ბაზარზე შეუმჩნეველია, ხოლო მისი სოციალური შედეგები – უმნიშვნელო. თუმცა, ემიგრანტების სტრუქტურის, ემიგრაციამდე და ემიგრაციის შემდგომი პერიოდის, ასევე მიგრანტთა ოჯახის წევრების სტრუქტურისა და სიტუაციის შესახებ სანდო კვლევების შედეგად მოპოვებული მონაცემების გარეშე ძნელია ემიგრაციის შედეგად წარმოქმნილი გამოწვევებისათვის თანმხვედრი ღონისძიებების დასახვა. ასე რომ, პირველ რიგში, საჭიროა მეტი კვლევის ჩატარება აღნიშნული საკითხების შესასწავლად.

ძნელია დაბრუნებული მიგრანტების ზეგავლენის შეფასებაც, რადგან ცოტა რამ არის ცნობილი დაბრუნებულების სიტუაციის შესახებ. არსებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად მცირე რიცხვისა, უცხოეთში წასული სლოვენიელების ორი მესამედი სამშობლოში ბრუნდება. ამჟამად შრომის ბაზარი მაღალკვალიფიციური და განათლებული პირების მოთხოვნილებას არ განიცდის. ასეთი სპეციალისტების ემიგრაციას ჯერ-ჯერობით მცირე ეფექტი აქვს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ სამომავლოდ განათლებული სამუშაო ძალის ნაკლებობა უფრო თვალ-

საჩინო და პრობლემური გახდეს. ამიტომ აუცილებელია, პირველ რიგში შემუშავდეს კონკრეტული პოლიტიკა დაბრუნებული მიგრანტების და მათი ოჯახის წევრების სრულფასოვანი სოციალური რეინტეგრაციისა და ადგილობრივ შრომის ბაზარზე მათი სათანადოდ მორგების შესახებ. გარდა ამისა, საჭიროა უკეთ იქნეს შესწავლილი მაღალკვალიფიციური და განათლებული ემიგრანტების პრობლემებიც, რაც ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი საზოგადოებისათვის.

პოლიტიკის არსებული დოკუმენტები ვრცლად ეხება მაღალკვალიფიციური სლოვენიელი ემიგრანტებისა და სლოვენიური წარმოშობის პირების დაბრუნების სტიმულირებას და/ან მათი ცოდნისა და გამოცდილების ეფექტურ გამოყენებას სამშობლოში. თუმცა, დოკუმენტებით გათვალისწინებული ზომები უფრო სლოვენიური წარმოშობის იმ პირებს ეხება, რომლებსაც არ აქვთ სლოვენიის მოქალაქეობა (მეოთხე თაობის ჩათვლით) და ნაკლებად ეხმიანება ემიგრანტთა უფრო გვიანდელი კოჰორტების დაბრუნებას სამშობლოში. მიუხედავად აშკარა საჭიროებისა, ადგილობრივი შრომის ბაზრის მართვის სტრატეგიაში არ არის გათვალისწინებული რაიმე სპეციალური ღონისძიებები დაბრუნებული მიგრანტებისთვის (მაგალითად, სამუშაოს შოვნა, მათ მიერ უცხოეთში შეძენილი გამოცდილების და უნარ-ჩვევების წარმოჩენა და ა.შ.), არც დაბრუნებულთა და მათი ოჯახის წევრების სოციალური ინტეგრაციის ზომები (ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.).

ექსპერტთა მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირება ემიგრაციის არაერთფეროვანი ეფექტების და სოციალური შედეგების შესახებ. რაც შეეხება იმ დოკუმენტებს, რომლებიც სლოვენიის მთავრობამ (ან სხვა შესაბამისმა ადმინისტრაციულმა უწყებებმა) გამოაქვეყნა, ცხადია, რომ მათში სლოვენიიდან მოსახლეობის შესაძლო გადინების პოტენციური ნაკადები არ არის სათანადოდ შეფასებული. ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს საფრთხე ბევრად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – პოტენციურ მიგრანტებში მაღალკვალიფიციური და განათლებული პირების ხვედრითი წილის ზრდის თვალსაზრისით. ასე რომ, მოსალოდნელია, საზღვარგარეთ (განსაკუთრებით, ევროკავშირის განვითარებულ ქვეყებსა და, აგრეთვე, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში) მცხოვრები სლოვენიელი მოქალაქეების წილი, რომლებიც დარჩენას გადაწვეტენ, გაიზარდოს.

საჭიროა მეტი ინფორმაციისა და დეტალური მონაცემების მოძიება ემიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ქვეყნიდან ემიგრაციის შესახებ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა აქვთ განზრახული უცხოეთში მუშაობასთან, განათლების მიღებასთან, საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და ა.შ. ემიგრანტთა ძირითადი სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. აუცილებელია, მეტი ყურადღება დაეთმოს მიგრაციის პრობლემებზე სპეციალური კვლევების წახალისებას და მათ ფინანსურ მხარდაჭერას. ეს პრობლემები კი არის სლოვენიიდან ემიგრაციის თავისებურებები (ე.წ. „ტვინის გადინების“ ჩათვლით), მიზეზები, ხანგრძლივობა და დაბრუნებული მიგრანტების მდგომარეობა. კვლევების დასაფინანსებლად უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სახელმწიფო ფონდები, ისე დამატებითი დაფინანსების წყაროები.

გარდა ამისა, ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციებს, რომ იმ სახელმწიფო სტრუქტურებმა, რომლებსაც ევალებათ მიგრაციასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება (მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტი, სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციები, უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები), ერთობლივად მოუყარონ თავი მონაცემებს ერთიან ბაზაში, რაზეც ხელი უნდა მიუწვდებოდეთ როგორც გადაწვეტილების მიმღებებსა და პოლიტიკოსებს, ისე მეცნიერებს. აღნიშნული მონაცემთა ერთიანი ბაზა ძალზე მნიშვნელოვანია მიგრაციული პროცესების სამართავად, დაბრუნების პროცესის უფრო ეფექტური მხარდაჭერისა და ცირკულარული მიგრაციის წახალისების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ერთიანი მონაცემთა ბაზა ეფექტიანი ინსტრუმენტი იქნება რესურსების სათანადო განაწილების პროცესში საზოგადოების ისეთი დაუცველი ჯგუფებისათვის, როგორებიც არიან, „წაშლილები“, დაბრუნებული მიგრანტები, უმუშევრები და სხვა.

უფრო მეტიც, დასაქმების სახელმწიფო სამსახურმა უნდა შეძლოს დასაქმებულებისა და უმუშევართა სიების განახლება იმ ფასეული დამატებითი ინფორმაციით, როგორიცაა ამ სიებში შემავალი პირების მიგრაციასთან დაკავშირებული განზრახვები, ხელმისაწვდომი დახმარებით კმაყოფილების ხარისხი, დასაქმების შემდგომი პერსპექტივები და სხვა. გარდა სხვა უამრავი შესაძლებლობებისა, ამგვარი მონაცემები საშუალებას იძლევა შევადაროთ უმუშევართა

და ზოგადი მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული სტრუქტურები. ამ გზით იოლად შეიძლება დაუცველი ჯგუფების გამოვლენა და მათთვის სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი დახმარების გაწევა.

ასევე, საჭიროა, სახელმწიფო დონეზე შემუშავდეს კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც გაამარტივებდა განათლებული ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების პროცესს. იგულისხმება შრომის ბაზარსა და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული ზომები (განსაკუთრებული აქცენტით განსახლების პოლიტიკაზე), ასევე, დაბრუნებულებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური ინტეგრაციისთვის ხელსაყრელი პირობები.

სხვა რეკომენდაციის მიხედვით, საჭიროა შეიქმნას/განისაზღვროს საინფორმაციო ან საკონტაქტო პუნქტები (ორგანიზაციები) სლოვენიაში დაბრუნების მსურველთათვის. ამგვარი „საკონტაქტო/საინფორმაციო სუბიექტი“ უფრო განვითარებული უნდა იყოს, ვიდრე მისამართების უბრალო სია, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტისა და მობილური ტექნოლოგიების მეშვეობით. მათთან დაკავშირება უნდა იყოს ადვილი მსურველთათვის და მათი რეკლამირება უნდა ხდებოდეს მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში, რათა დაინტერესებულ პირებს გაუჩნდეთ მიმართვის და თანამშრომლობის სურვილი. გარდა ამისა, ამ საკონტაქტო სუბიექტების გამოყენებით ემიგრანტებს მიეცემა ერთმანეთთან დაკავშირების და ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა, რაც, ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი.

ემიგრანტების მოზიდვა მათი უკან დაბრუნების მიზნით რთული ამოცანაა, რომლის დაძლევაც მხოლოდ სხვადასხვა სამთავრობო უწყების და არასამთავრობო სექტორის ეფექტიანი თანამშრომლობით არის შესაძლებელი.

სლოვენიელი ემიგრანტების მეორე და მესამე თაობასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, რაც დროებით მიგრანტებზეც უნდა გავრცელდეს (პირველი თაობის ემიგრანტები), რათა, უპირველეს ყოვლისა, თავიდან იქნეს აცილებული სლოვენიიდან ემიგრაციული ნაკადების ზრდა; შემდგომ, უნდა შეიქმნას სათანადო პირობები, რათა სლოვენიაში დაბრუნებულებულები დასაქმდნენ და უზრუნველყოფილი იქნენ საცხოვრებლით; დაბოლოს, სათანადო ყურადღება მიექცეს ქვეყანაში მიგრაციული პროცესების მართვაში არსებულ ამჟამინ-

დელ გამოწვევებს და არა ქვეყნიდან დიდი ხნის წინ წასული პოლიტიკური ემიგრანტების პრობლემებს.

დიასპორული ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული აქტივობები სლოვენიაში

სლოვენიის მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით აცნობიერებს, რომ დიასპორის მხრიდან პოტენციური ინვესტიციები წარმოადგენს სლოვენიის განვითარების უმნიშვნელოვანეს რესურსს. ამრიგად, თანამედროვე სლოვენია წარმოადგენს საინტერესო მაგალითს; მის მრავალრიცხოვან დიასპორას აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სლოვენიური ბაზრის პოტენციალის გაზრდასა და დიასპორული ქსელის გაძლიერებაში. თავდაპირველად მთავრობის მცდელობები ამ მიმართულებით არ იყო დიდად წარმატებული, მაგრამ 2004 წლიდან სიტუაცია სასიკეთოდ შეიცვალა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები სლოვენიელები, მეწარმეები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, გამოხატავენ სურვილს, მონაწილეობა მიიღონ პროექტში: Slovene business network initiative.

2004 წლისათვის ორი ათასზე მეტი კომუნიკაცია/კონტაქტი დამყარდა მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ბაზარზე და აქტიური საქმიანი თანამშრომლობა განვითარდა ავსტრიაში და იტალიაში მცხოვრებ სლოვენიელი დიასპორის წარმომადგენლებთან; შეიქმნა ოთხი ბიზნეს-ასოციაცია.

აღნიშნული პროექტი აუმჯობესებს არსებული საერთაშორისო ბაზრების შესაძლებლობებისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ ინფორმაციის ხარისხს და ზრდის ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, რითაც პოტენციურ ინვესტორებს ეხმარება, ნაკლები დრო და ხარჯები გაიღონ არსებული მონაცემების მოპოვებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს სლოვენიური ექსპორტის პოტენციალის გაზრდას, გზას გაუხსნის ადგილობრივი და დიასპორული ქსელის ერთობლივ ინიციატივებს და ინვესტიციებს სლოვენიის ეკონომიკაში, ხელს შეუწყობს სლოვენიაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, სლოვენიელი სპეციალისტების გაცვლას და ა.შ.

პროექტი „Slovene business network initiative“ დაიწყო 2003 წელს და მას ახორციელებს სტრუქტურულ პოლიტიკაზე და რეგიონულ

განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება: Government Office of the Republic of Slovenia for Structural Policies and Regional Development (SVRP). 2004 წლის ივნისში სლოვენიაში შეიქმნა დიასპორის მიერ ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი სპეციალური საბჭო: „Business Development Council for Slovenes from Abroad“ და აგრეთვე საკონსულტაციო ოფისები უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელებისათვის.

პროექტის პირველ ფაზაში განხორციელდა სპეციალური კვლევა უცხოეთში მცხოვრები სლოვენიელების ბიზნეს-შესაძლებლობების შესასწავლად და შეიქმნა პროექტის სპეციალური ვებ-გვერდი. ეს ფაზა დასრულდა ბიზნეს-კონფერენციის ჩატარებით 2004 წლის ივნისში. პროექტის მეორე ფაზაში დაგეგმილი იყო ორი ბიზნეს-შეხვედრა სლოვენიაში, პროექტის გაძლიერება და გაფართოება ორმხრივი სამეცნიერო თანამშრომლობის ჩართვით. აღნიშნული თანამშრომლობის ზოგიერთი მაგალითი მოყვანილია მოხსენების ძირითად ტექსტში.

სლოვენიის მთავრობა აგრძელებს დასახული ამოცანის განხორციელებას დიასპორული ინვესტიციების მოსაზიდად და აგრძელებს აქტიურ კომუნიკაციებს და სხვადასხვა აქტივობას დიასპორასთან.

წყაროები:

1. Quinn, E., (2010): *Country Profile for Ireland,* available at Focus migration information portal: http://focus-migration.hwwi.de/typo3_upload/groups/3/focus_Migration_Publikationen/Laenderprofile/CP_19_Ireland.pdf
2. Gilmarti, M., (2012): *The changing landscape of Irish migration, 2000-2012,* National Institute for Regional and Spatial Analysis (NIRSA)
3. Aikins, K., Sands, A., White, N., (2009): *A comparative review of international diaspora strategies*, The Ireland Funds, Dublin
4. Ancien, D., Boyle, M., Kitchin, R.,(2009): *Exploring Diaspora Strategies: Lessons for Ireland,* National Institute for Regional and Spatial Analysis (NIRSA)

5. Boyle, M., Kitchin, R., Ancien, D., (2011): *The NIRSA Diaspora Strategy Wheel and Ten Principles of Good Practice,* Diaspora Matters, Dublin

6. Kingsley, A., White, N., (2011): *Global Diaspora Strategies Toolkit: Harnessing the Power of Global Diasporas*, Diaspora Matters, Dublin

7. Laura Zanfrini, *Immigration in Italy*, *ISMU Foundation, italian Reports on Migration, June 30 2013*

8. Silvia Rusconi, *Itali's migration sxperiences*, *Network Migration in Europe e.v.2010*

9. Hein de Haas, *Engaging Diasporas, international Migration Institute, June 2006*

10. Loretta Baldassar, Joanne Pyke, Danny Ben-Moshe, *The Italian Diaspora in Australia: Current and potential Links to the Homeland*, *August 2012*

11. Teresa Graciano, *The Italian e-Diaspora: Pattents and practices of the Web*, *e-Diasporas Atlas April 2012*

12. Guido Tintorti, *The Transnational Politikal Practices of "Latin American Italians"*, *international Organization for Migration, May 2011*

13. Marina Murat, Barbara Pistoresi, Alberto Rinaldi, *Transnational Social Capital and FDI*, *May 2011*

14. Corrado Bonifazi, Frank Heins, Salvatore Strozza, Mattia Vitiello, *The Italian transition from emigration to imigration country*, *IDEA Working Papers, March 2009*

15. Berjinc, J., (2004): Business Cooperation Among Slovenians from Abroad, in: *Vadnjal, J., Miroslav Glas, M., Szabo, A., Hazl, V., Kokolj – Prošek, J., 6th International Conference Entrepreneurship – the Best Answer to the Future, 23 – 25 November 2004*